იოსებ სიბოშვილი

ივრისპირელები

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2017

რედაქტორი	**მანანა გორგიშვილი**
კონსულტანტი	**ირაკლი ლომიძე**
მხატვარი	**ნინო მღებრიშვილი**
დამკაბადონებელი	**თამარ ტყაბლაძე**

ISBN 978-9941-473-06-7

ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს:
ნინო (ნუცი) და ლაზარე სიბოშვილებს
და ანასტასია და ნინო (ნინა) მოდებაძეებს.

წიგნში მოთხრობილია იმ ტრაგიკული ისტორიული მოვლენების შესახებ, რომლებიც საუკუნეების წინ ვითარდებოდა ივრისპირეთში. ბატონი იოსებ სიბოშვილი შეეცადა, საერო და საეკლესიო გადმოცემათა მიხედვით, დაეწერა ისტორია სამგორის ველის წმიდა გიორგის ტაძრის დაარსების და იქ მომხდარი სასწაულების თაობაზე. აგრეთვე წიგნში კარგად არის ასახული ივრისპირელთა თავგანწირული ბრძოლა სამგორის ველზე სპარსელებისა და თემურ-ლენგის ურდოების წინააღმდეგ. ჩვენს წინ ცოცხლდებიან 1755 წელს ყვარლის ციხის ალყის გამრღვევი გმირების ისტორიული სახეები. ექსკლუზიურ მასალებზე დაყრდნობით ავტორს მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს, ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი ისტორია, ცნობილი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის მიერ საქართველოში გერმანელი შვაბების ჩამოსახლების შესახებ.

მოთხრობები მკითხველის ყურადღებას იქცევს კიდევ იმით, რომ მათში გადმოცემულია ლეგენდები ავტორის მშობლიური სოფლის, სართიჭალის დაარსების შესახებ.

„რაინდული სისხლით აცეცხლებულნი“

მკითხველის წინაშე იოსებ სიბოშვილის კიდევ ერთი ახალი წიგნია - „ივრისპირელები“, რომელიც ჩვენი ისტორიული წარსულის, წინაპრების გმირობების და წმიდა მამათა ღვაწლის აღწერით არის გაჟღენთილი. ერთი ამოსუნთქვით ჩაიკითხავ წიგნის ფურცლებზე ასახულ რეალურ ისტორიულ თუ რელიგიურ ამბებს და გრიგოლ რობაქიძის სიტყვები გახსენდება: „ქართული რასა რაინდული სისხლით არის აცეცხლებული. ეს არ არის უბრალო სიტყვა და არც უბრალო თვისება. საქართველოს ისტორია რაინდობის პათოსით იმართებოდა ყოველთვის“. არც უახლეს წარსულსა და დღევანდელ საქართველოშია რაინდული სისხლის დეფიციტი. ღრმად მწამს გუშინაც დააბიჯებდნენ და დღესაც მოღვაწეობენ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულნი და რაინდული სისხლით აცეცხლებულნი. მხოლოდ მათი დანახვა, დაფასება, შეფასება უნდა შევძლოთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება იოსებ სიბოშვილის მოთხრობათა ახალი წიგნი „ივრისპირელები“, რათა თაობებს შემოვუნახოთ ისტორიულად ცნობილი გმირი წინაპრების და ასევე რიგითი ადამიანების, ლეგენდებსა და ხალხის მეხსიერებაში არსებული ვაჟკაცების ცხოვრების, ღვაწლის, მოღვაწეობის მაგალითები, რადგან როგორც ილია ჭავჭავაძემ დაგვიბარა: „წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხ-

ვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელია... მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“, რადგან „ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის ხატსა და მაგალითსა“.

იოსებ სიბოშვილის „ივრისპირელები“ საპატიო ადგილს დაიკავებს ჩვენს წიგნის თაროებზე.

მანანა გორგიშვილი

„ხოლო სეყრენისის და ლოჭინის სეშხოითი ითის სეშგოთის ვილი და ჩალიკვითი. და სეშგოთის ყმოლიჭენ სეი გოთისეთიკოთვის,თოშილი ითის ვილეი ესოთის ზილა, ჭალახოვანი, ყმყილო სეთის-ჭალილე და გაოსკის ძითაშლი“.

ვახყმეი ჭალონიშვილი.

სამგორის ველის წმიდა გიორგი

ტფილისში გაზაფხულის მშვენიერი დილა გათენდა. ქალაქში გაღვიძებული ბუნების საამო სურნელება ტრიალებდა, თუმცა მოსახლეობის განწყობა ნამდვილად არ იყო საგაზაფხულო. სპარსელების და მათ მიერ დაგეშილი მონოფიზიტი სომხების თავხედობას ბოლო არ უჩანდა. ნახევარი საუკუნეც არ იყო გასული საქართველოს ტახტის დიდების, ვახტანგ გორგასალის გარდაცვალებიდან და უძლეველი გვირგვინოსნის მიერ აღორძინებული ქართლის სამეფო საროსკიპოდან გამოგდებულ მეძავს დამსგავსებოდა. ქართველის გარდა ყველა ეროვნების ხალხი სიამტკბილობდა ივერთ ქვეყანაში. მართლმადიდებელი სარწმუნოება ფეხქვეშ გაეთელათ ცეცხლთაყვანისმცემლებსა და მონოფიზიტებს. ათასი რჯულის წარმართებს გამოეყოთ თავი სოროებიდან და ღრმა ჭრილობებით დასერილ ქართველთა სამეფოს ჯიჯგნა დაეწყოთ.

ქალაქის გარეთ, მტკვრის მარჯვნივ მდებარე ფერდობზე, სადაც წმიდა გიორგის სახელზე აგებული პატარა ეკლესია იდგა, უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ეკლესიის გალავნის შიგნით მდგარ ორი დიდი მუხის ქვეშ დიდი გაწევ-გამოწევა იყო. ზოგი სპარსულად, ზოგი სომხურად, ზოგიც ქართულად ილანძღებოდა. წრეში მოქცეულ ორ ახალგაზრდა კაცს, რომელთაც დაფლეთილი შესამოსელი უფარავდა ძვლებზე გადაკრულ კანს, მუჯლუგუნებით ერთმანეთს ახეთქებდნენ და თითქმის ყურებში ჩაჰკიოდნენ:

- წადით და აქ ჩამოათრიეთ თქვენი მოძღვარი, იმ გამოქვაბულიდან რომ არ გამოდის. ხანდახან გამოჩნდება ერში და მაშინაც უბედურების მეტი არაფერი მოაქვს! მე გამცეს პასუხი, არტავაზს!

არტავაზი სპარსელთა ტაძრის – ათეშკის, წინამძღვარი იყო. ცეცხლის თაყვანისმცემელი ქურუმი ძალიან აღგზნებული ლაპარაკობდა. დროგამოშვებით მტკვარზე ზვიადად გადმომდგარ მთას წარბშეკრული გახედავდა და თითქოს ვიღაცას მუშტებს უქნევდა.

- არტავაზ, დაწყნარდი! – შესძახა მონოფიზიტთა ტაძრის წინამძღვარმა არამმა და მკლავზე ხელი მოჰკიდა, - დაწყნარდი! ბიჭები წავლენ და ჩამოიყვანენ. მარტო ყვირილით ვერაფერს გავხდებით.

- როგორ! მაგ ასურელმა უნდა მასწავლოს, ჩემს ქალაქში როგორ დავამყარო წესრიგი!? ყველას გამუდმებული ლოცვებისკენ მოუწოდებს, ხოლო თვითონ ასეთ გარყვნილებას სჩადის! ეს უანდერძა მაგათ ჯვარცმულმა!?

- გაჩერდი, არტავაზ! – კვლავ დაწყნარება სცადა არამმა, - მალე მოიყვანენ შუშანას და თვითონ ეტყვის ყველაფერს.

შემდეგ არამმა არტავაზს მკლავში ხელი მოჰკიდა, გალავანს გარეთ გაიყვანა და უთხრა:

- ყველაფერი წინასწარ მაქვს მოფიქრებული. ქალი პირზე დაადგება, ხოლო ჩემი ბიჭები, რომლებიც საგანგებოდ ჩამოვიყვანე ცურტავიდან, ქვებს ესვრიან. მათ ხალხიც აჰყვება და თავისივე ეკლესიის კედელთან ჩავქოლავთ.

არტავაზმა თვალებში შეხედა არამს. დიდხანს მიშტერებოდა. თითქოს სჯეროდა მისი, მაგრამ მაინც ეჭვი ეპარებოდა, რომ სომხები ამას შეძლებდნენ. ბოლოს წამოიძახა:

- მაშინ დროულად გაუშვი ბიჭები მთაზე, ჩამოიყვანონ და მოვრჩეთ ამ ამბავს. ხალხის მოსაყვანად ქალაქშიც გაგზავნე მსახურნი. რაც ბევრი მოწმე გვეყოლება, მით უფრო წელში გავიმართებით.

არამმა ცბიერად გაიღიმა, წელში მოიხარა და ათეშკის ქურუმს მოკრძალებით მიმართა:

- არტავაზ, იმედია სამსახურს დამიფასებ. ამ ორი ბუნების მაღიარებლებს დროულად უნდა მოვუგრიხოთ კისერი, თორემ უკვე მომრავლდნენ. ძალა კი თქვენს ხელშია.

- ვნახოთ, თქვენს გაკეთებულ საქმეებზე იქნება ყველაფერი დამოკიდებული.

ამასობაში ტფილისიდან ხალხმა დაიწყო ამოსვლა. მათში ძირითადად ბაზრის მოვაჭრენი სჭარბობდნენ და, რა თქმა უნდა, უსაქმური ცნობისმოყვარენი, რომლებიც ქართლის დედაქალაქში მრავლად იყვნენ. ტაძრის ეზო და შემოგარენი ხალხით გაივსო. ისინი ერთმანეთს უყურებდნენ და გაკვირვებულნი კითხულობდნენ:

- რისთვის ამოგვიყვანეთ!? რა ხდება!? იქნებ, გვითხრას ვინმემ!

- იყუჩეთ, ხალხო! – იყვირა არტავაზმა და ხელი მაღლა ასწია, - დღეს, ჩვენ თქვენი თანდასწრებით ერთი კაცი უნდა გავასამართლოთ, რომელმაც ვაჟკაცისთვის უღირსი საქციელი ჩაიდინა და ჩვენს ხალხსა და ქალაქს შეურაცხყოფა მიაყენა. აგერ ისიც! – ხელი გაიშვირა მთისკენ, - მოდის. მალე ყველაფერს გაიგებთ!

ოთხი კაცი ჩამოდიოდა მთიდან. ორს, შავ ანაფორაში შემოსილ ბერებს, წინ მოუძღოდა ის ორი ბიჭი, რომლებიც არტავაზმა და არამმა გააგზავნეს მათ მოსაყვანად. ისინი მალევე მოვიდნენ ტაძართან. ერთი მათგანი მკაცრი შეხედულების მამაკაცი იყო. მიუხედავად მისი ასეთი გარეგნობისა, ბერის თვალებში აშკარად იკითხებოდა კეთილშობილება და სიმდაბლე. მას გვერდით, ასევე შავ კაბაში გამოწყობილი, ახალგაზრდა კაცი ახლდა, რომელიც მორჩილი უნდა ყოფილიყო, რადგან ბერის ყოველ მოძრაობას გულმოდგინედ აკვირდებოდა და მუდამ მზად იყო მისი კურთხევა შეესრულებინა.

ბერების დანახვაზე თითქმის ყვირილამდე მისული აბობოქრებული ბრბო წამიერად შეჩერდა და გაირინდა. მაგრამ მალევე ახმაურდნენ და არტავაზს გასძახეს:

- ქურუმო, რა გინდა ამ ხალხისგან!? ესენი წესიერი ადამიანები არიან, პატიოსნად ცხოვრობენ.

- შენ რა იცი, რომ პატიოსნები არიან!? – იყვირა არტავაზმა.

- ვიცით! ვიცით! – ყვიროდნენ აქა-იქ მდგომი კაცები.

ხალხს ერთი შუახნის მამაკაცი გამოეყო. ბრბომ მაშინვე იყუჩა. კაცს ეტყობოდა, რომ პატივისცემით სარგებლობდა ქალაქში. მან ხელის აწევით ხალხს ანიშნა, რომ მოესმინათ მისთვის.

- ხალხო! – დაიწყო საუბარი მამაკაცმა, - ეს ორი წესიერი ადამიანი ქრისტეს მიმდევრები არიან – დავითი და ლუკიანე. მათ თავისი საკვირველი ქადაგებითა და სამაგალითო ცხოვრებით ბევრი ადამიანი მიიზიდეს. მთაში გამოკვეთილ ქვაბულში ცხოვრობენ და ლოცვებით ეხმარებიან ხალხს, რათა ჭეშმარიტი ღმერთის გზით იარონ. უამრავი ჩვენი თანამემამულე განკურნეს. აი, ეს ტაძარი, რომელიც დიდმოწამე გიორგის სახელს ატარებს, დავითის კურთხევით აშენდა. ტფილისის ქართველობა და არა მარტო ქართველობა, ამ ტაძარში ლოცულობენ. ათეშკიდან ბევრი მოვიდა ჩვენთან. აქ რაღაც ისე არ არის, მაგრამ სიმართლე უნდა გაირკვეს. აბა, რას გვეტყვი, არტავაზ!?

ბრბომ პირი ქურუმისკენ იბრუნა. არტავაზი შეშინდა, მაშინვე მის გვერდით მდგომ არამს უხმო და თვალით ანიშნა ეთქვა რაიმე. არამი სახეზე შეყინული ფარისევლური ღიმილით წარსდგა ხალხის წინაშე და აკანკალებული ხმით დაიწყო:

- ხალხო! ტფილისელებო! თქვენ დიდი ხანია ეს დავითი გაცდუნებთ და არასწორ სარწმუნოებას გიქადაგებთ. მას სურს, რომ ხალხის ნდობა მოიპოვოს და ცრუ სარწმუნოება დანერგოს ჩვენს ქალაქში!

- ჩვენ გვჯერა დავითის! – გაისმა ხალხში.

არამმა ხელის აწევით ისევ დააწყნარა ხალხი და განაგრძო:

- გეთანხმებით! უნდა გჯეროდეს იმ ადამიანის, ვინც თვითონ ცხოვრობს პატიოსნად, მაგრამ ეს ასე არ არის. მან მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა და ამიტომ ჩვენი კანონებით უნდა გასამართლდეს.

- რაღაცა გეშლება, არამ! – დაიყვირა ვიღაც ახმახმა მამაკაცმა, - არ შეიძლება ასეთი ცილისწამება, თუ სამხილი არა გაქვს!

- ვინ გითხრათ, რომ არა გვაქვს!? აი, ყველაფერს ეს გაუბედურებული ქალი, შუშანა იტყვის, - წამოიძახა არამმა და შუშა-

ნას ხელით ანიშნა გამოდიო, - შუშან! მოყევი, აბა, რაც გაგიკეთა ამ არაკაცმა!

შუშანა გამოეყო ბრბოს, დადგა სახით ხალხის წინაშე და აცრემლებულმა დაიწყო საუბარი:

- მე ერთი ობოლი სომეხი ქალი ვარ. გაჭირვებამ მიმიყვანა დავითთან. მინდოდა ლოცვა მესწავლა და ღმერთისგან წყალობა მიმეღო. ამან კი დახმარების სანაცვლოდ ჩემი ქალწულობა მოითხოვა და იქვე, თავის გამოქვაბულში ამხადა ნამუსი. და აი, ხედავთ, ხალხო, სადაცაა უნდა ვიმშობიარო. ეს ამ უნამუსო კაცის შვილია და რამდენჯერაც მივედი დახმარების სათხოვნელად, იმდენჯერ გამომაგდო. აბა, ხალხო! თქვენ თქვით, განა ჩემზე უბედური არის ვინმე?

ადამიანები გაუნძრევლად იდგნენ ეზოში, ზოგი შუშანას უყურებდა, ზოგი დავითს, ზოგიც არტავაზსა და არამს. ბოლოს არტავაზმა წარსდგა ნაბიჯი წინ და მიმართა ხალხს:

- ხედავთ, თანამოქალაქენო!? როგორი ეშმაკი მჯდარა ჩვენს შორის და არ ვიცოდით! ჩვენი კანონებით დავითი და მისი მოწაფე უნდა ჩავქოლოთ! – თქვა არტავაზმა და იმ მხარეს გაიხედა, სადაც ცურტავიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი სომხები იდგნენ ქვებით ხელში. – აბა, თქვენ იცით!

ცურტაველები დაიძრნენ, მაგრამ ტფილისელებმა გზა გადაუკეტეს და შესძახეს:

- ეგრე არ არის, ხალხო! ჩვენ ვიცით, რომ დავითი ღვთისმშობლის გამოგზავნილია ივერიაში და სანამ მისგანაც არ მოვისმენთ სიტყვას, მაგის ჩაქოლვის უფლებას არავის მივცემთ!

- სწორია! სწორია! თავი გაიმართლოს! – ახმაურდა ხალხი.

დავითი გაუნძრევლად იდგა, მზერა აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიპყრობილი და მხოლოდ ბაგეებს ამოძრავებდა. მერე, თითქოს გონს მოეგოო, კვერთხი, რომელიც ხელთ ეპყრა და რომლის თავზეც ცხოველმყოფელი ჯვარი იყო გამოსახული, ზეაღმართა, გაეშურა შუშანასკენ, ჯვარი მუცელზე დაადო და ხმამაღლა წარმოთქვა:

- შენ! ჩვილო! გიბრძანებ სახელითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა, რათა გვაუწყო ჩვენ, ვარ თუ არა მე მამა შენი!?

ირგვლივ ყველა და ყველაფერი გაირინდა, ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. სულ მალე ქალის მუცელი შეირხა და გაისმა ჩვილის ხმა:

- შენ არ ხარ მამა ჩემი! ჩემი ნამდვილი მამა ვარდანია, მჭედლად რომ მუშაობს კალას უბანში!

ჩვილის ხმის გაგონებაზე ადამიანებმა ხმასთან ერთად ფერიც დაკარგეს. გაოგნებულმა არტავაზმა არამს გადახედა. ამ უკანასკნელმა ისარგებლა მომენტით და იყვირა:

- ხალხო! არ დაიჯეროთ! ეს ეშმაკის ხმაა! ხომ გითხარით, დავითი ეშმაკს ემსახურება და სატანამაც დაიცვა თავისი მსახური!

- მე ეშმაკისეული არა ვარ, – მშვიდად წარმოთქვა დავითმა, - მე ღმერთის მსახური ვარ.

- თუ ღმერთის მსახური ხარ, მაშინ სთხოვე მას, მოახდინოს რაიმე სასწაული! – იყვირა არამმა.

- ჯვრის ძალით მომხდარი სასწაული თქვენ სულ ახლახანს იხილეთ, მაგრამ სამების მგმობელი მონოფიზიტები ამას ვერასდროს იწამებთ, რადგან თქვენ ღმერთის მფარველობა კი არა, უფრო გამოცდა გიყვართ. ეს როსკიპი დედაკაციც თქვენ და ათეშკელმა ქურუმებმა მოისყიდეთ. ამიტომ ღმერთი ჩემი თხოვნის გარეშეც დასჯის მას და იგი ბავშვის მაგიერ ქვას შობს.

დაამთავრა თუ არა დავითმა სიტყვა შუშანამ იკივლა, დაეცა მიწაზე და გორაობა დაიწყო. უცებ ზურგზე დაწვა, ძლიერად იკივლა და საშოდან ქვა გადმოუვარდა.

შემაძრწუნებელი სანახაობის შემხედვარე გაშეშებული ბრბო როგორც იქნა გონს მოეგო და აყვირდა.

- ქვაშვეთი!...ქვაშვეთი!...ქვაშვეთი!...

პირველად ტფილისელები გაიქცნენ შუშანასკენ, ეზოს გალავანის გარეთ გაათრიეს და პირველად მისივე საშოდან გამოვარდნილი ქვა ესროლეს. ერთს მეორე მოჰყვა. მოქალაქეები ქვებს ესროდნენ მრუშ და მატყუარა დედაკაცს. მხოლოდ ცურ-

ტაველები იდგნენ გაუნძრევლად ქვებით ხელში და არ იცოდნენ რა უნდა გაეკეთებინათ. არამს შეეშინდა, ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარმა შუშანამ არ გაამხილოს, რომ ეს ამბავი ჩემი მოწყობილიაო და ცურტაველებს ანიშნა დედაკაცის ჩაქოლვაში მიეღოთ მონაწილეობა. მათაც არ დააყოვნეს და დავითის ჩასაქოლად მომზადებული ქვები შუშანას ესროლეს.

არტავაზმა და არამმა სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა.

ამ შემზარავი ამბის შემხედვარე დავითი და ლუკიანე გაუნძრევლად იდგნენ. როდესაც ტფილისელებმა მოათავეს ჩაქოლვის პროცესი, გაიქცნენ და დავითისა და ლუკიანეს წინ დაიჩოქეს, ხელები ცისკენ აღაპყრეს და შეჰღაღადეს დავითს:

- დავით! შენ ხარ წმიდა ადამიანი, არ მიგვატოვო, ამ უწმინდური ხალხის ხელში არ დაგვტოვო.

- დავით, შეგვიწყალე! სარწმუნოება ხომ შენ გვასწავლე ქართველებს. არ გაგვწირო.

დავითი კი ფართოდ გახელილი თვალებით იყურებოდა აღმოსავლეთისკენ, თითქოს ვიღაც უხილავს უსმენსო. იგი მთელი გონებით და სხეულით დაძაბულიყო. კარგა ხანს დაჰყო ასეთ მდგომარეობაში. ბოლოს, პირჯვარი გადაიწერა და ხალხისკენ გაიხედა. ტფილისელებმა ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა შეწყვიტეს და დავითს მიაპყრეს მზერა.

- ხალხო! – დაიწყო დავითმა, - ყველამ იხილეთ ღმერთის მიერ მოხდენილი სასწაული, რითაც სიმართლე გაირკვა. ადამიანებმა კი ღმერთის სამართალს ისევ უსამართლობით უპასუხეს და ცოდვილ დედაკაცს სიცოცხლე მოუსწრაფეს. ამ უბედურმა ქალმა, რომელიც ჭეშმარიტი რწმენის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი გახდა, ქვის შობით საკუთარი ცოდვები მოინანია და მისი ჩაქოლვა მხოლოდ რამდენიმე დიდი მოხელის განზრახვაში შედიოდა.

- ასეთი ბოროტებით ვინ უნდა იყოს შეპყრობილი!? გვითხარი, დავით! – გუგუნებდა ხალხი.

- ივერიის წმიდა მეფე ვახტანგმა, ქართლში მართლმადიდებლობის განმტკიცებით ცეცხლთაყვანისმცემლებს დიდი დარ-

ტყმა მიაყენა. ერთმორწმუნე ბიზანტიის მეკავშირეობამ სპარსეთსა და ივერიას შორის მტრობა ჩამოაგდო. სპარსელები ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათივე ნათესავი, ვახტანგ გორგასალი, ქრისტეს გულისთვის საკუთარ სისხლს დაუპირისპირდებოდა. სომხები ადვილად დაიმორჩილეს, მიაღებინეს მონოფიზიტობა და სამების ჯვარცმით ხაჩეცარები გახდნენ. ქართველებს კი ვერაფერი მოუხერხეს, ამიტომ მათ წინააღმდეგ სომეხი მონოფიზიტები აამხედრეს, რისთვისაც არც ოქრო დაიშურეს და არც მათი თანამდებობებზე დაწინაურება. დღევანდელი მკვლელობაც მათი მოწყობილია. სად არიან ათეშკის ქურუმი არტავაზი და სომეხთა ეკლესიის წინამძღვარი არამი!?

ხალხი აჩოჩქოლდა. ერთმანეთს უყურებდნენ და გაკვირვებულნი მხრებს იჩეჩდნენ.

- გაქცეულან, დავით, ეგ არაკაცები! – დაიძახა ტაძრის შესასვლელთან მდგარმა გოლიათური აღნაგობის მამაკაცმა, - ტფილისის მაცხოვრებლებს ასეთი საქციელი არ შეშვენის. ამ ახლადჩამოთრეულმა ხალხმა წაბილწეს ქალაქი!

ტაძრის ეზოში შეკრებილი ხალხი ყველაფერს მიხვდა. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც დავითი ქრისტეს ცხოვრებას ახარებდა. მათგან უმრავლესობა მისი ნათლული იყო. ისინი სულმოუთქმელად ელოდნენ, დავითი რა გადაწყვეტილებას მიიღებდა. ასურელმა მამამ მარჯვენა ხელი წვერზე ჩამოისვა, გახედა ხალხს და თქვა:

- ჩემო ძმანო და დანო, ჩემო სულიერო შვილებო, ჩვენ დღეს აქ, ძლევამოსილ მხედარ, დიდმოწამე გიორგის სახელზე აგებულ ტაძრის წინაშე ვდგავართ და ქედს ვიხრით უფალ იესუს და დედა ღვთისას წინაშე. ღმერთმა წყალობა არ მოაკლოს ყველა მართლმადიდებელს. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ დღეს ივერიის დედაქალაქში და არა მარტო აქ, მონოფიზიტური, მცდარი სარწმუნოება მძლავრობს. ამიტომაც ჩვენი საძმო, დედა ღვთისას შეწევნით და იოანე ზედაზნელის მეთაურობით ეწვია ქართლს. დღეს მხოლოდ ლოცვა

თუ გადაარჩენს ივერიას. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ წმიდა ქალწულ ნინოს დაწყებული საქმე. მე ტფილისში არავინ გამაჩერებს და უარეს ღალატს მომიმზადებენ, ამიტომ მინდა ყველას შენდობა გთხოვოთ იმ საქციელისათვის, რომელსაც ახლა ჩავიდენ. მე უნდა დავტოვო ქალაქი და წავიდე უკაცრიელ ადგილას, ადამიანებისაგან შორს, სადაც იქნება უდაბნო ადგილი და შემეძლება მე ცოდვილს, რომ უფალს ვესაუბრო და ვადიდო იგი.

ხალხი გარინდული უსმენდა მოძღვარს. შემდეგ კი ერთიანად ახმაურდნენ და ხმამაღლა გაიძახოდნენ:

- არ მიგვატოვო, დავით!

- არ გაგიშვებთ, მამაო!

- ვის ხელში გვტოვებ, მოძღვარო!?

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, დავითი და ლუკიანე დაემშვიდობნენ ხალხს და მტკვრისკენ მიმავალ ბილიკზე დაეშვნენ. დავითმა თავისივე მოსასხამი დააფინა წყალზე, შედგნენ მასზე და გაუყვნენ დინებას.

* * *

ტფილისის ცენტრში, ათეშკაში, ულამაზეს სპარსულ ხალიჩაზე, ფეხმორთხმით ისხდნენ ცეცხლთაყვანისმცემლების ქურუმი არტავაზი და მონოფიზიტების მთავარი – არამი. ისინი ათეშკის ცენტრში დანთებულ ცეცხლს მიშტერებოდნენ და ვერ მიმხვდარიყნენ რა ძალებით შეძლო დავითმა, ჯერ კიდევ დედაკაცის მუცელში მყოფი ჩვილის ალაპარაკება.

- ასეც ვიცოდი, - თქვა არამმა, - ეშმაკის ძალებით მოქმედებს ეს დავითი.

- რაღაც არ მგონია, - უპასუხა არტავაზმა, - მარტო ეგ არ ახდენს სასწაულებს. ასურეთიდან ჩამოსული სხვა თორმეტნიც ახდენენ სასწაულებს და ყველა ერთს ამბობს – ქრისტეს სახელით ვაკეთებთ ამასო.

- ჭეშმარიტი ქრისტიანები ჩვენ ვართ! – იწყინა არამმა, - მაგათ ქრისტესი რა იციან, ამბობენ ქრისტე ღმერთიც იყო და ადამიანიცო. ჩვენ კი სომხები მას, როგორც ღმერთს ისე ვაღიარებთ.

არტავაზს გაეღიმა. არამს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

- ეგ ჩვენ გაღიარებინეთ, თორემ თქვენც მართლმადიდებლების ჭკუაზე იყავით. ჩვენში დარჩეს და რა გამოდის, თქვენმა ქრისტემ ითვალთმაქცა?

- რატომ, არტავაზ?

- რატომ და იმიტომ, რომ როდესაც ჯვარზე გააკრეს იესუ, გვემისაგან მიყენებული ჭრილობები, სისხლდენა და განცდები ტყუილი იყო!?

- ეგ როგორ? არტავაზ, რას ამბობ?

- რას ვამბობ და იმას ვამბობ, რომ როდესაც ქრისტეს აწამებდნენ, ის მაშინ კაცი იყო, ადამიანი და კაცურად შეხვდა სიკვდილს. ასე რომ, ქართველების რწმენა სწორია და ამიტომაც მაგათი დამორჩილება ძნელია, რადგან ღმერთი მფარველობს.

- მა... ჩვენი? – წამოიკნავლა არამმა.

- ჩვენებმა მონოფიზიტობა თქვენს დასამორჩილებლად გამოიყენეს და ეს დადასტურდა კიდეც. შენ როგორ ფიქრობ? დედაკაცის მუცლიდან მართლა ქვა ლაპარაკობდა? უკვე ხუთი საუკუნეა ეს რწმენა ვერ მოსპეს, ესე იგი გამოდის, რომ იგი ჭეშმარიტად ღმერთისგან მოდის.

- აბა?... ჩვენ რა... ვართ? – ძლივს ამოილუღლუღა არამმა.

- თქვენ, უკვე ჩვენა ხართ, ძმაკაც! – მიუგო ცინიკურად არტავაზმა. მერე ხელი კარებისკენ გაიქნია და უთხრა არამს:

- ახლა მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. შენ წადი და ცურტავის მთავარს, ბუბაქარს, უთხარი მეახლოს და რაც შეიძლება სწრაფად.

არამი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ვერ მიმხვდარიყო მართალს ეუბნებოდა მას არტავაზი, თუ ხუმრობდა, როგორც მას ხშირად სჩვეოდა. არტავაზს კი მოეჭუტა ირივე თვალი და დამცინავად, სპარსული ცბიერებით მიუთითებდა არამს:

- წადი! წადი! რაც გითხარი გააკეთე დროზე!... წადი!... წადი!... თქვენები როგორ იტყვიან!?... გნა! შუტ გნა!

კისერწაგრძელებული და თავდახრილი არამი უთქმელად დაიძრა გასასვლელისკენ და ახლაღა მიხვდა, რომ ის და მისი მონო-

ფიზიტებად გადანათლული ხალხი მხოლოდ და მხოლოდ ბრმა იარაღი იყვნენ სპარსელების ხელში.

* * *

დავითი და ლუკიანე მალევე ამოვიდნენ მტკვრიდან და გეზი ჩადივარისკენ აიღეს.

- ლუკიანე, - წამოიწყო საუბარი დავითმა, - როგორც ტფილისში მითხრეს, აქ, სადღაც ამ მიდამოებში გადაუხდია ვახტანგ მეფეს დიდი ომი სპარსელებთან. ამბობენ, ბრძოლაში დაღუპული მეომრების საფლავებიდან სამი ახალი გორაც წარმოშობილაო.

- ეგ ამბავი მეც გავიგე, დავით. ჩვენ ახლა ხმალთაკვეთების ადგილას მივდივართ, სადაც დაღვრილი სისხლი ჯერ კიდევ არ შეშრობია მიწას.

- ჰოდა, ჩემო ლუკიანე, წავიდეთ იმ სამ გორასთან, ვილოცოთ სამშობლოსა და ქრისტიანობისთვის დაღუპული მეომრების სულების ცხონებისათვის.

- ამინ! – დაუდასტურა ლუკიანემ და ქრისტესმიერმა ძმებმა გზა განაგრძეს.

თვალუწვდენელ მინდორში, რომელიც ალაგ-ალაგ პატარა გორებით იყო დამშვენებული, გაზაფხული ძალას იკრებდა. მინდვრის ყვავილებით მოფენილი ბალახი საამო სურნელს გამოსცემდა და ისეთი სილამაზე სუფევდა ირგვლივ, რომ ფეხის დადგმაც კი ზედმეტი შეურაცხყოფა იქნებოდა ამ ღვთისგან ბოძებული ბუნებრივი ხალიჩისათვის. დავითმა და ლუკიანემ დიდხანს იარეს. მათ ზურგს უკან მზე უკანასკნელ სხივებს ასვენებდა აჩრდილებივით გადმომდგარი მთების უკან. მოწმენდილ ცაზე მთვარისა და ვარსკვლავების სიკაშკაშე მატულობდა.

- ადგილი უკაცრიელია, - თქვა ლუკიანემ, - ნადირთაგან თავის დასაცავად თავშესაფარი უნდა ვეძებოთ.

- ღმერთი არ დაგვტოვებს ნუგეშის გარეშე. – უპასუხა დავითმა, პირჯვარი გადაიწერა და გზა განაგრძო.

არც თუ დიდი დრო გავიდა. ძმები ერთ-ერთ გორაზე ავიდნენ და შორს სინათლე შენიშნეს. როდესაც ახლოს მივიდნენ, დაინა-

ხეს მინდორში მდგარი ქოხი, რომლის პატარა სარკმლიდან შუქი ანათებდა. ქოხთან დაბმული ძაღლიც აყეფდა. უცებ კარი გაიღო და ქოხიდან ანთებული ლამპრით თეთრწვერა მოხუცი გამოვიდა. ლამპარი ზევით ასწია და დაიძახა:

- სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით.

დავითი და ლუკიანე წავიდნენ ქოხისკენ. ძაღლმა ყეფა შეწყვიტა და წკავ-წკავით თავის ბუდრუგანაში მოკალათდა.

- მშვიდობა შენდა, მოხუცო! – შესძახა დავითმა მიახლოებისთანავე.

- მშვიდობა მოგცეს ღმერთმა! – უპასუხა მოხუცმა, - მობრძანდით სახლში!

დავითი და ლუკიანე ქოხში შევიდნენ. კერიაზე ცეცხლი ახალი ჩამქრალი იყო. როგორც ჩანს მოხუცი დასაძინებლად ემზადებოდა. ქოხის შუაგულში პატარა ტაბლა იდგა ოთხ სელთან ერთად. ზედ დოქით წყალი და თიხის ჯამი მოჩანდა, კერიასთან ახლოს კი ხის საწოლი იდგა, რომელზეც ორი ნაბადი იდო. ერთი ალბათ ქვეშ საგები და მეორე გადასაფარებელი. კედელზე გაკრულ ხალიჩაზე ხმალი და ხანჯალი იყო ჩამოკიდებული. კუთხეში ხისგან გაკეთებული კარადა იდგა, გვერდზე კი რამდენიმე ტომარა იფქლი იდო, რომელსაც ზევიდან ვარცლი ჰქონდა გადაფარებული.

მოხუცმა სტუმრები კერიასთან მიიწვია. იქვე კედელთან მიყრილი ფიჩხიდან რამდენიმე ნაჭერი აიღო, კერიაზე დაყარა, შემდეგ წამოდგა, ხელი გაუწოდა სტუმრებს და წარმოთქვა:

- გრიგოლი. სოფელ ბოდის მკვიდრი.

- მე დავითი ვარ, ასურელი, - უპასუხა ბერმა, - ეს კი ლუკიანეა, ჩემი სულიერი ძმა. დიდი მადლობა, რომ შეგვიფარეთ.

- სტუმარი ღვთისაა, - კვლავ გაიმეორა მოხუცმა, - მობრძანდით, დაბრძანდით.

გრიგოლმა კერიაზე ჭერიდან ჯაჭვით დაკიდებულ ქვაბში ხელი ჩაყო, შემდეგ შეიმშრალა და სტუმრებს მიმართა:

- წყალი ჯერ კიდევ თბილია. ხელ-პირი დაიბანეთ. მე კი მანამდე ვახშამს მოგიმზადებთ.

- ნუ შეწუხდებით, გრიგოლ, - უთხრა დავითმა, - ისედაც შეგაწუხეთ ამ უდროო დროს ჩვენი სტუმრობით.

გრიგოლმა პური, ყველი და ლორი დაალაგა ტაბლაზე. დოქით ღვინო მოიტანა. სტუმრებს წინ თიხის კეცები და ჯამები დაუდო. მერე ღვინო ჩამოასხა ჯამებში. ერთი ჯამი თვითონ აიღო და წარმოთქვა:

- უფალს დიდება, ხალხო! იესუ ქრისტე იყოს ჩვენი სამშობლოს და თითოეული ჩვენგანის მფარველი.

- ამენ! – შესძახეს დავითმა და ლუკიანემ, - ცოტა ღვინო მოსვეს და პური გატეხეს.

- შორი გზიდან მოსულებს ჰგავხართ. ჩადივარიდან სამგორის ველზე იშვიათად ამოდის ხალხი. უფრო მონადირენი თუ გამოჩნდებიან ხოლმე. თქვენ საით გაგიწევიათ?

დავითმა უამბო გრიგოლს ტფილისში მომხდარი ამბების შესახებ. მასპინძელი ყურადღებით უსმენდა სტუმარს. ერთი ამოიოხრა და დამწუხრებულმა თქვა:

- სულკურთხეული ვახტანგ მეფის სიკვდილის შემდეგ ყველა მართლმადიდებელი დევნილნი ვართ... არ გვახარებენ, ყველა ჩვენ გვებრძვის, გარეულიც და შინაურიც. თქვენ სადაური ბერები ხართ?

- ჩვენ დედა ღვთისას კურთხევით, ასურეთიდან ჩამოვედით. წმიდა მამა იოანე არის ჩვენი მოძღვარი, რომელიც ახლა ზედაზენის მთაზე მოღვაწეობს. უფლის შეწევნით, უნდა განვამტკიცოთ ხალხში მართალი რწმენა.

- აკრიანის მთაზე მოღვაწე მამა ანტონიც თქვენი სულიერი ძმაა? – იკითხა გრიგოლმა.

- დიახ. – უპასუხა დავითმა.

- მან თან ჩამოაბრძანა კეცზე დაწერილი მაცხოვრის ხატი.

- ეგ სასწაულმოქმედი ხატია. – თქვა დავითმა.

- აკრიანის მთაზე ვახტანგ გორგასალმა ტაძარი ააგო. მამა ანტონიც იქ მოღვაწეობს და უკვე უამრავი ხალხი მიიზიდა, - განაგრძობდა საუბარს გრიგოლი, - თქვენც, ალბათ, აქ რაჟდენ

პირველმოწამის ტაძარს ეძებთ, რომელიც ასევე ვახტანგ მეფეს აუშენებია.

- ჩვენ არც ვიცოდით აქ თუ რაიმე ტაძარი იყო, - გაიკვირვა დავითმა, - ვინ იყო პირველმოწამე რაჟდენი?

- ის სპარსი იყო, დიდებულთა მოდგმიდან. როდესაც წმიდა ვახტანგ მეფემ, სპარსეთის მეფის ჰორმიზდ მესამის ასული ბალენდუხტი ცოლად შეირთო, დედოფალს ქართლში რაჟდენიც ჩამოჰყვა, მოიხიბლა მის მკვიდრთაგან, ქრისტიანობა მიიღო და სამუდამოდ აქ დარჩა. ვახტანგ მეფემ მას სოფელნი და აგარაკნი მისცა და საკუთარ მომხრეთა რიგებში ჩარიცხა. ვახტანგ მეფემ, რომელსაც სპარსელებმა ზედმეტსახელად გორგასალი შეარქვეს, ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა მოუპოვა. შემუსრა სპარსელები და დახურა მაზდეანთა სამლოცველოები. სპარსელთა მეფე პეროზმა, ეს რომ შეიტყო, დიდძალი ჯარი დაძრა ქართლისკენ. ომი ხუთი თვე გაგრძელდა. ომში თავი ისახელა რაჟდენმა, რომელიც ვახტანგ გორგასალის ერთ-ერთი სარდალი იყო. განრისხებულმა პეროზ მეფემ ბრძანა, ცოცხლად შეეპყროთ გაქრისტიანებული სპარსი. ერთ-ერთი შეტევის დროს სპარსელებმა გზა შეუკრეს რაჟდენს, მოულოდნელად შემოერტყნენ გარს, სძლიეს, შეიპყრეს და შეკრული მიჰგვარეს სპარსთა მეფეს, რომელმაც დიდად გაიხარა და ასე მიმართა ტყვედქმნილს: ,,გიხაროდენ, მხნეო რაჟდენ, მშვიდობა შენდა! სად უკუე იყავ ესოდენთა ამათ ჟამთა, რაისათვის უარ გიქმნიეს მამული, სჯული და შედგომილ ხარ სჯულსა უცხოსა, რომელი არა გასწავეს მამათა შენთა და ბრწყინვალისა მზისა წილ და ცეცხლისა და სხუათა მათ მნათობთა. მსახურებ ჯვარცმულსა კაცსა, რომელი ჰურიათა მოაკვდინეს და შენ იგი ღმერთად შეგირაცხიეს, ანუ არა ესე ყოველი ესრეთ არსა!? “

დავითი და ლუკიანე ყურადღებით უსმენდნენ მოხუცს, თვალზე ცრემლი მოსდგომოდათ. ბოლოს ლუკიანემ იკითხა დამწუხრებულმა:

- რა უპასუხა რაჟდენმა მეფეს?

გრიგოლმა ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო:

- რაჟდენმა გაბედულად მიუგო: ,,ჭეშმარიტად ეგრე არს, ვითარცა სთქუ, მეფეო, რამეთუ ქრისტიანე ქმნილ ვარ და დამიტევებიეს მამული უღმრთოებაი და არღარა თაყვანის ვსცემ ცეცხლსა შემწველსა, არცა მზესა, კაცთათვის სამსახურად დაბადებულსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანაი და ყოველნი, რაი არს მათ შინა ხილულნი ანუ უხილავნი, რომელსა აქუს უკვდავებაი და მკვიდრ არს იგი ნათელსა შინა თვალთ – შეუდგამსა, რომელი იგი არავინ იხილა, ვერცა შემძლებელ არს“. რას არ შეჰპირდნენ რაჟდენს, მაგრამ წმიდანი ურყევად იდგა: ,,რაი არიან ნიჭნი და პატივნი შენნი, მეფეო, არა საწუთრონი არიან და მსგავსად სიზმრისა განქარვებადნი და აჩრდილებ წარმავალნი? ხოლო სული უკვდავ არს და უკვდავადაც ჰგიეს და უკეთუ ვისმინო ბრძანებისა შენისა და ვერჩდე თქმულთა შენთა, არა მოვკვდეა მეცა, ვითარცა ზოგად ყოველნი კაცნი და მერმე საუკუნოდ ვიტანჯებოდე ცეცხლსა შინა უშრეტსა და სიმდიდრეი შენი აქავე დაუტევო, ხოლო თუ მოვკვდე ქრისტესთვის, უკვდავ ვიქმნე საუკუნოდ და მის თანა ვსუფევდე“.

- რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერისთვის მეფეს. თუ მეფე სწორი რწმენით ცხოვრობს, ერიც და ბერიც იგივე გზას მიჰყვება. – თქვა დავითმა და პირჯვარი გადაიწერა.

- რას გულისხმობ, დავით? – ჰკითხა ლუკიანემ.

- მე, როგორც ვიცი, ვახტანგ გორგასალს ეკუთვნის სიტყვები - ,,ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს“, – წარმოთქვა დავითმა და სახეზე ღიმილი მოეფინა, - აკი გაიმეორა კიდეც რაჟდენმა.

- გეთანხმები, დავით, - თქვა გრიგოლმა, - ამიტომაც არ აპატია სპარსეთის მეფემ რაჟდენს და მკაცრი განაჩენიც გამოუტანა - „ვინაიდან ძელსა ზედა მოკლულისა მიმართ აქუს სასოებაი, რაითა ესეცა ძელითა აღესრულოს“. ჯვარზე გაკვრა არ აკმარეს ქრისტეს მხედარს და ისრები სტყორცნეს სხეულზე. წმიდანის უკანასკნელი სიტყვები იყო: ,,ხელთა შენთა, უფალო, შევვედრებ სულსა ჩემსა“.

- წამებით, მაგრამ ბედნიერად გასულა ამ ქვეყნიდან წმიდა რაჟდენი, - თქვა ლუკიანემ და პირჯვარი გადაიწერა, - გვამი ხომ არ შეუბილწავთ მტარვალებს?

გრიგოლს ცრემლი მოადგა თვალზე, თითქოს სუნთქვა შეეკრა, მაგრამ მაინც განაგრძო:

- ღამით, იქაურმა ქრისტიანებმა მოიყვანეს მღვდელი, წმიდა მოწამის გვამი გარდამოხსნეს ჯვრიდან და ფარულად მიწას მიაბარეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი ქართლში მშვიდობა დამყარდა. ვახტანგ მეფემ წმიდა მოწამე რაჟდენის გვამი წრომიდან ნიქოზს გადაასვენა და იქ დაკრძალა თავის მიერ აგებულ ნიქოზის ტაძარში. მეფის ბრძანებით უჯარმაში და აქ, სამგორის ველზე აშენდა წმიდა რაჟდენის სახელობის ტაძრები, ის ხომ პირველმოწამე გახლდათ.

- აქ, ამ ველზე სად არის ტაძარი? მოვილოცავდით. – იკითხა დავითმა.

- სპარსელებმა, დიდი ომის დროს, მიწასთან გაასწორეს იგი. ახლა კიდევ ბუბაქარის შიშით, მას ვერავინ აღადგენს.

- ბუბაქარი ვინ არის? – იკითხა ლუკიანემ.

- ბუბაქარი ცურტავის მთავარია და ეს მიწებიც მას ეკუთვნის. ქართველ დიდგვაროვანთა შთამომავალი სომხების გამრუდებულ რწმენაზე დგას და ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას და მის მიმდევრებს არც ცნობს. თუ თქვენ წმიდა რაჟდენის სიწმიდის მოსალოცად წამოხვედით, სჯობს არ გაეკაროთ იმ ნატაძრალს.

დავითმა შეხედა გრიგოლს, რომელიც სულიერად განადგურებული ივერიის დღევანდელობას გაუსაძლის მდგომარეობამდე მიეყვანა. ადგა, მივიდა მასთან, მხარზე ხელი დაადო, თვალებში ჩახედა და უთხრა:

- ჩვენ არც ვიცოდით, რომ ამ ადგილებში წმიდა რაჟდენის ეკლესია არსებობდა. არც ის ვიცით, საით წავალთ. ღმერთმა ჯერ შენთან მოგვიყვანა და შემდეგ წასასვლელ გზასაც გვიჩვენებს. მე ჩემი თავი უფლის სადიდებლად, გარე დასასჯელად გადავდე. ადამიანების მიერ გარე სჯა უფრო სათნოა უფლისათვის. ამი-

ტომ ჩვენ, მე და ლუკიანე ადამიანებისაგან შორს წავალთ. ადგილსამყოფელს კი უფალი მიგვანიშნებს. ალბათ, შენც, ჩემო გრიგოლ, ამ მიზნით ხარ მარტოობაში, არა?

- ჩემი მდგომარეობა სულ სხვაა, დავით, - ხმადაბლა დაიწყო საუბარი მოხუცმა, - მე სპარსელებისა და ქართველების დიდი ომის მონაწილე ვარ. მაშინ, ჯერ კიდევ ჭაბუკობაში ახლად მქონდა ფეხი შედგმული, თუმცა ხმლისა და შვილდისრის გამოყენება კარგად ვიცოდი და არც ომში შემირცხვენია თავი.

დავითმა სელს მიაშურა და საინტერესო ამბების მოლოდინში გაირინდა. გრიგოლი კი მშვიდად განაგრძობდა თხრობას:

- ეს იყო სასტიკი ომი. ეს დიდი ველი ხმალთაკვეთების ადგილად გადაიქცა და სისხლის კალოები გაილეწა. ასეთი დიდი ომი არავის ახსოვს. რომ გათენდება, იმ სამ გორას გაჩვენებთ, რის გამოც ხალხმა ამ ადგილს სამგორის ველი დაარქვა.

- კი, მაგრამ, - თხრობა შეაწყვეტინა დავითმა გრიგოლს, - ეს სამი გორა ადრე არ იყო?

- არა. ეს სამი გორა იმ ხმალთაკვეთების შემდეგ, ომში დაღუპული მეომრების პატივსაცემად, მათ საფლავებზე შექმნა ხალხმა. მაშინ ვახტანგ მეფე დაბადებიდან მესამოცე წელს ასრულებდა. არ უღალატა ბერძნებს და სპარსელთა მეფეს – ხოსროს არ გაჰყვა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ხოსრო მეფემ მისი დასჯა გადაწყვიტა და დიდძალი ლაშქრით დაიძრა ივერიისკენ. ვახტანგ მეფემ ერში ქადაგი გააგზავნა და ამცნო, რათა დაეტოვებინათ ის დაბები და ქალაქები, რომლებიც ძლიერნი არ იყვნენ და შესულიყვნენ კავკასიასა და კახეთში, რამეთუ კახეთი ტყე იყო და მტრის მიერ შეუვალი. მეფე დაჩი და მისი დისწული გადავიდნენ კახეთში და დადგნენ ლოპოტის ხევში, კლდით მოზღუდულ ქვეყანაში. ხოლო გორგასალის ცოლი და შვილნი – უჯარმის ხევში. წინა ციხეში თვითონ დადგა, მასთან იყვნენ შიდა ქართლისა და ყოველთა ერისთავთა მპყრობელი ჯუანშერ სპასპეტი და სამშვილდის ერისთავი ადარნასე. ხოლო მცხეთაში გამაგრდნენ კახეთისა და კუხეთის ერისთავი დემეტრე, ხუნანის

ერისთავი ნერსარანი და ოძრხის ერისთავი ბივრიტიანი. მე ჯუ-ანშერ სპასპეტის ამალაში ვიყავი განწესებული და თითქმის ყო-ველდღე ვხედავდი მეფეს, რომელსაც დედამ სპარსული სახელი ვარან ხოსრო თანგი დაარქვა, რაც ქართველებმა შემოკლებით ვახტანგად მონათლეს, ხოლო სპარსელებმა გორგასალად, რაც ქართულად მგლისთავას ნიშნავს. ის იყო ახოვანი, გოლიათი, სი-მაღლით ათორმეტი ბრჭალი. არწივისებური გამოხედვა ჰქონ-და, ამიტომ მას თვალს ვერავინ უსწორებდა და ამჯობინებდნენ თავდახრილნი ყოფილიყვნენ. მიუხედავად მისი გარეგნული სიმ-კაცრისა, ხელქვეითებთან ურთიერთობაში აშკარად იგრძნობო-და მისი კეთილშობილება და განსაკუთრებით ღვთის მოშიშობა. ზოგჯერ ბავშვური უმანკოებაც კი გამოსჭვიოდა მისი ქმედებე-ბიდან. მიუხედავად მისი ასეთი კეთილშობილებისა, ომში იყო დაუნდობელი და ამიტომაც მტერი, როდესაც შეიტყობდა, თუ სად იმყოფებოდა ვახტანგ მეფე, ცდილობდა იმ ადგილზე შერკი-ნებისათვის თავი აერიდებინა და საბრძოლველად სხვა ფრთაზე გადასულიყო. შეეძლო გაქცეული ირმის ფეხდაფეხ შეპყრობაცა და ქვეყნის საკეთილდღეოდ უდიდესი სიდინჯის გამოჩენაც.

- ხოსრო მეფე შემოსვლისთანავე დაესხა თავს უჯარმაში გა-მაგრებულ ვახტანგ მეფეს? – იკითხა ლუკიანემ.

- არა. ამას ვერ გაბედავდა, რადგან ვახტანგ მეფესთან პირდა-პირ შებმას აზრი არ ჰქონდა. ივრის ხეობაში ის თავისი ურიცხვი ლაშქრის გაშლას ვერ შეძლებდა, ხოლო ერთი ერთზე ქართვე-ლის ბრძოლაში დამარცხება შეუძლებელია.

- მაშ რა მოიმოქმედეს სპარსელებმა? – იკითხა კვლავ ლუკიანემ.

- მათ ქართველთა გარედან დასუსტება დაიწყეს. შემუსრეს ქალაქი კამბეჩოვანი, ჭერემის ციხე და ველის ციხე. მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიდნენ იორზე და ქართველთა თავდასხმის შიშით გაშლილ ველზე დაიბანაკეს. გამთენიისას კი მცირე-მცირე მხედრობით იწყეს ხეობაში შესვლა და დაბანაკება. სამი დღის განმავლობაში ვიბრძოდით. უამრავი მომხდური დავხო-ცეთ. სპარსელები ყოველთვის ბრძოლით იხევდნენ უკან, რომ

ჩვენი ლაშქარი გაშლილ ველზე გაეტყუებინათ, მაგრამ ჩვენ ბოლომდე არ მივყვებოდით, სანამ კარგად არ შევათხელეთ და დავასუსტეთ მტერი. ველიდან უჯარმის ხევში შემოსვლის დროს, განსაკუთრებით აქტიურობდა თეთრ ცხენზე ამხედრებული მეომარი, რომელიც დიდი მათრახით ხოცავდა მტერს და ცოცხლად გადარჩენილებს კი ველისკენ ერეკებოდა. ისარი და შუბი არ ეკარებოდა. როგორც დაბნელდებოდა, ის აღარსად ჩანდა. მის მოსაძებნად კი არავის ეცალა, დაჭრილების მოვლა-პატრონობით ვიყავით დაკავებულნი. შუაღამისას ვახტანგ მეფემ პეტრე კათალიკოსი იხმო და უთხრა: ,,იცოდე, რომ გვებრძვიან არა ხარკის მიცემისათვის, არამედ ქრისტეს დატევებისათვის. მე განზრახული მაქვს ასე: საუკუნო ცხოვრებისათვის უმჯობესი არის ქრისტეს სახელზე სიკვდილი, რათა აღთქმული სასუფეველი გვქონდეს მათთან, რომელთაც უთხრა: ,,რომელიც წარიწყმდეს თავის თავს ჩემთვის, ის იპოვის მას“. ახლა კი, ეპისკოპოსებთან ერთად დადექი წმიდა რაჟდენის ეკლესიაში, რომელიც არის უჯარმის რაბატში და დაიწყეთ განუწყვეტელი ლოცვა, რათა ამ ომში, სადაც ივერიის ბედი წყდება, შეგვეწიოს უფალი თავისი მხედრობით. ეს ომი უნდა მოვიგოთ, თუნდაც მას ჩემი სიცოცხლე შეეწიროს“. შემდეგ სპასპეტთან და ერისთავებთან ერთად მტერზე თავდასხმის განწესება დაადგინა და ყველანი მეფის დარბაზიდან ციხის ეზოში გამოვედით. ხეობაში წყვდიადი ჩამოწოლილიყო, მხოლოდ ივრის ტალღების ამბოხი არღვევდა მდუმარებას...უცებ, ყორან და ცივის მთებზე რაღაც ნათებამ გაიელვა. ,,ეს რა არისო?“ – იკითხა მეფემ. ყველანი გაშეშებულნი უყურებდნენ ნათებას. მხოლოდ მეფეს აღმოხდა: ,,დიდება შენდა, უფალო“. პირჯვარი გადაიწერა და ბრძანა, ბრძოლის წინ დაესვენათ რამდენიმე ჟამი.

- გრიგოლ, შენ ამ დროის განმავლობაში სულ მეფესთან იყავი? – ჰკითხა დავითმა.

- დიახ. ასეთი განწესება მქონდა ჯუანშერ სპასპეტისგან. მეფეს თავისი მოუცილებელი მეაბჯრენი ჰყავდა, რომლებიც

მას მოსასვენებელშიც არ სცილდებოდნენ, ხოლო მე მისი კარის მცველი ვიყავი. ბრძოლის წინა ღამესაც მეფის სიცოცხლეს მის კართან ვიცავდი. ცისკარზე ჩვენი მხედრობა უკვე ხეობიდან გამოდიოდა, რათა ველზე დასხმოდა სპარსელთა ლაშქარს. ბრძოლის წინ მეფე შემოტრიალდა მხედრობისკენ და ბრძანა: ,,დღეს ამ ველზე ივერიის ბედი წყდება. ყოველი კაცი, რომელიც სიკვდილს გადაურჩება და მტრის თავს ან ხელს არ გამოიტანს ბრძოლიდან, ჩვენ მიერ მოკვდება!“ მეფემ ლაშქარი სამად გაყო, თვითონ უსარდლა ათთა ბევრთა მხედრობას და სპარსთა მეფის კარვისკენ გაიჭრა. ცისკრის მიწურვისას მივიდა მეფის პალატამდე, მაგრამ ხოსრო მეფემ შეასწრო ცხენზე და გაიქცა. დაუტევა თავისი ძე ბარტამ, რომელიც ვახტანგმა ხმლის ერთი დარტყმით შუაზე გააპო. ამას ყველაფერს ჩემი თვალით ვხედავდი. ძლიერი მცველები ჰყავდა ხოსროს. მათ შორის თვალი მოვკარი ვახტანგ მეფის ყოფილ მცველს, რომელიც მოდგმით სპარსი იყო. უმალ გავწიე მოღალატის მოსაკლავად, თუმცა გზა გადამიღობეს. მან კი მოასწრო მშვილდის მოზიდვა და როდესაც მეფემ ხმლის მოსაქნევად ხელი ასწია, მოღალატემ ქეიბური ჰკრა იღლიიდან მკერდისკენ... ამ დროს მეც მივაღწიე და ხმლის ერთი მოქნევით თავი გავაგდებინე მოღალატეს. მეფეს მთელი დღე ბრძოლა არ შეუწყვეტია და გამარჯვებამდე მიიყვანა. თუმცა, მერე წყლული დაუმძიმდა და სასწრაფოდ უჯარმის ციხეში წავიყვანეთ. დასტაქრები დაეხვივნენ მეფეს. აღმოჩნდა, რომ ისარს ფილტვში შეეღწია და როგორც მეფის დასტაქარმა თქვა, მოწამლულიც ყოფილა.

- ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო? – იკითხა დავითმა.

- მარჯვნივ განწესებული მხედრობა ისევ იბრძოდა. ამიტომ მეფემ გვიბრძანა დავბრუნებულიყავით ბრძოლის ველზე და ბოლომდე მიგვეყვანა საქმე. მე, აი აქ, ამ მიდამოებში მომიწია ბრძოლა. ისე შეჯგუფდა ომი, რომ მეომრები სათითებსაც კი იყენებდნენ. ამ დროს, ქვედა მხარეს განწირული ადამიანების ხმები შემოგვესმა. ისევ ის, თეთრ ცხენზე ამხედრებული მამა-

ცი ჩაუქი ატყლაშუნებდა მათრახს. ერთი დარტყმით ათეულებსა ხოცავდა. რამდენჯერმე შუბი სტყორცნეს, ისრებიც დაუშინეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს ვერც მას და ვერც მის ცხენს. ამის შემხედვარეს ომი სულ გადამავიწყდა. ან ვისთან უნდა მებრძოლა, შეშინებული სპარსელები თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ. ჭაბუკი ჩაუქი კი ნათლის სვეტად იქცა, ზეცაში აიჭრა, ჯერ ყორან მთაზე დაეშვა და მერე ცივზე. ჩვენს ირგვლივ მხოლოდ დახოცილი მეომრების გვამები ეყარა. სისხლით იყო გაჟღენთილი მიწა. მე, როგორც მეომართა შორის უმრწემესი, მალემსრბოლად გამამწესეს უჯარმაში, ხოლო დანარჩენ მეომრებს უბრძანეს დახოცილი მებრძოლების დასაფლავება. ასერგასი ათასი მაინც იქნებოდა მკვდარი. ამიტომ სამი დიდი საფლავის გათხრა გახდა საჭირო, რაც მეომრებმა გააკეთეს კიდეც. ასე წარმოიშვა სამი დიდი საფლავი, რომელთა მოსანახულებლად აგერ უკვე ერგასი წლის შემდეგაც მოდიან ჭირისუფალნი სხვადასხვა ქალაქებიდან და დაბებიდან, მოაქვთ მეომართა ადგილის დედის მიწა და აყრიან ამ საფლავებს. აი, ასე წარმოიშვა ეს სამი დიდი გორა და ადგილსაც სამგორი ეწოდა სახელად.

- გრიგოლ, ვახტანგ მეფეს თუ მიუსწარი ცოცხალს? – ჰკითხა ლუკიანემ.

- როგორც ავედი უჯარმაში, მაშინვე მეფესთან წარმადგინეს, რომ მეუწყებინა გამარჯვების ამბავი. იქნებ ამან ძალა შეჰმატოსო. თავის მოსასვენებელში იწვა გოლიათი ხელმწიფე. შესვლისთანავე მომაპყრო არწივისებური მზერა და მითხრა: ,,აბა, უჩემობა ხომ არ დაგეტყოთო!?“ დაწვრილებით მოვუყევი მეფეს ბრძოლის ამბები. რომ არა ის ჭაბუკი ჩაუქი, შეიძლება გაგვძნელებოდა ომის მოგება-მეთქი. უცებ მის თვალებში აკიაფებული ცრემლნარევი ნათელი დავინახე. მესტუმრეთუხუცესს უბრძანა, მოეხმო კათალიკოსი, თავისი ცოლი, ძეები და ყველა წარჩინებული. სასწრაფოდ შემოვიდნენ ყველანი. მეფემ მათ თვალი მოავლო და წარმოთქვა: ,,ხედავთ, ქართველნო, უფალმა არ გაგვწირა, შეისმინა ჩვენი ვედრება და თავისი ანგელოზი გამოაგზავნა ჩვენს

დასახმარებლად. დიდება და მადლობა უფალს! ახლა კი ყველამ კარგად მომისმინეთ. ჩემი ამ ქვეყნიდან გასვლის ჟამი ჩამოდგა, მე მივდივარ ჩემი ღმერთის წინაშე და ვმადლობ მის სახელს, რომ არ დამაკლო მე მის სიწმიდეებს. ახლა მცნებას მოგცემთ თქვენ, რომ მტკიცედ დადგეთ სარწმუნოებაზე, ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს მის სახელზე, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ. თქვენ, ივერიის მკვიდრნო, მოიხსენეთ ჩემი სიკეთე, რამეთუ პირველად ჩემი სახლიდან მიიღეთ საუკუნო ნათელი და ჩვენს სახლს ნუ შეურაცხყოფთ და ბერძენთა სიყვარულს ნუ დაუტეევებთ“.

- ღმერთმა აცხოვნოს მისი სული, - წარმოთქვა დავითმა და ფეხზე წამოდგა, - ვახტანგ მეფე ნამდვილად წმიდანი ყოფილა. ჩემო გრიგოლ, შენ ბედნიერი კაცი ხარ, რომ მისი თანამებრძოლი იყავი.

- რაც ის მოელვარე, მებრძოლი ჭაბუკი ვიხილე, იმის შემდეგ მოსვენება აღარ მქონდა. ვახტანგ მეფე აღარ იყო. სპარსელებმა, სომხების მეშვეობით, ხალხს ნამდვილი ღმერთი დაავიწყეს. ასე მეგონა, რომ ვახტანგ გორგასლის ცხოვრება სიზმარი იყო. და აი, რამდენიმე წლის წინ გამომეცხადა წმიდა ნინო, ჩვენი განმანათლებელი და მითხრა: ,,ღვთისმოშიშო შვილო გრიგოლ, ვინაიდან შენ ღვთის მოშიშებით და სუფთა ცხოვრებით იცხოვრე, მე მინდა გამცნო, რომ ის ჭაბუკი ჩაუქი, რომელიც შენ იხილე სპარსელებთან ომში იყო ჩემი ბიძაშვილი, დიდმოწამე გიორგი, რომელიც ღმერთმა, დედა ღვთისმშობლის მეოხებით, ქართველი ერის მფარველად დაადგინა. მე მუხლმოდრეკილი ვევედრებოდი დედა ღვთისას, რომ გიორგის დახმარება გაეწია ჩემთვის. ახლა თქვენ მარტო არ ხართ მტერთან ბრძოლაში. არადა მომხდური აურაცხელი გყავთ და გეყოლებათ. ამიტომ ევედრეთ დიდმოწამე გიორგის, რომ თავისი ძლევამოსილი მახვილით დაიცვას თქვენი ქვეყანა“. მე გავკადნიერდი და ვთხოვე წმიდა ნინოს: ,,დედაო, რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის!?“ მან მიპასუხა: ,,ყოველი დღე წელიწადისა, უფალთან ერთად, დიდმოწამე გიორგისადმი ლოცვით უნდა დაიწყოთ და მის სახელზე მთელს

ივერიაში უნდა ააშენოთ ტაძრები. შენ კი, შვილო გრიგოლ, წადი იმ ადგილას, სადაც იხილე წმიდანის ბრძოლა და ააშენე მის სახელზე სალოცავი, არ მოსცილდე იქაურობას, სანამ ცოცხალი ხარ და სანამ თქვენს ქვეყანაში ბერ-მონაზვნური ცხოვრების ფუძემდებლები არ ჩამოვლენ“.

- და ამ გამოცხადების შემდეგ აქ ხარ? – ჰკითხა დავითმა.

- დიახ, აქ ვარ და არც ვაპირებ წასვლას. სადაც ახლა ჩვენ ვსხედვართ, ეს არის დიდმოწამე გიორგის ზეცაში აჭრის ადგილი. აქ მინდოდა სალოცავის აშენება, ავაშენე კიდეც, მაგრამ ბუბაქარმა დამინგრია. ამიტომ საცხოვრებელი ქოხი ავაშენე და ეს წმიდა ადგილი აქ მაქვს დამალული.

გრიგოლი წამოდგა და ქოხის აღმოსავლეთ კედელთან ჩამოფარებული ნაბადი ჩამოხსნა. დავითმა და ლუკიანემ პატარა ნიში შენიშნეს, რომელიც ქვებით იყო ლამაზად გაწყობილი.

- აი, ეს არის ის ადგილი, საიდანაც დიდმოწამე გიორგი გაბრწყინებული სვეტის სახით ზეცაში აიჭრა და მთებზე დაეშვა.

- ეს წმიდა ადგილი ქართველთა მიერ მტერზე ძლევის ადგილია, - თქვა ლუკიანემ, - ამიტომ მას გაფრთხილება და მოფერება სჭირდება.

- ეს შენ უნდა გააკეთო, გრიგოლ. – უთხრა დავითმა გრიგოლს და მხარზე ხელი დაადო.

დავითმა, ლუკიანემ და გრიგოლმა შუაღამიანის ერთობლივი ლოცვა აღავლინეს და დასასვენებლად დაწვნენ. ერთი ჟამიც კი არ სძინებიათ, ადგნენ ხელ-პირი დაიბანეს, ცისკრის ლოცვა წარმოთქვეს და ქოხიდან გამოვიდნენ. ნაომარ ველზე გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა, ყვავილებით მოფენილი მდელოებიდან აფრენილი ტოროლები ცას ასკდებოდნენ. თბილქვეყნებიდან ახლად მოფრენილ ჩიტებს ჟივილ-ხივილი აეტეხათ და ღმერთის მიერ ნაჩუქარი კიდევ ერთი დღის დილას ეგებებოდნენ. გრიგოლმა დავითს და ლუკიანეს სამივე გორა უჩვენა, დაანახა ყორან მთა და ცივი მთა.

დავითი დიდხანს იდგა მდუმარედ, სახით აღმოსავლეთით. ბოლოს პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

- ეს ველი წმიდა ადგილია. სამი გორის ველია. მოვა დრო და აქ აშენდება სამგორის ველის წმიდა გიორგის ეკლესია და დაიწყება ბერ-მონაზვნური ცხოვრება.

დავითი და ლუკიანე დაემშვიდობნენ გრიგოლს და გზა განაგრძეს აღმოსავლეთისკენ.

* * *

ცურტავის მთავარი თავისი ამალით თბილისიდან შინ ბრუნდებოდა. ათეშკის მთავარმა ქურუმმა, არტავაზმა, დავითის და ლუკიანეს მოძებნა და მოკვლა დაავალა. არტავაზს ეშინოდა დავითის, რადგან თავისი თვალით ნახა რა სასწაულმოქმედი ძალის პატრონიც იყო ასურელი მამა. მისი ქართლში მოღვაწეობა ცეცხლთაყვანისმცემლების ძალაუფლებას საფრთხის ქვეშ აყენებდა. ქალაქში თითქმის ყველა ლაპარაკობდა ცეცხლთაყვანისმცემლობაზე, როგორც ცრუ მოძღვრებაზე, რადგან დავითის თანამემამულეს-აბიბოსს, რომელიც ნეკრესში მოსაგრეობდა, შეუკრებია ცეცხლის მომსახურე ქურუმები, ცეცხლისთვის წყალი დაუსხამს და უთქვამს: ,,ეს არის თქვენი ღმერთი? მიწიერმა წყალმა ჩააქროო“. თვითონ აბიბოსი და ძმანი მისნი, ღმერთის შეწევნით, უამრავ არაამქვეყნიურ სასწაულებს ახდენდნენ. სომხებმაც ვერ გაუმართლეს არტავაზს. ისინიც რელიგიას თავიანთი გამდიდრების მიზნით იყენებდნენ. აუცილებელი იყო უფრო სასტიკი ღონისძიებების გატარება. ეს ნაბიჯი უნდა გადაედგა ცურტავის მთავარს ბუბაქარს, რომელსაც არტავაზი განდიდებას და გამდიდრებას შეპირდა. ბუბაქარს სიმდიდრე იმდენად არ აინტერესებდა, როგორც სნეული შვილის განკურნება. უამრავი ოქრო-ვერცხლი დახარჯა მკურნალებში, მაგრამ ვერაფერი უშველა შვილს. გული უკვდებოდა, როდესაც ხედავდა მისი ორი ძე როგორ თამაშობდნენ და დარბოდნენ მინდორ-ველზე, ხოლო ის ერთი, მისთვის რატომღაც უფრო საყვარელი, ვერ იძვროდა ადგილიდან და იჯდა სელზე. არტავაზმა აღუთქვა, რომ მისი ღმერთი განკურნავდა ბუბაქარის შვილს და წამოაყენებდა ფეხ-

ზე. მიაჭენებდა ბუბაქარი ცხენს და ფიქრობდა: ,,ოღონდ შვილი გამომიჯანმრთელოს და თვითონ ანგელოზებს შევებრძოლები. მაგრამ სად მოვძებნო!?... მიწიდან ამოვთხრი!...“ როგორც კი მტკვარს მიუახლოვდნენ, ბუბაქარმა ცხენი შეაჩერა, მოუბრუნდა ამალის წევრებს და უბრძანა:

- ორი კაცი მდინარის მარცხნივ! ორი – მარჯვნივ! ეგენი სხვაგან არ წავიდოდნენ, ამ უდაბნოში უწყლოდ ვერ გაძლებენ. ჯერ მტკვრის ხეობა ნახეთ და მომახსენეთ! მერე კი ივრის ხეობაში მოგვიწევს წასვლა. აბა, ჩქარა! სასახლეში გელოდებით!

ამის თქმა იყო და ბუბაქარმა ამალის სხვა წევრებთან ერთად ცურტავისკენ გაჰქუსლა, ხოლო ოთხი მეომარი დავითის და ლუკიანეს საძებნელად წავიდნენ.

ამასობაში დავითი და ლუკიანე ნელა-ნელა უდაბნოს სიღრმეში შედიოდნენ.

- ხედავ, ლუკიანე, - აღფრთოვანებულმა დაიწყო საუბარი დავითმა, - ამ კეთილსა და შფოთისგან თავისუფალ ადგილსა? დავდგეთ აქ განმარტოებით, მყუდროებით, მარხვითა და მღვიძარებით ვილოცოთ უფლისა მიმართ, რათა მოგვიტევოს ჩვენი ცოდვანი.

ლუკიანემ მორჩილებით შეხედა დავითს და უთხრა:

- ჭეშმარიტებას ამბობ, მამაო, მაგრამ ეს უდაბნო კლდოვანი და ურწყულია, ძე ხორციელი აქ არ ცხოვრობს, ნადირითა და ქვეწარმავლებით არის სავსე და ჩვენ კაცნი უძლურნი შევძლებთ, გავუძლოთ ამ გაჭირვებას?

დავითს გაეღიმა და უთხრა:

- ძმაო ლუკიანე, ღმერთმა ისრაელიანები ორმოცი წელიწადი ატარა უდაბნოში და არც წყალი მოაკლო და არც პური. ხოლო ელია თეზბიტელს ყორნის მეშვეობით აწვდიდა საზრდელს. ასე რომ, მივენდოთ უფალს და არაფერს მოგვაკლებს.

დავითი და ლუკიანე დასახლდნენ ერთ-ერთი კლდის ნაპრალში და დაიწყეს უფლის მიმართ მხურვალე ლოცვა, ივერიაში ჭეშმარიტი სარწმუნოების დამკვიდრებისა და ცოდვების მიტე-

ვებისათვის. მოსაგრეებს უფალმა სასწაულებრივი საზრდელი გაუჩინა. მათთან ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, ირმები მოდიოდნენ. ლუკიანე წველიდა, მამა დავითი რძეს ჯვარს გადასახავდა და ყველად აქცევდა.

* * *

აბობოქრებული ბუბაქარი კი გაცოფებული დაეძებდა დავითს და ლუკიანეს. მისმა მეომრებმა და მსტოვრებმა ფეხით მოიარეს მტკვრისა და ივრის ხეობები, მაგრამ მათი კვალი ვერ აღმოაჩინეს.

- ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ!? მოიცა, მოიცა... მაგათ თუ უდაბნოში დაიწყეს ხეტიალი, მართლა ნადირი დაგვასწრებს და შვილს ველარ განვკურნავ.

უცებ ბუბაქარი სელიდან წამოდგა და იყვირა:

- ხვალ დილით სანადიროდ მივდივართ!

ჯერ გათენებული არ იყო, რომ მონადირენი ცურტავის სასახლიდან გავიდნენ. თითქმის შუადღემდე იხეტიალეს უდაბნოში, მაგრამ ვერაფერი მოინადირეს და ვერც ბერების კვალს მიაგნეს. უცებ, კაკბების გუნდი შენიშნეს და უმალ გასწიეს იქით. მიმინო შეამზადეს და გაუშვეს. ერთი კაკაბი იქვე მდებარე მთისკენ გაფრინდა. ამ დროს მამა დავითი მთაზე იყო ასული და ლოცულობდა. კაკაბი მის ფეხებთან დაფრინდა. ბერმა დაინახა, რომ მიმინო მოსდევდა, შეებრალა ფრინველი და შეიფარა. ამ დროს მონადირეებიც გამოჩნდნენ. ბუბაქარმა დაინახა რა ბერი, შეცბა. არ მოელოდა ამ უკაცრიელ ადგილზე ადამიანის გამოჩენას.

- ვინ ხარ შენ!? – შესძახა ბუბაქარმა.

დავითმა სომხურად უპასუხა:

- მე მონა ვარ იესუ ქრისტესი და ამ უდაბნოდან ვევედრები მას, რათა მომიტევოს ჩემი ცოდვები.

სომხურად პასუხის გაცემა იმის მანიშნებელი იყო, რომ დავითს ღვთისგან უკვე ეუწყა, ვინც იდგა მის წინ. გაახსენა ბუბაქარს, რომ ის ქართველი დიდგვაროვანი და მართლმადიდებელი

ქრისტიანი იყო და სატანამ მონოფიზიტურ მწვალებლობაში ჩაა-აგდო. შემდეგ კი აუღელვებლად განაგრძო:

- შენ დაანებე ამ კაკაბის დევნას თავი და სხვაგან ინადირე.

ბუბაქარი მიხვდა, რომ მის წინ დავითი იდგა. იშიშვლა ხმალი და იყვირა:

- მე, პირველად შენი მოკვლა მინდა და შენ კაკაბის შენდობას მთხოვ? უმჯობესია შენი სიცოცხლე მოითხოვო, საწყალო!

დავითმა მშვიდად უპასუხა:

- შენ არათუ ჩემი მოკვლის უფლება გაქვს, არამედ ამ კაკაბ-საც ვერ შეეხები, რადგან ჩვენ უფალი გვიცავს.

ბუბაქარს მოთმინების ფიალა აევსო, ხმლიანი მარჯვენა ზე-ვით აღმართა, რათა თავი მოეკვეთა ბერისთვის. ამ დროს და-ვითმა დაინახა, სამგორის ველის წმიდა გიორგის ნიშის მხრიდან, როგორ აღიმართა ზეცისკენ გაბრწყინებული სვეტი, რომელ-ზეც გამოისახა დიდმოწამე გიორგი. ბუბაქარს ზევით აღმართუ-ლი მარჯვენა გაუშეშდა, ფერი დაკარგა, ცხენიდან გადმოვარდა და დავითის ფეხებთან დაეცა. შეშინებული და აცრემლებული ბუბაქარი ევედრებოდა დავითს ცოდვათა მიტევებას, განკურ-ნებას და აღუთქვამდა, რომ გახდებოდა ქრისტეს აღმსარებელი.

დავითს შეეცოდა უმწეო ბუბაქარი და სთხოვა უფალს მისი განკურნება. გადასახა ჯვარი და ცურტავის მთავარი მეყვსეუ-ლად განიკურნა. სასწაულისგან გაკვირვებული ბუბაქარი მუხ-ლებზე დავარდა წმიდა ბერის წინაშე, ჰმადლობდა მას და ევედ-რებოდა განეკურნა მისი ძე:

- წმიდა მამაო, ჩემი შვილი განკურნე და მთელი ჩემი სახლე-ულით მოვინათლები და თაყვანსა ვცემ შენს მეუფეს – იესუს.

დავითმა თავზე დაადო ხელი მის წინაშე მუხლმოყრილ ბუბა-ქარს და უთხრა:

- წადი, შვილო, შენს სახლში და შენი ძე განიკურნება სახელი-თა იესუ ქრისტესითა.

გახარებული ბუბაქარი შემოახტა ცხენს და მხლებლებთან ერ-თად გაჰქუსლა სახლისკენ. გზაზე არ გაჩერებულან. როგორც კი

მიუახლოვდა სასახლეს, შორიდანვე შენიშნა, მისი განკურნებული ძე, ხტუნვა-ხტუნვით როგორ მორბოდა მისკენ. მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ და სიხარულის ცრემლებით ატირდნენ.

ბუბაქარი თავისი სახლეულით ესტუმრა დავითს და მოინათლა. მას შემდეგ დახმარება და გვერდში დგომა არ მოუკლია ქრისტეს მხედრებისთვის.

* * *

დავითის და ლუკიანეს სასწაულების შესახებ მთელმა ივერიამ შეიტყო. დავითს შეუერთდა პირველი ქართველი მღვდელ-მონაზონი დოდო, რომელმაც დააარსა დოდორქის მონასტერი, ხოლო ლუკიანემ – ნათლისმცემელი. წმიდა დავითმა, კლდეში გამოკვეთა ეკლესია, რომელიც აკურთხა უფლის ფერიცვალების სახელზე, რაც იყო ნიშანი იმისა, რომ ივერიაში მართლმადიდებლობამ გაიმარჯვა. წმიდა ნინომ ხომ ფერიცვალების დღესასწაულზე დაამსხვრია წარმართული კერპები არმაზ, ზადენ, გაც და გაიმ. წმიდა დავით გარეჯელმა და ასურეთიდან ჩამობრძანებულმა წმიდა მამებმა მუხლჩაუხრელი მოღვაწეობით ქართველობა კვლავ დააყენეს ჭეშმარიტების გზაზე.

,,ამის შემდგომად რა წარხდნენ ჟამნი რაოდენიმე, სცნა ამიერ სოფლით განსვლა, მოუწოდა და ყოველთა კრებულთა უდაბნოს მყოფთა ასწავა სულიერნი გზანი და მოღვაწებისა საქმენი, აღიპყრა ხელი, აკურთხნა იგინი და სული თვისი შეჰვედრა ხელთა ღმრთისათა. იყო დიდი ზრუნვა და ტირილი ძმათა შორის“.

ივრისპირელები

ივრისპირეთში გიორგობისთვე განზოგებულიყო. საწნახელიდან ჩამონაჟურ ყურძნის წვენს მაჭრობა დაემთავრებინა და ნელა-ნელა ილექებოდა ქვევრების ძირზე. თუმცა ზოგჯერ ალაგ-ალაგ ამოიბუყბუყებდა, რითაც პატრონს ამცნობდა: ,,ვვაჟკაცდები და თან ვღვინდებიო“. დალოცვილი დედა ღვთისას მიწის სითბო და საგულდაგულოდ მოზელილი თიხისაგან დამზადებული ქვევრი ღვთიურ სითხეს ესალბუნებოდნენ და ამზადებდნენ ქართულ სუფრაზე დასასწრებად. გლეხკაცს ჭირნახული გამოსაზამთრებლად უკვე დაბინავებული ჰქონდა და დიდიან-პატარიანად ემზადებოდნენ საშობაო მარხვისათვის.

ლაფერიაანთ გიორგის, რომელიც ქველდაბასთან ახლოს, მრავალპატარძეულთაგან ერთ-ერთის – ძველპატარძეულის მკვიდრი გახლდათ, სხვა გლეხებისაგან განსხვავებით, სახლში განსაკუთრებული სამზადისი ჰქონდა – იმ არემარეში სილამაზით განთქმულ, დედისერთა ქალიშვილს, ნუნნას ათხოვებდა. სასიძო კი, მეზობელი სოფლიდან – ბერთუბნიდან გახლდათ, სისხლისმსმელი თემურ-ლენგის წინააღმდეგ ომებში გამობრძმედილ-დავაჟკაცებული მეომარი. სახელიც დიდებული ერქვა – ქრისტესია. მომავალი ცოლ-ქმარი მართლაც რომ შეეფერებოდნენ ერთმანეთს. თითქოს ღმერთს ისინი თანაცხოვრებისათვის გაეჩინა ამ ქვეყანაზე. ორივეს ხომ სილამაზეს ვერ დაუწუნებდი, განსაკუთრებით კი ნუნნას, რომელიც არაამქვეყნიური ნათლით გაბრწყინებულ ანგელოზს ჰგავდა. მისი თაფლისფერი თვალები, წარბ-წამწამთან ერთად, პირველი შეხედვისთანავე სასიამოვნო ჟრუანტელს ჰგვრიდა ადამიანს. თოვლივით ქათქათა სახეზე მწიფე ბროწეულის ფერი ბაგენი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, რომ მათი მცირედი შერხევაც დიდი და საამო სიყვარულის ქარიშხალს დაატეხდა ყველაზე თავმომწონე ვაჟკაცებსაც კი. წაბლისფერ თმაზე სულ ახლახანს მოარგეს დიდი რუდუნებით

შეკერილი საქორწილო თავსაბურავი, რამაც ნუნნას ღვთაებრივ სილამაზეს უფრო მეტი მშვენება შესძინა. ქალწულმა დედაკაცებისაგან მოხვეულ თავსაბურავს ხელი მოჰკიდა, რათა უკეთესად მოერგო იგი სახეზე. თავზე დადებულმა მისმა ლოპოტის ხეობის მარმარილოსავით თეთრმა და ნატიფმა თითებმა და შიდა კაბიდან გამოჩენილმა ძუძუ-მკერდის მოელვარე სითეთრემ ისეთი ჰარმონია შექმნა ირგვლივ, რომ წარსულში არანაკლები სილამაზის დედაკაცებსაც შეშურდათ მისი. ნუნნამ იგრძნო გარშემო მყოფთა გულის თქმები და უაღრესი კდემამოსილებით დაიმორცხვა. შემდეგ თავი ასწია და უეცარი შფოთისგან ღაწვებაწითლებულმა, რომელიც მის სილამაზეს უფრო აათასმაგებდა, პირჯვარი გადაიწერა. კიდევ ერთხელ დახარა თავი, მერე დედისკენ წავიდა და გადაეხვია. მისი ეს ქმედება, დედაშვილურ სიყვარულთან ერთად, მომზირალთაგან თავის არიდებასაც ნიშნავდა.

ლაფერიაანთ გიორგის სახლის ეზოში კი დიდი ფუსფუსი იყო. მიუხედავად იმისა, რომ შუადღის მზე მთელი თავისი საშემოდგომო ბრწყინვალებით დაჰნათოდა მიწას, მაინც აღარ ჰქონდა ის ძალა, რომელიც გაათბობდა უკვე დაზამთრებისკენ წასულ არემარეს. მიუხედავად ამისა, საქორწილო სუფრა მაინც ეზოში სახელდახელოდ გაკეთებულ ჩარდახის ქვეშ იშლებოდა. ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. გიორგი ბერთუბნიდან ბევრ სტუმარს ელოდა და მათ, მასპინძლებთან ერთად, თავის პატარა ქოხში ვერ დატევდა.

— ბელტიავ! – გასძახა თავის ძმას გიორგიმ.

ბელტია, რა თქმა უნდა, თიკუნი იყო ნოდარისა, გიორგის ძმისა. გარე კახეთში თიკუნები არავისთვის უცხო არ გახლდათ. იშვიათად ნახავდით კაცს, რომ ზედმეტსახელი არ რქმეოდა. ასე იყო ნოდარიც. ვენახში მუშაობისას მას ვერავინ სჯობდა. როგორც თერძი სათითეს, ისე ხმარობდა ბარს. საშემოდგომო ბარვისას მიწას სულ ბელტებად აქცევდა ხოლმე, თოვლი და ყინვა მაინც დაშლისო. ამიტომაც შეარქვეს თანასოფლელებმა ბელ-

ტია. არანორმალურ შრომასთან ერთად ლხინიც განსაკუთრებული იცოდა. დოქიდან ჯამში ღვინოს ისე არ ჩამოასხამდა, ჯერ დოქისთვის, მერე ჯამისთვის არ ეკოცნა და არ ეთქვა: ,,შე დალოცვილო, შენ მამყვან გაუმარჯოსო!“

— რა არი გიორგი! – გამოეხმაურა ბელტია, — გამოჩნდნენ ბერთუბნელები?

— ვეჟო! ბელტიავ! აბა მოდექ აქა! — ხელით ანიშნა გიორგიმ ძმას.

ბელტიამ მსწრაფლ მიირბინა უფროს ძმასთან და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— რა იყო!? მოხდა რამე!?

— ღვინის საქმეი შენ გაბარებ, ხო იცი!? — უთხრა გიორგიმ ძმას, — მარანში, კედელთან რო ქვევრია, იქა შარშანწინდელი ღვინოა, შარშანდელსა და წლევანდელში არ აურიოთ და თავი არ მამჭრათ ბერთუბნელებთანა, გაიგეე!?

— რას ამბობ, გიორგი! როდის იყო ეგენი მეშლებოდა!?

— რავი, აბა! რო დალევთ ხოლმე, თავმოჭრილი მამლებივით დაჩინდრიკობთ აქეთ-იქით და ამიტომაც გაგაფრთხილე! — იწყინა გიორგიმ.

— შენ მაგაზე არ იდარდო, მივხედამთ. — თქვა ბელტიამ და მარნისკენ წავიდა.

მზე უკვე შუბისტარზე იყო, რომ სიძეც გამოჩნდა მხლებლებითურთ. ატყდა ერთი ამბავი. ძველპატარძეულელები, დიდიან-პატარიანად, ლაფერიაანთ გიორგის სახლისკენ გაიქცნენ. ხალხს საქორწილო ცეკვა-თამაშთან ერთად ის უფრო აინტერესებდა, მათი, მზეთუნახავის დარი ნუნნა ვის უნდა გაჰყოლოდა ცოლად. იყო კი ის ვაჟკაცი მისი შესაფერი სილამაზით თუ არა, მოხდენილობით მაინც.

გიორგი სასიძოს ჭიშკართან მიეგება. ქრისტესია ბერთუბნელი მკვირცხლად ჩამოხდა ცხენიდან, სასიმამროს გამოწვდილ მარჯვენას თავისი კუნთმაგარი მარჯვენა ჩაჰკიდა და მარჯვენა მხარზე ემთხვია. მერე ხალხისკენ მოტრიალდა, მდაბლად დახარა თავი, შემდეგ თვალი მოავლო დამხვდურებს და ვაჟკაცურად შესძახა:

— მშვიდობა და გამარჯვება, ძველპატარძეულელებო!

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა! — გაისმა აქა-იქ.

გიორგიმ წესისამებრ, სასიძო, ხელისმომკიდესთან და რამდენიმე მხლებელთან ერთად, შეიპატიჟა სახლში და დედაკაცებს თვალით ანიშნა ნუნნა გამოეყვანათ. სანამ ქალები თავის საქმეს გააკეთებდნენ, გიორგიმ ქრისტესია გვერდით გაიხმო და უთხრა:

— ქრისტესია, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია და შენ ჩემი სიძე გახდები. დარწმუნებული ვარ, რომ ნუნნასთან ერთად ლამაზ ოჯახს შექმნი და შენს ხელში ჩემი შვილი ბედნიერი იქნება. ერთადერთი თხოვნა მაქვს და უარს ნუ მეტყვი.

— გისმენ, გიორგი ბატონო, ასეთი რა უნდა მთხოვო, რომ უარი გითხრა?

— იცი, ჩემი შვილი როგორი პატიოსნებით და სიყვარულით გავზარდე. მართალი გითხრა, ძალიან მიჭირს მისი სახლიდან გაშვება. მაგრამ წესი წესია, ქალი უნდა გათხოვდეს და ამრავლოს ადამიანთა მოდგმა. ხომ იცი, მამა ვარ და ყველაფერს განვიცდი. ამას უფრო მაშინ მიხვდები, როდესაც თვითონ გახდები მშობელი. მოდი, გული გულის ალაგას რომ დავიდო, მინდა, რომ აქედან ჯვარდაწერილები წახვიდეთ... — თქვა გიორგიმ და თან ძალიან განიცადა, სიძემ შეურაცხყოფად არ მიიღოსო.

ქრისტესიას გაეღიმა და უთხრა:

— რატომ, გიორგი, არ მენდობი, თუ რა ვიფიქრო, არ ვიცი? ჩემს სოფელში მღვდელი მელოდება და მე და ნუნნა მხოლოდ ჯვარდაწერილები შევალთ ოჯახში.

— ვიცი, ქრისტესიავ, და მეამაყება, რომ შენისთანა კაცის ცოლი ხდება ჩემი შვილი, მაგრამ... მე მაინც... მე ცოდვილი ესე ვფიქრობ, იქნებ დამეთანხმო, ჰა? — თითქოს ბოლო სიტყვას გული ამოაყოლა გიორგიმ.

ქრისტესია მიხვდა ნუნნას მამის წუხილს, გიორგის ადგილას წარმოიდგინა თავისი თავი და როგორც ვაჟკაც და მეომარ ადამიანებს, თავისი გულჩვილობიდან გამომდინარე სჩვევიათ ხოლმე, გაეღიმა, გიორგის თავისი მარჯვენა დაადო მხარზე და უთხრა:

— იყოს ნება შენი. ღმერთის სახლი, ღმერთის სახლია, გინდა ძველპატარძეულში ყოფილა და გინდა ბერთუბანში. გაგვიძეხი და წამოვალთ!

გიორგიმ ღრმად ამოისუნთქა. გადაეხვია სასიძოს და თვალცრემლიანმა უთხრა:

— ასეც ვიცოდი, რომ ვაჟკაცი იყავი და ახლა კიდევ ათასჯერ უფრო მეტად გაიზარდე ჩემს თვალში.

ამასობაში დედაკაცებმა ნუნნაც გამოიყვანეს თავისი ოთახიდან და წარუდგინეს ქრისტესიას. ბერთუბნელს თავისი მომავალი მეუღლის ღვთაებრივი სილამაზის შესახებ ბევრი ჰქონდა გაგონილი, მაგრამ საკუთარი თვალით დანახულმა, ამ მრავალჭირგამოვლილ და მრავლისმნახველ ვაჟკაცს, ყველაფერი დაავიწყა. მის წინ არაამქვეყნიური სილამაზის ქმნილება იდგა. ქრისტესიამ თავი ვერ შეიკავა და განცვიფრებულს აღმოხდა:

— დიდება შენდა, ღმერთო, რომ ასეთი მეუღლის ღირსი გამხადე!

ნუნნამ დაიმორცხვა, სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა, დახრილი თავი ოდნავ ასწია და ქრისტესიას ვაჟკაცურ, არწივისებურ გამოხედვას თვალი ვერ მოსწყვიტა. მის წინ შავწვერულვაშიანი, გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცი იდგა. მკაცრი გამომეტყველების, ლოყაზე მცირე ზომის ნაიარევით, რომელიც მის გარეგნობას უფრო მიმზიდველს ხდიდა. ქალს გულისცემამ უმატა, მაგრამ მყისიერად მოეგო გონს და მორცხვად დედისკენ გაიხედა. მშობლის აცრემლებული თვალების დანახვის შემდეგ ნუნნა მიხვდა, რომ მისი პატრონი და აჩქარებული გულის დამამშვიდებელი, მშობელი დედა კი არა, მის წინ მდგარი მამაცი ჩაუქი იყო, რომელსაც ის სიყვარულით და ერთგულებით მარადისობისკენ უნდა წაეყვანა. გულით და შინაგანი გრძნობებით მოსაუბრე მომავალი ცოლ-ქმარი ლაფერიაანთ გიორგის ხმამ გამოაფხიზლა:

— ეკლესიაში მღვდელი გველოდება. დროა საქმეს შევუდგეთ.

სტუმარ-მასპინძელნი გაეშურნენ ძველპატარძეულის ყორანმთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრისაკენ. შუაგულ ტყეში, პატარა, კოპწიად ჩადგმული ღვთის სახლი, რომელსაც საფუძ-

ველი ჯერ კიდევ წმიდა ვახტანგ გორგასლის დროს ჩაეყარა, იდგა ამაყად და მაღალი მთიდან გადაჰყურებდა სამგორის ცნობილ ველს, რომელიც მტრის გამუდმებული შემოსევების შედეგად იავარქმნილიყო, ხოლო ბარში მცხოვრები მოსახლეობის დროებითი ნავსაყუდელი ცივის მთა, მუდმივ საცხოვრებლად ქცეულიყო. მტერი აურაცხელი ჰყავდა ქართველებს, მაგრამ ღმერთის შეწევნით, მაინც მყარად იდგა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე... ავადსახსენებელი თემურ-ლენგის შემოსევებს ხომ ბოლო არ უჩანდა. მძიმე უღელი ედგა ქართველობას მხრებზე. ამიტომაც ზაფხულ-შემოდგომაზე მოყვანილი მოსავალი ხალხს მთაში აჰქონდა და იქ იზამთრებდა. კაწარეთისა და ქველდაბის გარშემო უამრავი პატარა დასახლება აშენდა. ქველდაბის ახლოს დასახლებული პატარაძეს შთამომავლებმა იმრავლეს და ცალ-ცალკე დასახლდნენ ცივის მიდამოებში. ასე რომ, ქველდაბის გარშემო დიდი დასახლება შეიქმნა პატარძეულის სახით. ერთ-ერთი ასეთი სწორედ ყორან მთის ახლოს მდებარე პატარძეული იყო, რომელსაც ძველპატარძეულს ეძახდნენ, ალბათ იმიტომ, რომ პირველი პატარაძე აქ დასახლდა.

მექორწილენი ყორან მთის წმიდა გიორგის ტაძარს მიუახლოვდნენ. ზეიმისათვის დამახასიათებელი სიცილ-კისკისი უცებ ჩაცხრა და ღვთის მოშიში მართლმადიდებლები მორჩილად და პირჯვრის წერით გაჰყვნენ სიძე-პატარძალს. ტაძარში შესულ ქრისტესიას და ნუნნას მამა ევსტათი მიეგება. ანალოღიასთან მდგარმა მღვდელმა ჯვარი გადასახა ახალგაზრდებს და ჯვრისწერისათვის განკუთვნილი წესის შესრულების სამზადისს შეუდგა. სიძე-პატარძლის ახლობლებმა სანთლები დაანთეს. იქაურობა გაბრწყინდა. საკმევლის საამო სურნელმა ჯვრის წერას მეტი სითბო შესძინა. თავზე გვირგვინდადგმული ქრისტესიას და ნუნნას ნახვას არაფერი სჯობდა. დღეს ქართულმა ჯიშმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი სადარი დედამიწის ზურგზე არავინ არის.

— აი, ამიტომაც მოდიან ცხრა მთის იქიდან ჩვენს დასაპყრობად. — თავისთვის ჩაილაპარაკა სიძე-პატარძლის სილამაზით მოხიბლულმა ბერთუბნელმა ალექსამ.

— ჰოო... ძაან ცოტანიღა ვრჩებით ნელა-ნელა. — გამოეპასუხა სტუმარს ძველპატარძეულელი მიტუა.

— ვინც შემოგვესია, ყველამ ჯანმრთელი და ლამაზი გოგობიჭები დაატყვევა და წაიყვანა აქედან, — გააგრძელა ხმადაბლა საუბარი ალექსამ, — აგე, იმ კოჭლ თემურას თურმე ისეთი ლამაზმანები გაუგზავნია სამარყანდში, რომ მათი შემხედვარე ქართველები ცხარე ცრემლითა ტიროდნენ თურმე.

— ჰოო... — გააგრძელა მიტუამ, — ეგ თემურაა თუ ვიღაც ჩემი ფეხები, თუ არ მოვიშორეთ აქედან, კარგ დღეს არ დაგვაყრის ჩვენა.

ახლადგაცნობილ და დანათესავებულ კაცებს საუბარი მამა ევსტათის სიტყვებმა შეაწყვეტინა. მღვდელს ახლადჯვარდაწერილი წყვილი ამბიონზე აეყვანა და ლოცავდა. მერე კიდევ ერთხელ გადასახა ჯვარი და ხალხს მოუწოდა მიელოცათ სიძე-პატარძლისთვის ოჯახის შექმნა.

გაბრწყინებულნი და სიხარულით აღსავსე მექორწილენი მიიჩქაროდნენ ლაფერიაანთ გიორგის სახლისკენ, სადაც ჩარდახის ქვეშ გაშლილი საქორწილო სუფრა ელოდათ.

ბერთუბნელები დიდხანს არ გაჩერებულან ნადიმზე. მიირთვეს ღმერთის სადიდებელი, სამშობლოს, ოჯახების, სიძე-პატარძლის სადღეგრძელოები, იმღერეს, იცეკვეს და მალევე აიშალნენ, რადგან ბერთუბანში დაღამებამდე უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ლაფერიაანთ გიორგი და მისი მეუღლე მართა ცრემლიანი თვალებით ემშვიდობებოდნენ თავიანთ ერთადერთ ქალიშვილს, სიძეს და ოჯახის სტუმრებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სადღაც შორეულ ქვეყანაში აგზავნიდნენ შვილს და მის ნახვას ვეღარ მოესწრებოდნენ. მეზობლები და ნათესავები ამშვიდებდნენ ნუნნას მშობლებს. ოთარაანთ სალომემ კი მართას გაუბედა და გასძახა:

— რა იყო, ქა? შვილი ვის არ გაუთხოვებია, მაგრამ ეგრე არ უტირნიათ!. რა? ბერთუბანი აქვე არ არიი? ხშირადა ნახამ ხოლმე ნუნნასა!

დედის გული კი სხვა ტკივილს გრძნობდა და ამიტომაც მართას ცრემლები ღვართქაფად მოსდიოდა თვალებიდან.

* * *

შუა აზიის ცხელ უდაბნოში ცხენთა ფლოქვების თქარუნისაგან ათქვეფილი ქვიშის მტვერი ცას სწვდებოდა. ინდოეთის ლაშქრობიდან მომავალი თემურ-ლენგის გამარჯვებული ლაშქარი სამშობლოში, სამარყანდში ბრუნდებოდა. მაგრამ მათი ასეთი სწრაფვა გამარჯვებულების ზარ-ზეიმით სვლას არ ჰგავდა. ეს უფრო გავეშებული და შურისძიებით ავსებული ველური მოდგმის აფორიაქება იყო. მზის ჩასვლისას თემური უკვე სამარყანდის სასახლეში იჯდა თავის ტახტზე და ვეზირებთან და სარდლებთან ერთად ჩაის მიირთმევდა.

— მაშ, მაგ ურჯულოებმა აჯანყება მომიწყეს!? — ღრიალებდა თემური.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, ისეთი, რომ ახლად მოწოდებული ცხელი ჩაით სავსე ფინჯნებს ორთქლიც კი არ ასდიოდათ, რათა მათაც არ დაემსახურებინათ მბრძანებლის რისხვა. თემურმა მის წინ მდგარ დაბალფეხებიან მაგიდას კოჭლი ფეხი ამოარტყა, ყველა მისი ქვეშევრდომი უმალ ფეხზე წამოიჭრა, მერე მუხლებზე დავარდნენ და თავები იატაკს დაახეთქეს. განრისხებული მბრძანებელი ზევიდან უყურებდა თავის ხელქვეითებს და ვერ წარმოედგინა, მისი აქ არყოფნის დროს რას აკეთებდნენ ეს გაუმაძღარი მლიქვნელები.

— შენ გეუბნები, მირან-შაჰ! — დაიღრიალა თემურმა.

თემურ-ლენგის ვაჟი მირან-შაჰი, ინდოეთში წასვლამდე, თემურმა ადერბეჯანისა და მახლობელი თემების გამგებლად დანიშნა... იგი უმწეო მმართველი გამოდგა, რითაც ისარგებლეს მისი გამგებლობის ქვეშ მყოფმა ერებმა და როგორც კი თემურ

-ლენგი ინდოეთისკენ წავიდა, მაშინვე აჯანყება დაიწყეს მონღოლთა მბრძანებლის წინააღმდეგ.

— მირან-შაჰ! – ღრიალებდა თემური, — შენ თვითონ მომიყევი, რა დაგმართეს იმ ურჯულო გურჯებმა!? ერთი ტყუილიც რომ მითხრა, თავს გაგაგდებინებ! — გამოსცრა კბილებში თემურ-ლენგმა და ხმლის ვადას ჩასჭიდა ხელი.

— მბრძანებელო, - აკანკალებული ხმით დაიწყო საუბარი უმწეო მირან- შაჰმა, — არ ვიცი გურჯების მეფე გიორგიმ ასე უცბად როგორ მოასწრო ჯარის შეკრება. თითქოს მიწიდან ამოვიდნენო: კახელები, ქართლელები, მესხები, შირვანელები, სომხები. ლიხთ-იმერეთის ლაშქარიც აქ გაჩნდა...

— მერე!...— გაცოფდა ლენგი.

— უკვე კარგა ხანი იყო, რაც სულტან ახმედ ჯელაირის შვილი ტაჰერი, — განაგრძო მთლიანად ოფლში მცურავმა მირან-შაჰმა, — ალინჯაკის ციხეში სულტან სინჯარ ჰაჯი სეფედინის მიერ, მისთვის მიცემული ბრძანების თანახმად, გარემოცული გახლდათ. აღების გასაადვილებლად, ამ ციხეს მრავალმხრიდან ქვიტკირის კედლები მოავლეს ისე, რომ არც ციხითგან შეეძლო ვისმე გარეთ გამოსვლა და არც გარედან უშვებდნენ ვინმეს ციხეში. ამის გამო მომწყვდეულნი შეწუხდნენ, მაგრამ გურჯებმა მის დასახმარებლად ლაშქარი შეჰყარეს და გადასარჩენად გაემგზავრნენ.. სეიდ ალი შექისელიც, რომელიც თუმცა მაჰმადიანია, მაგრამ მაინც, მისი საგამგეოს ჩვენგან აოხრების გამო, შურისძიებით იყო აღძრული, აგრეთვე გურჯებს მიემხრო. გურჯები და შაქისელი, ტაჰერის მისაშველებლად, ალინჯაკსაც მიადგნენ და ადერბეჯანის ვილაიეთის მაჰმადიანების დარბევასაც მიჰყვეს ხელი.

— შენ რას აკეთებდი ამ დროს!? — იყვირა თემურმა.

— მე,... მე,... მე,... მბრძანებელო... — აწკმუტუნდა მირან-შაჰი, — ეს ამბავი სულტან სინჯარმა თავრეზში შემატყობინა... მე, მე... ჩემი შვილი და თქვენი შვილიშვილი აბუბექარი და ნოინები ლაშქრით ალინჯაკის ციხისკენ გავგზავნე. მაგრამ გურჯებ-

მა ალინჯაკის ციხის აღება და ტაჰერის განთავისუფლება მაინც შეძლეს. დაპყრობის შემდეგ ალინჯაკის ციხე ჰაჯი სალეხს, სეიდ ახმედსა და სამ გურჯ მეციხოვნე აზნაურს ჩააბარეს.

— შენ თვითონ რატომ არ უსარდლე ლაშქარს!? — იღრიალა თემურ-ლენგმა და ტახტის გვერდით, სამკუთხა ტაბლაზე მდგარ შარბათით სავსე დოქს მოჰკიდა ხელი და მთელი ძალით ესროლა მირან-შაჰს. საბედნიეროდ, გატყორცნის დროს დოქს ყური მოტყდა და მიზნამდე ვერ მიაღწია.

— გააგრძელე! — იღრიალა ისევ თემურ-ლენგმა, — ჩემი მხედრობა დამარცხდა!?

— დიახ, მბრძანებელო. მართალია, სეიდ ალი შექისელი მოკლეს ჩვენებმა, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ და აბუბექარმა და მისმა გადარჩენილმა მხედრობამ ისევ თავრიზს შეაფარეს თავი.

— ოო! ალაჰ! — ამოიხრიალა თემურ-ლენგმა, — გურჯისტანი მიწასთან უნდა გავასწორო! თოხთამიში აღარ გიდგათ უკან. ახლა ვისი იმედი გაქვთ, თქვე ურჯულოებო! ოო! ალაჰ!..... — მერე თავისი მრისხანებით ავსებული თვალები გარშემომყოფთ შეავლო და იღრიალა, — ყველანი გაეთრიეთ აქედან! მხედართმთავრები დარჩით!

სათანადო განკარგულებების გაცემის შემდეგ თემურ-ლენგი არდაველის გზით ჯერ ყარაბაღისკენ წავიდა, როგორც სჩვეოდა მუღანსა და აღდამში ინადირა, შემდეგ მდინარე არეზზე ნავებისაგან გაკეთებულ ხიდზე გადავიდა და ირანის ყარაბახში საზამთროდ ჩამოხდა. აქ მას სეიდ ალი შექისელის შვილი შეიხ იბრაჰიმი ეახლა მორჩილებით, მდიდარი საჩუქრები და ყოველნაირი უხვი ძღვენი მიართვა. თემურ-ლენგმა შეიხ იბრაჰიმს შირვან-შაჰობა უწყალობა და შინ გაისტუმრა. თვითონ კი საქართველოში გამოსალაშქრებლად სამზადისს შეუდგა. თემურის ბრძანებით მხედრობის ნარჩევი ათეულებიდან სამ-სამი ჩაუქი მხედარი უნდა გამოეყოთ და ერთი თვის განმავლობაში განსაკუთრებული განწესებით გაეწვრთნათ. ამასთან თითოეულ მხედარს თან უნდა ჰქონოდა ათი დღის საგზალი. თემურ-ლენგმა აზიიდან წა-

მოიყვანა ნახევრად ველური ტომი სართებისა, რომელნიც ჩაღა-თაელებთან ერთად, სადაც გაივლიდნენ ყველაფერს სპობდნენ. მათ დაემატათ შირვანისა და შაქის მხედრობაც. ასე რომ, თემურ-ლენგის ასი ათასიანი ლაშქარი მზად იყო პირველივე დაძახება-ზე დაძრულიყო საქართველოს ასაოხრებლად.

კიდევ ერთი საუკუნე ისტორიისა ითვლიდა უკანასკნელ დღე-ებს. გიორგობისთვე განზოგებულიყო.

* * *

მექორწილენი ნელა-ნელა ეშვებოდნენ ქველდაბასა და ძველ-პატარძეულის მთებიდან. პატარძალი თავის მზითევთან ერთად ახლად აწყობილ, მოჩარდახებულ ურემში ჩაესვათ. წინ ცხე-ნებზე ამხედრებული ოთხი ბერთუბნელი ვაჟკაცი მიუძღვოდა, ხოლო ურმის უკან ქრისტესია და ხელისმომკიდე ბაქარი აყელ-ყელავებდნენ თეთრონებს. უსაქმოდ არც სხვები იყვნენ. მრა-ვალჟამიერის მრავალხმიანობით შეძრეს არემარე. გვიან შემოდ-გომის ძილით გარინდებული ბუნება გამოაცოცხლეს და კიდევ ერთხელ დაანახვეს სულიერ და უსულო მოდგმას, რომ ღმერთის კურთხევით დედამიწის ბატონ-პატრონი ადამიანია.

ტყიდან გამოსულმა მექორწილეებმა, როგორც კი გაივაკეს, გეზი მარცხნივ აიღეს და ბერთუბნისკენ მიმავალ საურმე გზას დაადგნენ... მზე უკვე დიდი ხნის დამალული იყო ღრუბლებში, ცოტა ჩამოთბა კიდეც.

— ქრისტესიავ! – შესძახა წაბლისფერ ცხენზე ამხედრებულ-მა ნუნნას ძიამ, ბელტიამ, — იგეთი ამინდია, რომ ბერთუბნამდე მგონი, პირველი თოვლიც დაგვეწევა გზაში.

— მაშ, მაშ, — აჰყვნენ ბელტიას მრავალჟამიერის მომღერ-ლები, — კარგია თოვლი, კარგი, მოსავალ მოუხდება, მიწაი გაა-კეთილშობილებს, გააფხვიერებს მაგ დალოცვილს.

— ჰაერსაც გაწმენდს, — არ ცხრებოდა ბელტია, — ჭირი და ჟამიანობა აღარ იქნება ქვეყანაზედა. ამ დალოცვილ ქრის-ტე ღმერთსა ყველაფერი კარგადა აქ მოწყობილი. აგე პირველი ფიფქებიცა.

ზეციდან წამოსული პირველი ფანტელები თანდათან გახშირდა. მექორწილეებს პირველი თოვლის მოსვლა პატარა ბავშვებივით უხაროდათ. ცხენებს წინ და უკან დააქროლებდნენ და ჰქონდათ ერთი ჟივილ-ხივილი. პატარძლის ურმის წინ მიმავალი ოთხი ცხენოსნიდან ერთ-ერთმა ჰკრა დეზი თავის ჭაკს, მერე მათრახიც გადაუჭირა და წინ გაიჭრა.

— რაო, რა ხდებაო! — გასძახა ბიჭებს ქრისტესიამ, — სად წავიდა!?

— მახარებლად წავიდა, ქრისტესიავ! მახარებლადა!

როდესაც მექორწილენი ქრისტესიას კარ-მიდამოს მიუახლოვდნენ, თოვლი უკვე მიწაზე კოჭებამდე იყო დადებული. მახარებელს მექორწილეთა მალე მისვლის ამბავი უკვე ეხარებინა, ცეკვაც მოესწრო, ერთი დიდი თიხის ჯამით ღვინის დალევაც და სამახარებლო საჩუქარიც მიეღო.

ურემი ეზოს ჭიშკართან გააჩერეს. ხელისმომკიდე ბაქარი მიუახლოვდა ურემს, ჩარდახს გადაფარებული ტყავი გადასწია, ნუნნა გადმოიყვანა და მიჰგვარა ქრისტესიას. როგორც კი სიძე-პატარძალმა ჭიშკრის ზღუდე გადალახეს, გაისმა დოლისა და ჭიანურის სასიამოვნო ხმა, რასაც მოჰყვა საქორწილო მრავალჟამიერი. ქვიტკირის კარგად ნაშენი და საკმაოდ დიდი სახლიდან, ქრისტესიას მშობლები გამოვიდნენ დიდი ხონჩით ხელში, რომელიც სხვადასხვა ნუგბარით იყო სავსე, მიეახლნენ სიძე-პატარძალს, მიულოცეს, ჩაეხუტნენ და შინ შეიპატიჟეს. ქრისტესიას მეგობრებმა საქორწილო სიმღერების გულში ჩამწვდომი ჰანგებით აავსეს სახლი. ელისაბედმა ნუნნას ოქროსგან ნაკეთი გულსაბნევი აჩუქა, მერე შვილსა და რძალს ჩაეხუტა და სიხარულის ცრემლებით ატირდა.

ბედნიერებით ავსებულიყო ქრისტესიას სახლი. გარეთ კი დაუცხრომლად თოვდა.

მასპინძლებმა სტუმრები საქორწილო სუფრასთან მიიწვიეს. ისხდნენ საზეიმო შესამოსელში გამოწყობილი ვაჟკაცები და ოჯახის უფროსის კურთხევას ელოდნენ. იოსებმა წესისამებრ

ყველას მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და ოჯახის ბედნიერების გაზიარებისთვის, უფალს მადლობა შესწირა და ჯვარი გადასახა სუფრას. თამადად კი ქრისტესიას მეგობარი ალექსანდრე დაადგინა. ალექსანდრემ, თავის მხრივ, უღირსად მიიჩნია თავი ესოდენ პასუხსაგები საქმისთვის, თუმცა თანამეინახეთა შეგულიანებამ და ზომიერმა ძალდატანებამ თავისი გაიტანა და ალექსანდრემაც უარი ვეღარ თქვა თამადობაზე.

ხალხო! — ხმამაღლა დაიწყო თამადამ, — სტუმრებო და მასპინძლებო! ქართველობა ის მოდგმა ვართ, რომლებიც გამდიდრებისათვის, ზოგიერთი მომთაბარე ტომებივით, არ დაძრწის ქვეყნიერებაზე. ჩვენ მუდამ ღმერთის საქმეს ვაკეთებდით და ამას არ მოვიშლით უკუნისამდე. უფლის წყალობით, ჩვენ მივეცით ადამიანთა მოდგმას პური და ღვინო. შულავერის მთაზე მოყვანილი ხორბალი და მესხეთის მიწაზე მოწეული ყურძნის ღვინო პირველი და საუკეთესო იყო დედამიწაზე. ქრისტემ პური და ღვინო აირჩია თავის ხორცად და სისხლად, რაც ჩვენ არ გვაძლევს უფლებას გადავუხვიოთ მართლმადიდებლობის გზას, რომელიც ჩვენს სამშობლოს და ქვეყნიერების ყველა მართლმადიდებელს მიიყვანს გამარჯვებამდე.

მერე თამადამ წარმოთქვა მამის, ძის და სულიწმიდის სადიდებელი, სამშობლოსა და ოჯახის სადღეგრძელო. ქრისტესიასა და ნუნნას ახლადშექმნილ ოჯახს მზეგრძელობა და მრავალშვილიანობა უსურვა და მერე ჭაშნაგირებს გასძახა:

— იოსებას ოჯახის მთავარი სიმდიდრე, მამა-პაპური, თამარისდროინდელი ყანწი მომართვით!

დარბაზონის გვერდზე მდებარე თვალში, კედელზე გაკრულ ხალიჩაზე, ხმალთან და ხანჯალთან ერთად დაკიდებული იყო ჯიხვის რქისგან დამზადებული ყანწი. ეს ჯიხვი ქრისტესიას წინაპარს მოუკლავს ხევსურეთში ნადირობისას და ის განკუთვნილი იყო მხოლოდ ერთადერთი სადღეგრძელოსთვის. ამ სასმისით გმირ წინაპრებსა და სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟკაცებს იგონებდნენ ხოლმე... ჭაშნაგირმა ყანწი ხელში შეათამაშა, მერე შეავსო ღვინით და თამადას მიართვა.

— ხალხო! — დაიწყო ალექსანდრემ, — ჩვენს სამშობლოს მომხდური ბევრი ჰყოლია და ჰყავ კიდევაცა. ამიტომაც საქართველოს უამრავი გმირი ჰყავს, რომლებმაც ჩვენი გადარჩენისათვის თავი შეაკლეს მტერს. მათი დიდებისა მინდა ვთქვა, მეფედან დაწყებული უბრალო გლეხით დამთავრებული. მათ ჩვენ ვერ ჩამოვთვლით, რადგან ბევრი სახელოვანი ვაჟკაცი გამოგვრჩება სათვალავშია. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენს ქრისტესიას ხმალთან ერთად კალამიც კარგად უჭრის, სიტყვამრავალი და საუკეთესო მელექსეა. ქრისტესია წლების წინ, ჭაბუკობაში, მეფემ სხვა მზვერავებთან ერთად ბოლნისში გააგზავნა. ამ გზით უნდა შემოსულიყო თემურ-ლენგის ლაშქარი საქართველოში. აი, ეს ამბები აღწერა თავის ლექსში ქრისტესიამ და თუ ნებას დამრთავს წავიკითხავ. ქრისტესიამ მორიდებული დასტური უთხრა თამადას. ალექსანდრემ კი ყანწი კარგად მოიმარჯვა და დაიწყო:

ქართველთა თავზე ოდითგან დღემდის
ბევრმა გრიგალმა გადაიარა,
შემოსევებმა აურაცხელმა,
ერს დაუტოვა ბევრი იარა.

ჯალალედინმა ლახვარი ჩასცა,
დავით-თამარის შექმნილ სამოთხეს
და მონღოლების ველურთა მოდგმამ
ქართველთა მიწა მთლად გადათელეს.

მას შემდეგ განვლო არც თუ დიდმა დრომ,
თითქოს მოშუშდა ყველა ჭრილობა,
კაენმა ისევ გამოჰყო ეშვი
და აირია ქართველთ მშვიდობა.

აღმოსავლეთით ქარბუქი ატყდა,
უსაშველო და დაუნდობელი,
ქვა-ქვაზე არვის არ დაუტოვეს,
გაწყვიტეს გმირთა სახსენებელი.

ღვთისგან წყეულმა ლანგმა-თემურმა,
ქრისტეს მიმდევრებს ესროლა მზერა,
სომხეთი მოსპო, დაწვა ყოველი
და გააშიშვლა მათი ტერტერა.

ქართველთა მეფემ არ დააყოვნა,
უმალ ეძგერა მომხდურს პირისპირ,
თემური ამ დროს ყარაბაღს იდგა,
როდესაც ამცნეს სიძლიერე მტრის.

განრისხებულმა დაძრა ლაშქარი,
მათმა სიმრავლემ ზეცა დაფარა,
ფოლადაურის ხევში შეჩერდა,
განცვიფრებულმა ლაშქარს შეხედა.

მის წინ ხუთასი ქართველი იდგა,
მამულისათვის ხმალამოწვდილი,
იდგნენ ჩაუქი ბოლნისელები,
ქართულ აკვანში გამობრძმედილნი.

მყისვე ეძგერნენ ველურთა მოდგმას,
მოსრნეს მრავალნი დავითფერულით,
ზეცას შეასხეს სისხლი მომხდურის,
არ გაატარეს ფოლადაურით.

ბოლოს იძლიეს ქართველთა მტრისგან,
შემოეკედლნენ ციხეს ბოლნისის,
სამ კვირიაკეს ბრძოდნენ გმირულად,
არ შეარცხვინეს მოდგმა ქართველის.

შელეწეს ბოლოს თათართა ბჭენი,
ბრძოლა გაჩაღდა უკანასკნელი,
ჩაუქ ბოლნისელთ თავები დასჭრეს,
სისხლით შეღებეს საკურთხეველი.

ისინი მოკვდნენ მტრისგან ძლეულნი,
მაგრამ უკვდავნი დარჩნენ მარადის,
უკვდავნი ბევრნი ჰყავდათ ქართველებს,
ნათელში იყვნენ აწ და მარადის!

თვალებზე ცრემლმომდგარმა ალექსანდრემ ყანწი ბოლომდე დაცალა, ულვაშებზე თითები გადაისვა, ამოისუნთქა, თითქოს ამას სამშობლოს გასაჭირის მთელი დარდი ამოაყოლაო, მერე კი სტუმრებისაკენ გაიხედა. ჭაშნაგირებს ანიშნა ყანწი პატარძლის ბიძისთვის მიერთმიათ.

— აბა, ჩემო ნოდარ, შეუდგები ქრისტესა!? — ომახიანად შესძახა თამადამ.

თანამეინახეებთან საუბარში გართულ ბელტიას ყურადღება არ მიუქცევია თამადის სიტყვებისათვის. სტუმართაგან ერთ-ერთმა კი თამადას უთხრა:

— მაგაი ბელტია თუ არ დაუძახე, თავისი ნამდვილი სახელი აღარც ახსოვს.

ალექსანდრეს გაეღიმა და კვლავ გაიმეორა:

— ბელტი! აბა, შეუდგები ქრისტესა!?

ბელტია ფეხზე წამოდგა. ერთი კარგად გაიცინა, ჭაშნაგირს შევსებული ყანწი ჩამოართვა და გახარებულმა აღმოთქვა:

— მა რას ვიზამ, შევუდგები ქრისტესა! აბა, ჩვენი სახელოვანი გმირების ხსოვნისა იყოი! ისე ღვინოც და ლექსებიც კარგი

სცოდნია ჩვენს სიძესა. — თქვა ბელტიამ, ჩამოცალა ყანწი, ხელში შეათამაშა, აკოცა და თამადას დაუბრუნა.

ქორწილი უხვი პურადობიდან ხელგაშლილ ნადიმში გადაზრდილიყო. ეზოში მდებარე ჩარდახის ქვეშ ოჯახის მეზობლები და ახლობლები ფუსფუსებდნენ. ისინი ზრუნავდნენ მექორწილეთა ხორცეულით მომარაგებაზე. იქვე სახელდახელო სუფრაც ჰქონდათ გაშლილი და კარგადაც იყვნენ შეზარხოშებულნი.

— ბიჯო! ზაქრო! აბა ერთი ჩამამისხი! მგონი ამ ღვინომ გამამაკეთა ფინთი პატარძალივითა. — გაიძახოდა ქრისტესიას მეზობელი ეფრემა და თან ზაქროს აკანკალებული ხელით ღვინის ჯამს აწვდიდა.

— აჰა, ერთიც დალიე, ეფრემა ძია, და მართლა გამოკეთდები. — ეუბნებოდა ზაქრო და თან ჯამში ღვინოს უსხამდა.

— ჰოო, ვეჟოო, ამ ნასმურევზე რაღაცეები მემართება ხოლმე. თუ არ დავლიე, შეიძლება უცბად იმ ქვეყანაში გავიდე.

ნახევარ საუკუნეს გადაბიჯებულ ეფრემას ღვინისა და არყის სმა ახალგაზრდობიდანვე უყვარდა და ლოთობა თითქმის ყოველდღიურ საქმიანობად გადაექცია. მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ მეხი ჩაუვარდა არყით სავსე ჯამში და სიკვდილს გადაურჩა, ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. როგორც კი შენიშვნას მისცემდნენ, რათა ნაკლები დაელია, მაშინვე წამოიყვირებდა ხოლმე:

— წმიდა გიორგი გამომეცხადა თეთრი ცხენითა. ჩემთან შემოვიდა სახლშია. მე და მიქელა ვსვამდით ღვინოსა. ეგრე მითხრა: ,,როგორც გიცხოვრია, ისევ ეგრე იცხოვრეო!“ - ეფრემამ ღვინით სავსე ჯამი ჩამოცალა და იგივე გაიმეორა:

— ჰოო! ეგრე იყო, წმიდა გიორგიმ მომცა კურთხევა.

— კარგი რა, ეფრემა ძია, რაღაცებს ნუ მოიგონებ ხოლმე. — იცინოდა ზაქრო, თან გავარვარებულ წალამზე დაწყობილ ღორის ხორცით დახუნძლულ თხილის ხისგან გამოთლილ შამფურებს ატრიალებდა.

— კაცოო, ჩემი თუ არა გჯერა, ენდე მიქელასა ჰკითხე. — არ ცხრებოდა ეფრემა.

— ჰოო, კაცო, სიზმარში ნახა კაცმა, რა მოხდა მერე, — ალაპარაკდა თონის გვერდზე ნაბადში ჩათბუნებული მიქელა, — მეც იქ არ ვიყავ?...

— თქვენ მე გამაგიჟებთ, — სიცილს ძლივს იკავებდა ზაქრო, — ეფრემამ თუ სიზმარში ნახა წმიდა გიორგი, შენ იქ როგორღა იყავ, ჰა?

— ჩვენა სიზმარში ხშირადა ვხვდებით ერთმანეთსა, — ისევ აბურდღუნდა მიქელა, — და ხშირადა ვსვამთ კიდეცა. ზოგჯერ დილითა ისეთი მთვრალი ვდგები ხოლმე, რო თუ არ გავაგრძელე, შეიძლება რამე მამივიდეს. ისე რო, მე და ეფრემა დღე და ღამე ერთადა ვართ და შენ როგორ უნდა მასწავლო წმიდა გიორგი გამაეცხადა თუ არა.

— რა უნდა გელაპარაკოთ, — ხელი ჩაიქნია ზაქრომ, — ამდენი სმისგან ტვინი გაქვთ არეული.

— შენა შენ თავ მიხედე, ეგე დასანიშნი რო ხაარ, თორემა, ჩვენ შენხელა შვილები გვყაამ, — ნიშნის მოგებით უთხრა ეფრემამ ზაქროს, — ეგე, ქრისტესიამ გაჯობა.

— დავინიშნები, ჯერ რა მეჩქარება. — თქვა ზაქრომ, შემწვარი ხორცით სავსე შამფურებს ხელი დაავლო და მექორწილეებისკენ წავიდა.

ნაბადში შეფუთულმა მიქელამ თავი გამოყო და მიაძახა:

—ამის საქმე ისეა, კიტრი რო დაბერდება თესლს მაშინ იკეთებსო.

ქრისტესიას სახლიდან ქართული სიმღერების ტკბილი ხმა გამოდიოდა. სოსლანის, ცისას, ხოსიტას, ტაბატას, გიუნას, სულიკას, კანჯარას, ჭიაბერის და სიბოს ომახიანი მრავალჟამიერი ისე აზანზარებდა ცივის მთებს, როგორც უდაბნოში ეულად მდგარ ხეს ანაზდად მოვარდნილი ქარიშხალი. გარეთ კი თოვა უფრო და უფრო გაძლიერდა, თითქოს ცა ჩამოიქცაო. ავის მომასწავებელმა უკუნეთმა დაისადგურა ირგვლივ.

ბერთუბნის ქვედა მხრიდან ორი მხედარი გამოჩნდა. ცხენებს აშკარად უჭირდათ თოვლში გზის გაკვალვა, მხედრებს ეტყობო-

დათ, რომ ჩქარობდნენ და ცხენებსაც ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. ბოლოს, როგორც იქნა ამოაღწიეს სოფელში და იქით გასწიეს, საიდანაც სიმღერისა და ცეკვის ხმა ისმოდა. ოფლში გახვითქული მხედრები ელვის უსწრაფესად აღმოჩნდნენ სახლის ზღურბლზე. მათ დანახვაზე სიმღერა და ცეკვა-თამაში შეწყდა. მექორწილენი ფეხზე წამოდგნენ და გაოცებული უყურებდნენ ოჯახში დაუპატიჟებლად შემოჭრილ მეომრებს. ზოგმა ხანჯალიც მოისინჯა წელზე... მხედრებმა ყაბალახები შემოიხსნეს, თითქოს ამით ბოდიში მოიხადეს ხალხის წინაშე, მერე ერთ-ერთი მათგანი წარსდგა ერთი ნაბიჯით წინ და ძლივს წარმოთქვა:

— თემურ-ლენგი მოემართება ივრისპირეთისკენ. მეფემ ბრძანა ქუდზე კაციო. ომის წარმოება კი ჩვენს ბატონს ხიმშიას დაავალა, თვითონ დამატებითი ძალების შეგროვების თადარიგს დაიჭერს. ქალები, ბავშვები და მოხუცები როგორმე უნდა გადამალოთ მთაში, თუ ეს, რა თქმა უნდა, მოხერხდება ამ დიდთოვლობაში. ბერთუბნელების, პატარძეულელების, თვალელების და გიორგიწმინდელების მხედრობას ქრისტესიამ უხელმძღვანელოსო. ასეთია ხიმშიას ბრძანება!

ივრისპირეთში განუწყვეტლივ თოვდა და თოვდა...

ბერთუბნელები კახეთ-ჰერეთის ერთ-ერთი მეწინავე მხედრობა იყო. მათ ბატონი არ ჰყავდათ. უშუალოდ ექვემდებარებოდნენ მეფეს, ხოლო როგორც მართლმადიდებლები, გარეჯის ბერთუბნის მონასტრის ყმები და მომსახურენი გახლდნენ.

ქრისტესია სამზადისს შეუდგა. ორი დღე მისცა ოჯახებს, რათა მოემზადებინათ გასახიზნათ ქალები, ბავშვები და მოხუცები, ხოლო ვაჟკაცებს ომში წასვლისათვის თადარიგი დაეჭირათ. ქრისტესიამ ცოლთან ნორმალურად მოალერსებაც ვერ მოასწრო. მხოლოდ ორი ღამე გაატარეს ერთად. მათ ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი. ამას მხოლოდ უსიტყვოდ გამოხატავდნენ, ერთი არ დაუწუწუნიათ, რადგან ორივემ კარგად იცოდა, რომ ღმერთი და სამშობლო უზენაესი იყო და მზად იყვნენ მათთვის საკუთარი სიცოცხლეც დაეთმოთ.

ბერთუბნელები მეზობელი სოფლების მოსახლეობასთან შედარებით სწრაფნი აღმოჩნდნენ. ორი დღის შემდეგ ლტოლვილების ნაკადი დაიძრა მთებისკენ. ქრისტესიამ ხუთი მეომარი გააყოლა მთაში გასახიზნად წასულ ხალხს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მცირე რაოდენობაა გასაცილებლად და ხალხის დასაცავად, მაგრამ ომში უფრო მეტი იყო საჭირო და ამიტომ ქრისტესია თითოეულ მეომარს უფრთხილდებოდა... მან კარგად იცოდა, თემურ-ლენგი ივრის ხეობის სოფლებს აუყვებოდა ასაოხრებლად, ამიტომ რთულად სავალი, მაგრამ შედარებით უხიფათო გზით გადასვლა დაავალა თავისიანებს. ბერთუბნელებისთვის მთებში გახიზვნა არ იყო პირველი. მათ ხშირად უწევდათ ამ ადგილებში ცხოვრება და ამიტომაც ქრისტესია იმედიანად იყო, მის თანასოფლელებს არ გაუჭირდებოდათ გახიზვნა. ერთადერთი, რაც ხელს უშლიდათ, ეს დიდთოვლობა იყო.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ერთმანეთთან განშორება ძალიან გაუჭირდა. ნუნნა თვალცრემლიანი ემშვიდობებოდა ქრისტესიას:

— თავს გაუფრთხილდი, ჩემო ერთადერთო. უფლის და სამშობლოს მერე, მუდამ შენით დავიწყებ ლოცვას და შენით დავამთავრებ. ცოცხალი და უვნებელი დამახვედროს ღმერთმა შენი თავი. ჩემმა მფარველმა ანგელოზმა, ნუნნა კაბადუკიელმა დაგიცვას ბოროტისაგან.

ქრისტესიამ გულში ჩაიკრა ნუნნა. დიდხანს ეფერებოდა, მერე მიუყვანა თავისიანებს და გაამხნევა:

— აბა, თქვენ იცით! როგორც კი გავყრით მომხდურებს, მოგძებნით. მშვიდობით იარეთ. ნუნუ თავს გაუფრთხილდი.

ნუნნას უცნაურად მოეჩვენა ახალი სახელით მომართვა, მაგრამ იმდენად იყო შეყვარებული ქმარზე, რომ ამ სახელის დაძახებამაც განსაკუთრებული სითბოთი აავსო მისი გონება და სხეული.

* * *

საშობაო მარხვა კარს მომდგარიყო. კახეთ-ჰერეთი კი სისხლისღვრისთვის ემზადებოდა. თემურ-ლენგმა თავისი ასიათასიანი, კარგად გაწვრთნილი ლაშქარი ყარაბაღიდან საქართვე-

ლოსკენ დაძრა. ყველგან, სადაც ისინი გაივლიდნენ, აყვავებულ ქალაქებსა და დაბებს მიწასთან ასწორებდნენ. ხშირად, ლენგის ბრძანებით, ადამიანთა მოკვეთილი თავებისაგან ათეულობით კოშკს აგებდნენ, ათასობით ადამიანს მიწაში ცოცხლად მარხავდნენ, ანდა კედლებში ატანდნენ დუღაბთან ერთად. მათ უკან მოჰყვებოდათ სისხლისმსმელი ჩაღათაელების და სართების ტომები, რომლებიც კალიასავით ედებოდნენ არემარეს და ჭიანჭველასაც არ ტოვებდნენ ცოცხალს. მათ უკან რჩებოდა უკაცური უდაბნო და აკვამლებული ნასახლარები, „არ ეშინოდათ მათ არც სიკვდილისა, არც წამახული ხმლისა, არცა ცეცხლისა... ლაშქარი იყო მისი უმრავლესი ქვიშისა და ფოთლისა. ბრძოლის ველს მოევლინებოდნენ, ვითარცა პილონი მთვრალნი, ჰოროლებითა და სატევრებით აღჭურვილნი. ფარებს მათსას ნიანგის ტყავი ჰქონდა ზედ გადაკრული, ჰუნენი მათნი შემოსილნი იყვნენ ვეფხვის ტყავითა...“

თემურ-ლენგი ასეთი სისასტიკით აპირებდა მორჩილებაში ჰყოლოდა დამონებული ხალხები. ამ ურდოებს უკან მოჰყვებოდა მათივე ცოლებითა და ბავშვებით დახუნძლული ქარავნები აქლემებისა, მოჟღანურებდნენ ზანზალაკები, მობღაოდნენ წამოლალული ჯოგები და ფარები. თუ რომელიმე მეომარი შეშინდებოდა ან უღალატებდა თემურ-ლენგს, მას ცოლ-შვილიანად მუსრს ავლებდნენ.

ხიმშიამ ივრის ხეობისკენ მიმავალ გზებზე საგუშაგოები გააძლიერა, თუმცა ლენგმა გაუვალი გზებიდან დაიწყო ხეობაში შესვლა. მისი მეომრები კაფავდნენ ტყეს და დაუსახლებელი ადგილებიდან მიიწევდნენ წინ. ტყვეების აყვანა მათ მიზნებში არ შედიოდა. ისინი სპობდნენ ყველას და ყველაფერს. ეს იყო სადამსჯელო ლაშქრობა.

თითქოს ცა ჩამოიქცაო. თოვდა განუწყვეტლივ, ,,მთებსა და ველებს ქაფური ეფრქვეოდა ღრუბლის საცრიდან“. თემურ-ლენგი მეხუთედ აოხრებდა საქართველოს. მისი მიზანი იყო, რაც შეიძლება მალე გადაეკეტა ივრის ხეობის შუა წელი იქ, სადაც

ლაფიანხევი უერთდება მდინარე იორს. ამის შემდეგ ყველაფრის განადგურება უკვე ადვილად იყო შესაძლებელი.

ხიმშია მიხვდა თემურ-ლენგის ჩანაფიქრს. სასწრაფოდ შეკრიბა თავის სარდლები და ბჭობა გამართა.

— ესენი ხეობით არ აპირებენ ზევით ასვლას, გაუვალი ტყეების გაკაფვით შედიან სიღრმეში. ამიტომ, ქრისტესიავ, შენი მხედრობით უკანა მხრიდან უნდა დაარტყა. ბოლოში ჩაღათაელები და სართები მისდევენ ძირითად ლაშქარს. მე, ჰერელებით, პირისპირ შევებმები.

— პირდაპირ შებმას პატარ-პატარა გუნდებით დარტყმა არ სჯობს? — კითხვა დასვა ქრისტესიამ, — საკმაოდ ბევრნი არიან. ტყიდან მოულოდნელად დავესხმებით და ისევ უკან დავიხევთ.

— არა. თოვლში გაუჭირდებათ ჩვენთან ბრძოლა. პირდაპირ შებმა სჯობს.

ქრისტესია ხუთი ათასამდე რჩეული ვაჟკაცით ზურგიდან დაესხა ჩაღათაელებს და სართებს. ეს უკანასკნელნი მაინცდამაინც დიდი მეომარნი არ იყვნენ. ისინი უფრო ომის შემდეგ რბევით იყვნენ დაკავებულნი. ამიტომ ჯეროვანი წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს ქრისტესიას მხედრობას. თემურმა ძირითადი ჯარი ორად გაყო, ერთი ხიმშიას მხედრობას შეუსია, ხოლო მეორე — ქრისტესიასას. გაიმართა გააფთრებული ბრძოლა, რომლის დროსაც ორგნითვე თავგამოდებით დაუშინეს ერთმანეთს და ორგნითვე მრავალი დახოცეს. ხიმშია და ჰერელები თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ მტრის სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა. ხიმშია უკუიქცა და თავისი დარჩენილი მხედრობით ტყეში გაუჩინარდა. მანამდე კი კაწარეთელები ქრისტესიას დასახმარებლად გაუშვა, რადგან იქ მდგომარეობა უფრო რთულად იყო. ქართველები სჯობნიდნენ ურჯულოებს, მაგრამ ლაშქრის რაოდენობას დასასრული არ ჰქონდა. ამიტომ ქრისტესიამაც შემოაბრუნა თავისი მხედრობა და ტყეს შეაფარა თავი.

— აქამდე გიორგი მეფეს დამხმარე ძალა უნდა გამოეგზავნა. რატომ არ ჩანან!? — წუხდა ქრისტესია, — ჩვენი ძალებით ამათ

ვერ დავამარცხებთ. ისევ ტყეებსა და ხეობებში უნდა გავმაგრდეთ და მოულოდნელი თავდასხმებით გავანადგუროთ მტერი.

სარდლებმა გადაინაწილეს ტერიტორიები და მეომართა განწესებას შეუდგნენ.

თემურ-ლენგი კი წინ მიიწევდა. მან გადაკეტა ლაფიანხევი და სამების ხევი. მისი მეომრები კი მისდევდნენ უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას და ნაცარტუტად აქციეს ყველაფერი. კაწარეთის სამების გარშემო სოფლებს ჩაღათაელები შეესივნენ, ხოლო ივრის ქვედა ჭალებს — სართები. კაფავდნენ ვენახებს, ანგრევდნენ სახლებს. გაძარცვეს და გადაწვეს კაწარეთის სამების ტაძარი, ივრის ხეობის სოფლები აღიგავა პირისაგან მიწისა. მოსახლეობა, რომელმაც ვერ მოასწრო გახიზვნა, ადგილზე დახოცეს. უამრავი საქონელი და ცხვრის ფარა იგდეს ხელთ. ერთადერთი მოწინააღმდეგე მტრისა გამუდმებული თოვა იყო, რომელიც ოცი დღის განმავლობაში არ გაჩერებულა. ცხენების საკვები აღარ ჰქონდათ დამპყრობლებს და ამიტომ ხეებს ქერქს აცლიდნენ და მას აჭმევდნენ. რომ არა თოვლი, ალბათ ბუჩქებსაც არ დატოვებდნენ. ბოლოს თემურ-ლენგმა ბრძანება გასცა, რაც გასანადგურებელი იყო გაენადგურებინათ და გაბრუნებულიყვნენ უკან – ყარაბაღში.

მათი წასვლის შემდეგ მთლიანად განადგურებულ ივრის ხეობაში გავლისაც კი ეშინოდათ ცოცხლად გადარჩენილ ადამიანებს. ქართულ სასაუბრო ენაში გაჩნდა ახალი სიტყვები: ნასოფლარი, ნაეკლესიარი, ნავენახარი და ასე შემდეგ. ხოლო ივრის ხეობის ერთ ჭალას, სადაც სისხლისმსმელი, ნახევრად ველური ტომი — სართები დათარეშობდნენ, დაერქვა სართების ჭალა.

* * *

ბერთუბნელმა ხიზნებმა მტერს გაასწრეს და ჟალეთისაკენ აიღეს გეზი, თუმცა გზაში ერთი მოხუცი და ერთი ბავშვი გარდაეცვალათ. პატარძეულელების უმრავლესობამ ვერ გაასწრო

მომხდურს. დედაკაცები კლდიდან ვარდებოდნენ, რომ არ ჩავარდნილიყვნენ ურჯულოების ხელში. ხოლო სოფლებში დარჩენილი მოსახლეობა ერთიანად ჩახოცეს თემურ-ლენგის მეომრებმა. დიდი ცოდვა ტრიალებდა ივრის ხეობაში. თოვლი სისხლისფრად იყო შეღებილი. თათრებმა შეიტყვეს, რომ მოსახლეობის ნაწილი სამშვიდობოს იყო გასული და მდევარი დაადევნეს, მაგრამ იყოჩაღეს მცველებმა და ხალხი მტრისთვის უცნობი გზით გაიყვანეს. თათრებმა თეთრწყლებამდე სდიეს ხიზნებს და რადგან ვერ მიაგნეს, უკან გაბრუნდნენ.

ზაქრო, რომელსაც ქრისტესიამ უშუალოდ თავისი ოჯახის მოვლა-პატრონობა ჩააბარა, არაფერს აკლებდა მათ, განსაკუთრებით ნუნნას, რომელიც ამდენი სიარულისა და დარდისაგან გაფერმკრთალებულიყო და არც საჭმელს ჭამდა, რომ სხეული ცოტა მაინც მოეძლიერებინა.

— ნუნნა! — კიდევ ერთხელ სცადა ზაქრომ მასთან დალაპარაკება.

ქალმა, რომელსაც თავსაბურავიდან მხოლოდ ტირილისაგან ჩაწითლებული თვალები უჩანდა, ახლაღა შეხედა ზაქროს და დასუსტებული ხმით უთხრა:

— ნუნნას ნუ მეძახი!

ზაქრომ მხრები აიჩეჩა:

— აბა, როგორ მოგმართო, დაო?

— დამშვიდობებისას ქრისტესიამ ნუნუ დამიძახა, — ამაყად წარმოთქვა ნუნნამ, — და ეს სახელი ისეთი სითბოთი მითხრა, რომ სანამ ცოცხალი ვარ, მაგ სახელს ვატარებ. ღმერთისა და წმიდა ნუნნას წინაშე კი შენდობას ვითხოვ, ასეთი თვითნებური გადაწყვეტილების მიღებისათვის.

— როგორც იტყვი, დაო ნუნუ. — თქვა ზაქრომ და მცირე ხნით ქალისგან თავის შორს დაჭერა ამჯობინა.

იმ დღეს, სიფრთხილის გამო, ღამის გათევა ტყეში ამჯობინეს. ცეცხლი არ დაანთეს, მაინც ეშინოდათ. თუმცა ნაბდები ჰქონდათ ბევრი და დიდიან-პატარიანად სიცივეს ადვილად გაუმკ-

ლავდნენ. დედამთილ-მამამთილი ნუნნას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ფიქრობდნენ, იქნებ ფეხმძიმედ დარჩეს და ქრისტესიასგან ნანატრი შვილი გააჩინოსო. ნუნნაც გრძნობდა ამას და თავს ძალას ატანდა, რათა დაეძლია ყოველგვარი გაჭირვება. დედამთილმა პური და თაფლი მიაწოდა და უთხრა:

— შვილო, ქრისტესიას ხათრით მაინც შეჭამე, რომ ცოტა ძალა მოგეცეს. ახლა მარხვის დღეებია და ისედაც უძლურდება სხეული.

ნუნნამ გამოართვა პური და თაფლი. თავს ძალა დაატანა და შეჭამა. სულ რამდენიმე ლუკმა მიიღო, ისიც ძლივს გადაყლაპა. მერე მოდუნდა და ჩაეძინა... ხედავს გაშლილ მინდორზე ხელჩართული ბრძოლაა. თეთრ ცხენზე ამხედრებული ვაჟკაცი მარჯვნივ და მარცხნივ ჩეხავს მეომრებს. როგორც იქნა გაითავისუფლა გზა და მტრის ბანაკისკენ გაჰქუსლა, სადაც თათართა წინამძღოლი ეგულებოდა. მამაცი ჩაუქი წინ მიიწევდა, მაგრამ მტრის წინამძღოლის კარავიც უკან გადაადგილდებოდა. კარვიდან ვიღაცამ შუბი სტყორცნა თეთრ ცხენზე ამხედრებული ვაჟკაცისკენ, მაგრამ შუბი ცხენს მოხვდა. მხედარი მსწრაფლ გადმოხტა ცხენიდან. მას მტერი შემოესია, მაგრამ ყველანი მის ფეხებთან ვარდებოდნენ მახვილით განგმირულნი.

— ქრისტესია!... ქრისტესია!... ქრისტესია!... - აყვირდა უცებ ჩაძინებული ნუნნა.

— ნუნუ შვილო!... ნუნუ!... გაიღვიძე, შვილო! ცუდ სიზმარს ხედავ ალბათ! — აფორიაქდა ქრისტესიას დედა ელისაბედი და ნუნნას თოვლით უსრესდა სახეს.

ნუნნას წყალი დაალევინეს. მან ცოტა გამოიხედა თვალებიდან, გარშემო მყოფთ თვალი მოავლო და დარცხვენილმა წარმოთქვა:

— ბოდიშს ვიხდი, აგაფორიაქეთ... ყველაფერი ეს სიზმარი იყო.

ქრისტესიას მამა იოსები და ზაქრო ცალკე საუბრობდნენ.

— ჟალეთში შეიძლება მოგვაგნონ, — თქვა იოსებმა, — იქნებ შევძლოთ და გუდამაყარში გადავიდეთ. სოფელ ნათიანში ქრისტესიას ჰყავს ძმადნაფიცი.

— ჩვენ კი გადავალთ, იოსება ძია, მაგრამ ესენი? — თქვა ზაქრომ და დედაკაცებისა და ბავშვებისაკენ გაიხედა.

— მესმის, ზაქარია, მაგრამ იქნებ შევძლოთ. ღმერთი დაგვეხმარება.

— ნება თქვენია, ცდას წინ რა უდგას. — თქვა ზაქრომ და ნაბადი მხრებზე კარგად მოირგო.

* * *

ყარაბაღში დაბრუნებული და დაბანაკებული თემურ-ლენგი გაცოფებული აწყდებოდა თავისი კარვის კედლებს. გაუსაძლისი ყინვის, გადაუღებელი თოვლის და ქართველთა მედგარი წინააღმდეგობის გამო ვერ აისრულა საწადელი გურჯისტანის გადაბუგვისა და დამონებისა. მაღალი, დიდთავა და სახედანაოჭებული მტარვალი, კოჭლი ფეხით ურტყამდა, თუ რაიმე ნივთს მისწვდებოდა მისი გაბოროტებული მზერა. ბოლოს კარვის შუაში გაჩერდა, რაღაც ცხოველური ყმუილი ამოუშვა პირიდან და იღრიალა:

— დაცვა!

მყისიერად მის ფეხებთან დავარდა კარვის მცველი და კბილებჩამტვრეული პირიდან გამოსცრა:

— ბრძანე, მბრძანებელო.

— მთავარსარდალი მიხმე სასწრაფოდ! — იღრიალა თემურ-ლენგმა.

— ახლავე, მბრძანებელო. — ისევ გამოსცრა კარვის მცველმა. მერე თავდახრილი გველივით წამოიკლაკნა და უკუსვლით გაიძურწა კარვიდან.

— ოოხ! გურჯებო! ჭიაყელებივით გაგსრესთ! დაგწვავთ! თქვენს სახსენებელს არ დავტოვებ მიწაზე! — იფურთხებოდა ლენგი და ხელში ხანჯალს ატრიალებდა.

უცებ, შეირხა კარვის შემოსასვლელი და თემურ-ლენგის ლაშქრის მთავარსარდალი მბრძანებლის წინაშე განერთხა ხალიჩებით დაფარულ მიწაზე.

— ადექი! — უბრძანა თემურ-ლენგმა.

მთავარსარდალი წამოიმართა. ის თემურზე მაღალი გახლდათ, მაგრამ მბრძანებლის წინაშე მაინც დაპატარავებულიყო და ცდილობდა ქვემოდან შეეხედა მისთვის. ლენგი ნელა-ნელა დაეშვა ხალიჩებით მორთულ ტახტზე. გამწარებულმა ხანჯალი, რომელსაც ნერვიულობისაგან ხელში ატრიალებდა, მთელი ძალით ისროლა მიწისკენ და თითქმის ნახევრამდე ჩაარჭო. მერე განრისხებულმა შეხედა მთავარსარდალს და იყვირა:

— გაზაფხულისთვის გურჯისტანზე უნდა გავილაშქროთ!

— შესრულებული იქნება, მბრძანებელო. — მსწრაფლ უპასუხა ქედმოდრეკილმა მთავარსარდალმა.

— ჯერაც ვერ მომინელებია ბაგრატ მეფის ღალატი, — იქედნესავით იგესლებოდა ლენგი, — თორმეტი ათასი რჩეული მხედრობა ღალატით რომ გამინადგურა და მისმა ლეკვმა გიორგიმ, სულთან ახმედ ჯელაირის შვილი ტაჰერი წაგვართვა და ახლაც თავისთან ჰყავს! თითქოს ბუნებაც მათ მიემხრო და ბოლო ლაშქრობაში ჩემმა საუკეთესო მხედრობამ ვერც გიორგი მეფე იგდო ხელთ და ვერც ის ნადავლი, რაც ამდენი ბრძოლების შემდეგ უნდა მოგვეგდო ხელში!

— მბრძანებელო, ივრის ხეობაში რაც კი სუნთქავდა, ადამიანი თუ ცხოველი, ცოცხალი არ დაგვიტოვებია. ხეებიც კი გავჩეხეთ...

— მერე! — იყვირა თემურ-ლენგმა, — მეფე ვერ დაატყვევეთ! მისი მთავარი, რომელიც ბრძოლებით უკან იხევდა, ისე გაუჩინარდა, რომ ვერ იპოვეთ! ზურგში დიდი დარტყმა მივიღეთ ვიღაც გლეხი მეომრებისგან! ჩაღათაელები და სართები ნახევარი გაგვიჟუჟეს და ისე აორთქლდნენ, თითქოს არც ყოფილიყვნენ! და ყოველივე ამის შემდეგ შენ გგონია, რომ ისინი დავამარცხეთ!?

მთავარსარდალი უფრო მოიღუნა წელში და ხმას არ იღებდა.

— ახლა, ის ვითომ, შენი დამარცხებული მხედრობა, — განაგრძობდა თემურ- ლენგი, — ძალებს იკრებს და ახალი ომისთვის ემზადება და იცი, რა უნდა გავაკეთოთ!?

მთავარსარდალმა ძლივს ამოილუღლუღა:

— ბრძანეთ, მბრძანებელო, და ყველაფერს შევასრულებთ!

— უნდა დავასწროთ! არ უნდა ამოვასუნთქოთ! დრო რამდენი დაგჭირდება, რომ ლაშქარი ბრძოლისთვის მოამზადო!?

მთავარსარდალმა ორივე ხელი გაშალა, ათივე თითი აათამაშა და წამოიძახა:

— აი, ამდენი დღე და ღამე!

— თვლა მაინც ვერ ისწავლე, შე უტვინო! შეუდექი საქმეს და მომახსენე!

როგორც კი მთავარსარდალი კარვიდან გავიდა, თემურ-ლენგი მუხლებზე დაემხო, წვერზე ხელის მტევნები ჩამოისვა და ამოიხრიალა:

— ოო! ალაჰ! გაიღე მოწყალება და გურჯისტანი გამანადგურებინე!

მერე ისევ ჩამოისვა წვერებზე თითები, შუბლით დაემხო ხალიჩაგადაკრულ მიწას და ასე დიდხანს ეგდო გაუნძრევლად.

არც გიორგი მეფე იჯდა გულხელდაკრეფილი. მან კარგად იცოდა, რომ თემურ-ლენგი მობრუნდებოდა საქართველოსკენ. ამას მისი მსტოვრებიც და ვაჭრებიც ადასტურებდნენ. ამიტომ შეკრიბა სრულიად საქართველო და დამხმარე ჯარიც გადმოიყვანა კავკასიიდან.

ქრისტესია ბერთუბნის, პატარძეულის, თვალნის და გიორგიწმინდის რჩეული ვაჟკაცებით მეფეს ეახლა და ომისთვის მზადყოფნა განაცხადა.

— მეფევ ბატონო, ჩემს მეომრებს დიდი გამოცდილება აქვთ მაგ ურჯულოებთან ბრძოლისა. ამიტომ მოგვეცით დავალება სად და როდის ჩავებათ ომში.

მეფეს გაუხარდა ასეთი მამაცი მხედრობის ნახვა. ქრისტესიას გმირობის შესახებ ისედაც სმენოდა თავის სარდლებისგან. გაუღიმა და უთხრა:

— ვაჟკაცებო! ძირითადი ლაშქარი საბრძოლველად უკვე განწესებულია. ჩვენ თქვენისთანა მამაცი ჩაუქები გვჭირდება, რათა ურჯულოებს ზურგიდან დაესხნენ. თქვენ კარგად იცით, რომ თემურ-ლენგის ლაშქარს უკან მოჰყვებიან ჩაღათაელები

და სართები., რომლებიც ხელჩართულ ომში იშვიათად ერთვებიან. ისინი უკვე განწესებულნი ჰყავთ დაპყრობილი ქალაქების და დაბების გასაძარცვავად, შემდეგ გადასაბუგად. ისინი ცოცხალს მცენარესაც არ ტოვებენ, არა თუ ადამიანს. ჩვენ, სხვადასხვა ხაფანგის მოსაწყობად, შეიძლება მოგვიწიოს ზოგიერთი დაბის დროებით დატოვება და ისინი, ჩაღათაელების და სართების ასაოხრებელი რომ არ გახდეს, მანამდე უნდა მოვსპოთ მომხდური და ეს საქმე თქვენ უნდა გააკეთოთ.

— გასაგებია, მეფეო, — წარმოთქვა ქრისტესიამ, — ჩვენ ისედაც გამწარებულნი ვართ ჩაღათაელებზე და განსაკუთრებით სართებზე, წინა ბრძოლაში ეგენი ბოლომდე ვერ გავანადგურეთ და ახლა თქვენი დავალებით ბოლოს მოვუღებთ.

— დასტური! დანარჩენს ჩვენი სარდლები გეტყვიან! — ბრძანა მეფემ და ამალასთან ერთად ხეობისაკენ გაჰქუსლა.

* * *

ქრისტეს აქეთ 1400 წლის გაზაფხულზე თემურ-ლენგმა თავისი ლაშქარი დაძრა და გიორგი მეფის წინააღმდეგ წარგზავნა. ათ დღეში მისი მოლაშქრენი ყარაბაღიდან ბარდავში მივიდნენ და მერე საქართველოს საზღვარსაც მიაღწიეს. თემურ-ლენგმა მოუხელთებელ გიორგი მეფეს ელჩები გაუგზავნა და წერილიც მისწერა: ,,მამამან შენმან მეფემან ბაგრატ, არა სარწმუნო ქმნილმან მორჩილების ჩემისამან, ქმნა ბოროტი და ზაკვით განხეთქა ზოგი მეფობისა ჩემისა, და ვითარცა ქურციკი კი საბრხით განერა მახეთაგან ჩემთა, და მოსრნა პირითა მახვილისათა სპანი ჩემნი რჩეულნი, რიცხვით თორმეტი ათასი, რომელ არცაღათუ ერთი განერა და უკეთუ შემდგომად ამისა სარწმუნო თუმცა ქმნილიყო მორჩილებად ჩემდა, არამცა მეძიებელ ვიყავ შურისა მის პირველისა, არამედ, ვინათგან აწ შენ დაგიპყრიან საქართველო თვინიერ ბრძანებისა ჩემსა, რამეთუ ქვეყანა ესე ხრმლითა ჩემითა დამიპყრიეს და ბრძანებელსა ქუეშე ჩემსა არს, აწვე მოვედ და იყავ მორჩილ ბრძანებისა, ეგრეთ, ვითარცა არს წესი მო-

ნათა თვისთა უფალთა ზედა. და მეცა კეთილის — მოქმედ ვიყო შენდა მომართ, და იყოს მშვიდობა ურთიერთას შორის ჩვენსა, ხოლო უკეთუ არა ინებო მორჩილება ჩემი ვყო მრავალი ბოროტი შენ ზედა და თემთა შენთა ზედა უძვირეს პირველისა, და ესრედ სრულიად იავარ ვყო სამეფო შენი“. თან თემურ-ლენგმა შეუთვალა გიორგი მეფეს, რომ გადაეცა მისთვის სულთან ახმედ ჯელაირის შვილი ტაჰერი.

გიორგი მეფემ მიიღო თემურ-ლენგის ელჩები. წერილიც გულდასმით წაიკითხა და პასუხად მისწერა: ,,დაღაცათუ სარკინოზ ხარ და ბარბაროს სჯულითა, და არა უწყი წინასწარმეტყველთა მიერ თქმული, თუ ვითარ იტყვის: უფალი ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი ესე უწყოდე, რამეთუ მე მეფობისა შენისა არა უმცირეს ვარ, არცა უდარეს. არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განმგების მეფობა ჩუენ ბაგრატოანთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყველისა, რომლისათვის ბრძანა ღმერთმან, ვითარმედ: ,,ერთგზის ვეფუცე წმიდასა ჩემსა დავითს, და მე არა ვეცრუო მას, ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვუა საყდართა შენთაო.“ და ესე დავით იგი არს, რომელმან ერთითა შურდულითა მოკლა გოლიათი და შემუსრა ქედმაღლობა მისი. ამისთვისცა განგებითა მრავალმოწყალისა ღმრთისათა მეფე დამკვიდრებულ ვართ სრულიად საქართველოსა ზედა, და ესრეთ განთავისუფლებულ ვართ, და სხუა მეფე არა უფლებულ არს ჩვენ ზედა. გარნა მეუფე იგი ზეცათა უფალი ჩვენი იესუ ქრისტე... და ესე ხუთგზის მოსრულ ხარ და იავარ გიყოფიეს სამკვიდრებელი ესე სამეფო ჩემი, და თუ ძალისა შენისა მოქმედება არს, არამედ ცოდვათა ჩუენთა განმრავლებისათვის სამართლად გუწუართნა ჩვენ ღმერთმან. რამეთუ ესოდენი ბოროტი გვიყოფიეს და არა განსძეღ სისხლითა ჩუენთაგან, და კუალად გნებავს შეჭმად ხორცთა ჩუენთა ძუალთა თანა, და აწ, ვინათგან ეგევითარითა სილაღითა მოქადულ ხარ ჩვენდა მომართ მომავალი. მოვედ, თუმცა არა ხარ სეფექა-

ლი და დიაც, და თუ შენ არა მოხვალ, მე მოვალ ძალითა ღმრთისათა რჩეულითა სპითა ჩემითა“.

თემურ-ლენგმა მოისმინა რა პასუხი გიორგი მეფისა, განრისხდა და გაცოფდა. მაშინვე ბრძანა ლაშქრის ამხედრება. ,,ხოლო მეფემან გიორგი მსწრაფლ შემოიკრიბა სრულიად სამეფო თვისი, სპანი რჩეულნი იმერნი და ამერნი, და მესხნი და კახნი, და ყოველივე საქართველო, და წარმოვიდა“.

თემურ-ლენგისა და ქართველთა ლაშქარი გოგჩის ტბასთან შეებნენ ერთმანეთს. ქართველთა ლაშქარს უკვე მოესწრო სადროშოების სწორად განლაგება. ქარიანი დღე იყო და მტერს პირდაპირ სახეში აყრიდა მტვერს. ქართველები თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს და მისი მოწინავე რაზმები თითქმის მთლიანად გაანადგურეს. ,,ამისთანა მარცხი და ზიანი არაოდეს შემთხვევია სპათა ლანგთემურისათა“. მაგრამ მტრის ლაშქარი სიმრავლით დიდად სჯობდა ქართველებისას ,,ხოლო ლანგ-თემურ გამოცდილ იყო და უწყოდა ქართველთა ომისა სიფიცხლე და ადრე სიმაშურალე. ამისთვისცა დაღაითმინა, ვიდრემდის დიდად დაშურეს ომისგან ქართველნი“.

მთელი დღის ბრძოლის შედეგად მოღლილ ქართველებს, საღამოს ახალი, დიდი ძალებით შემოუტია თემურ-ლენგმა. ქართველები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. „და მაშინღა სძლეს ბანაკმან ისმაიტელთამან, ლანგ-თემურ და აგარიანთა. და მიდრკეს ქართველნი და ივლტოდეს მთათა მიმართ და სიმაგრეთა“.

ქართველები ქვემო ქართლის ციხესიმაგრეებსა და გამოქვაბულებში გამაგრდნენ და იქიდან განაგრძობდნენ ბრძოლას. თემურ-ლენგის მეომრები თოკებზე გამობმული კალათებით ეშვებოდნენ გამოქვაბულების წინ და ისრებით ცეცხლმოკიდებულ ჩვრებს ისროდნენ შიგნით. ასე გამოვლეს ქვემო ქართლის მთიანი ნაწილი. მერე ტფილისს მიადგნენ და დიდი ბრძოლით ისიც აიღეს. თემურ-ლენგს გიორგი მეფის შეპყრობა სურდა და ყველაფერს აკეთებდა ამისთვის. კარგად გაწვრთნილი რაზმებიც დაადევნა. მეფე ბრძოლით იხევდა უკან. ისე ახლოს იბრძოდნენ,

რომ გიორგი მეფის ამალის ზოგიერთი წევრი ტყვედაც კი ჩაიგდეს მომხდურებმა.

გიორგი მეფემ მალემსრბოლელი აფრინა ქრისტესიასთან, რომელიც თავისი ლაშქრით დაბანაკებული იყო ლოჭინის ხევში. მალემსრბოლელმა სიტყვა-სიტყვით გადასცა ქრისტესიას მეფის ბრძანება: „ჩვენ გორისკენ ვიხევთ ბრძოლებით. ჩაღათაელები და სართები უკან მოსდევენ თემურ-ლენგს. როგორც სჩვევიათ გზადაგზა წვავენ და ანადგურებენ ყოველივეს. შენი ლაშქრით მოულოდნელად უნდა დაესხა თავს. ვიცი, რომ თქვენი სიმცირის გამო მთლიანად ვერ გაანადგურებთ მათ, მაგრამ დიდი ზიანი უნდა მიაყენოთ. იქნებ როგორმე ნაწილი მაინც გადავარჩინოთ ჩვენი ადგილ-მამულებისა. აბა, თქვენ იცით. გფარავდეთ უფალი ჩვენი იესუ ქრისტე!“

ქრისტესიამ მაშინვე გასცა ბრძანება და ბერთუბნის, პატარძეულის, თვალის და გიორგიწმინდის რჩეულ ვაჟკაცთა ლაშქარი ლოჭინის ხევს აჰყვა, მარტყოფი-ნორიო-ავჭალის გავლით მცხეთის შემოგარენში ჩასაფრდა და დაელოდა ტფილისიდან მომავალ მტრის ლაშქარს. ძირითადი ბრძოლები თემურ-ლენგს ქსნის ხეობის საგირშელოში და შიდა ქართლის საჯანიბეგოში გადაეტანა. ხოლო ტფილისიდან ძირითადი ლაშქრის სათადარიგო ნაწილები მოდიოდნენ, რომლებსაც უკან ჩაღათაელები და სართები მოსდევდნენ.

ქრისტესიამ თავისი ლაშქრის მეთაურებს უხმო და სახელდახელო თათბირი გამართა:

— წინ არ გადავუდგეთ ჩაღათაელებს და სართებს, რადგან უცბად გაიფანტებიან და გაგვიჭირდება მათი დახოცვა. მდინარიდან გადმოსულები ალყაში უნდა მოვაქციოთ, რომ უკან გასაქცევი არ დავუტოვოთ. თავდასხმა უნდა იყოს ძალიან სწრაფი და მალევე გამოვბრუნდებით უკან, რათა ქართლის სიღრმეში გადაადგილება მოვასწროთ.

— რათა, ქრისტესიავ!? — წამოიძახა თვალელმა როსტომ ქუმელაშვილმა, რომელიც ყველა ბრძოლაში თან ახლდა მას და

მკლავიც უჭრიდა და გონებაც, — ბარემ მთლიანად ამოგვეჟლიტა ეს ურჯულოები და ჩაგვეხრჩო მტკვარში!?

— როსტომ! — წარმოთქვა ქრისტესიამ, — მეც ძალიან გულით მინდა ამის გაკეთება, მაგრამ ბრძოლას ხანგრძლივი დრო დასჭირდება. ამასობაში მტრის ძირითადი ლაშქარიც მობრუნდება და ვეღარ გავუმკლავდებით. შენ კარგად იცი, მე სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ის უფრო მირჩევნია, რომ ესენი ბოლომდე გავანადგუროთ. ამათ ეგონებათ, მცირ-მცირე ჯგუფებად თავდასხმა ადგილობრივი სოფლელებისგან ხდებაო და აქეთ იმდენად არ გადმოიტანენ ყურადღებას, იფიქრებენ ჩაღათაელები და სართები მათ თვითონ გაუმკლავდებიანო. ამასთან თემურლენგი გიორგი მეფესთან გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება და ამ წუნკლებისაკენ ყურადღებას მოადუნებს. ჩვენც მაშინ დავცხებთ საბოლოოდ და გავანადგურებთ. გამიგე, ძმაო?

როსტომს გაეღიმა. ქრისტესიას მარჯვენა მკლავს თავისი მარჯვენათი ჩაეჭიდა და უთხრა:

— მე შენი მჯერა, ძმაო! ეგრე იყოს!

* * *

ღმერთის შემწეობით და ზაქროს მოხერხებულობით ბერთუბნელმა ხიზნებმა დაძლიეს გუდამაყრისკენ მიმავალი გზა. თოვლის და ყინვის მიუხედავად მიაღწიეს სოფელ ნათიანამდე. შავი არაგვის პირას შეისვენეს. მაღლა მთებში ალაგ-ალაგ პატარა სახლები მოჩანდა, ხოლო მდინარიდან არც თუ ისე შორს, პატარა ნიში შენიშნეს. ქვიტკირით იყო ნაშენი, სანთლების დანთებისაგან მთლიანად იყო გამურული.

— ჩვენია, ქრისტიანული! — შესძახა იოსებმა და სალოცავისკენ გაეშურა. გულის ჯიბიდან სანთელი ამოიღო. კვესი და აბედი მოიმარჯვა, იქვე ცეცხლი გააჩაღა, ხოლო ანთებული სანთელი ნიშზე მიაკრა, — ღმერთო, დიდი მადლობა, რომ სამშვიდობოს გამოგვიყვანე. დიდება შენს სახელს.

მერე მუხლებზე დაეცა და ასე მდუმარედ შეჰყურებდა სალოცავს.

სანამ ხიზნები ცეცხლის გარშემო თბებოდნენ, მთაზე შეფენილი ტყიდან რამდენიმე ნაბდიანი კაცი გამოჩნდა. შორიდანვე შესძახეს მოსულებს:

— ვინ ხართ! თუ სამტროდ მოსულხართ, ჩვენს მიწაზედ ფეხს ვერ დაადგამთ!

— ძიავ! — გასძახა ზაქრომ, — სამტროდ მოსულებისა გვეტყობა რამე!? კახელები ვართ! ომს გამორიდებულნი ქალებით, ბავშვებით და მოხუცებითა! ჩემს ძმადნაფიც დიდებასთან გადმოვედ!

შავნაბდიანები შეჯგუფდნენ და გამოემართნენ სტუმრებისკენ. მაინც სიფრთხილე გამოიჩინეს და ახლოს არ მივიდნენ. შორიდან დაუძახეს მოსულებს:

— დიდებას საიდან იცნობთ!?

— ჩვენთან იყო ბერთუბანში! იარაღი სჭირდებოდა!

— შენ ქრისტესია ხარ!? — იკითხა ერთ-ერთმა შავნაბდიანმა.

— არა! ქრისტესია ომშია. მე ზაქრო ვარ! ესენი კიდევ მისი ოჯახის წევრები და ჩვენი ახლობლები არიან!

შავნაბდიანებმა ახლა კი აუჩქარეს ნაბიჯს და სტუმრებისკენ წავიდნენ. როდესაც ახლოს მივიდნენ, ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ქუდები მოიხადეს. ბერთუბნელების წინ მოხუცები იდგნენ. მათ შორის, ალბათ ყველაზე უხუცესმა წამოიწყო საუბარი:

— ვაჟკაცები ომში არიან წასულები. არაგვის ერისთავმა წაიყვანა. ჩვენ მოხუცები დავრჩით სოფელჩი. მე, დიდებას მამა ვარ! მობრძანდით სტუმარი ღვთისაა!

ბერთუბნელებმა ამოისუნთქეს. ეს უკვე სამშვიდობოზე გასვლას ნიშნავდა.

— აბა, წამოდით! დანარჩენი სახჩი ვილაპარაკოთ! — თქვა ბერიკაცმა და ტყეში შეფარებულ კაცებსა და ქალებს ანიშნა ჩამოსულიყვნენ და დახმარებოდნენ სტუმრებს, — მე ხვთისავარი მქვიან, ამ თემის ხევისბერი ვარ. ეს ჩვენი ფუძის ანგელოზის სალოცავია. აბა, წავიდეთ! წავიდეთ!

დაღლილმა და მთლიანად ღონემიხდილმა ბერთუბნელებმა, მასპინძლების დახმარებით, ძლივს აიარეს მთა, სადაც ნათიანის მოსახლეობა ცხოვრობდა. ხვთისავარის სახლში შესულებს, კერიაზე აგუზგუზებული ცეცხლი დახვდათ. მონატრებულ სითბოს გადაჩვეულებმა ძლიერი მოთენთილობა იგრძნეს და დიდიან-პატარიანად ყველას ძილი მოერია.

მასპინძლებმა სტუმრების ბარგი და ცხენები დააბინავეს და ვახშმის სამზადისს შეუდგნენ.

* * *

ქრისტესიას მიერ გაგზავნილმა მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ თემურ-ლენგს არაგვის ხეობის სოფლების დარბევა დაუწყია, მაგრამ მალევე გაჩერებულა, რადგან უცნობებიათ, რომ გიორგი მეფეს გორთან ლაშქრის შეგროვება და ბრძოლისათვის მზადება დაუწყიაო. ამიტომ ლენგმა სოფლების დარბევას თავი დაანება და ბრძანება გასცა: ,,ჩაღათაელებმა და სართებმა გააგრძელონ ძარცვა-განადგურებაო!“

— მაშინ არაგვის ხეობაში უნდა ჩავუსაფრდეთ ამ წუნკლებს, — უთხრა თავისი ლაშქრის სარდლებს ქრისტესიამ, — იქ ადგილობრივებიც დაგვეხმარებიან. მაგრამ მეფეს აუცილებლად უნდა ვამცნოთ ჩვენი გადაადგილების შესახებ.

— ვგონებ აღარ არის საჭირო, — სიტყვა აიღო პატარძეულელების მეთაურმა ზაზა ფიცხელაურმა, — მეფის ბრძანებით ჩვენ ხომ ჩაღათაელების და სართების განადგურება გვაქვს ნაბრძანები.

— ასეა, ჩემო ზაზა, ძმაო, მაგრამ ომს თავისი წესები აქვს. მეფემ ყველა ჩვენი ნაბიჯი უნდა იცოდეს. — თქვა ქრისტესიამ და ბრძანა მალემსრბოლელი მოემზადებინათ გორში წასავლელად.

— ეჰ! — ამოიოხრა როსტომმა, — მეფე ღვთივკურთხეულია, არ უნდა ვამბობდე ამას, მაგრამ იმ ერთ კაცს გადაგვაყოლა მთელი ერი.

— ვისზე ამბობ როსტომ, ძმაო? — ჰკითხა ქრისტესიამ.

— სულთან ახმედ ჯელაირის შვილზე, ტაჰერზე, — თქვა როსტომმა, — მაგის მიცემასა სთხოვს თემურ-ლენგი გიორგი

მეფეს. ეს კიდევ გაჯიუტდა და აგე რამდენი ხალხი ამოწყდა. ასე თუ გაგრძელდა, საქართველოში ქართველი აღარ დარჩება.

— მეფეს სიტყვა აქვს მიცემული, რომ ტაჰერ ჯელაირს არ ჩაუგდებს ხელში თემურ-ლენგს და არ გადავა სიტყვას, მაშინ ლენგი კიდევ სხვა რამეს მოსთხოვს. ყველაფერი თუ შეუსრულა, რაღა მეფე იქნება, — თქვა ქრისტესიამ. მერე ცას შეხედა და დაამატა, — ყველაფერი უფლის ნებაა. ჩვენი ცოდვების გამო ვისჯებით. ტაჰერ ჯელაირი, ეს მხოლოდ მიზეზია.

თუმცა ქრისტესია გულისთქმით ეთანხმებოდა როსტომს, მაგრამ მეთაურისგან ამის ხმამაღლა გაჟღერება არ შეიძლებოდა. ამას შეეძლო მეომრების ბრძოლისუნარიანობაზე ცუდად ემოქმედა.

დილით, ცისკარზე, ქრისტესიას ლაშქრის მალემსრბოლელი დაბრუნდა. მეფემ დასტური მისცა ქრისტესიას არაგვის ხეობის სოფლებში ჩასაფრებოდა მტერს. არაგვის ერისთავს კაცი გაუგზავნა, რათა საჭიროების შემთხვევაში ერთობლივად ემოქმედათ მომხდურების წინააღმდეგ. ორ ჟამსაც არ გაევლო, არაგვის ერისთავის მალემსრბოლელი მოიჭრა და მოახსენა ქრისტესიას:

— გუდამაყრელებს დაავალა ერისთავმა თქვენთან გაერთიანება. ამიტომ ჭართალში უნდა შეეყაროთ ერთმანეთს და მოილაპარაკოთ, როგორ დახვდეთ მტერს.

ქრისტესიამ ლაშქრის მზადყოფნა ბრძანა. კახელები დაიძრნენ ჭართალისკენ. გზას წინდაწინ ზვერავდნენ, არ იყო გამორიცხული სადმე ხაფანგი ყოფილიყო დაგებული, რადგან მოარული ხმებით, ზოგიერთ საერისთავოში მოღალატეები გამოჩენილიყვნენ. საბედნიეროდ, ლაშქარი ჭართალში უვნებელი ავიდა. იქ უკვე ელოდებოდნენ გუდამაყრელები. ქრისტესიამ მისვლისთანავე მეთაურთან ითხოვა შეხვედრა. არ დააყოვნეს და იქვე მდებარე ტყეში შეუძღვნენ. ლაშქარი მართლაც ხალხმრავალი იყო. სახელდახელოდ გაკეთებულ ჩარდახის ქვეშ იჯდა გუდამაყრელთა მეთაური. როდესაც ქრისტესია ცხენიდან ჩამოხდა და ჩარდახისკენ გაიხედა, თვალებს არ დაუჯერა. მის წინ დიდება იდგა.

— დიდებავ, ძმაო! — შესძახა ქრისტესიამ, — შენ აქ ხარ!?

— ქრისტესიავ, ძმაო! — აღფრთოვანება ვერ დამალა დიდებამ, — საიდან სადაო!?

ძმადნაფიცები ერთმანეთს გადაეხვივნენ. მოიკითხეს და მერე სათათბიროდ დასხდნენ. გადაწყდა, რომ კახელები და გუდამაყრელები, შესაბამისი განწესებით, მტერს ჟინვანთან დახვედროდნენ და ერთობლივი ძალებით გადამწყვეტი ბრძოლა გაემართათ. ჩაღათაელებს და სართებს ადვილად გაანადგურებდნენ, ხოლო თუ მათ დასახმარებლად ძირითადი ლაშქრის ნაწილები წამოვიდოდა, გამაგრდებოდნენ გუდამაყრის ხეობის შესასვლელში და იქიდან ნაბიჯს არ მოიცვლიდნენ, თუნდაც ამას თითოეული მათგანის სიცოცხლე შესწირვოდა.

— ივრისპირეთი მაგრად აუოხრებია ამ წყეულს, — თათბირის შემდეგ წამოიწყო საუბარი დიდებამ, — შენები თუ მაინც გადაარჩინე, ქრისტესიავ?

— ჩვენს ძმადნაფიც ზაქროს ჩავაბარე, — დამწუხრებულმა უპასუხა ქრისტესიამ, — ზაქროს ხომ იცნობ?

დიდებამ თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

— ჰოდა, მთებში წაიყვანა. ალბათ ჟალეთში გადაიყვანდა. არაფერი ვიცი. ჩემი ახლადმოყვანილი ცოლიც გავაყოლე. ძალიან დარდი მაქვს. მაგრამ სამშობლო ჩვენი სალოცავია, მასზე წინ ვერავის და ვერაფერს დავაყენებ.

— ღმერთმა გისმინოს, ქრისტესიავ, — თქვა დიდებამ, — ჩემებიც ეგრე ღმერთის ანაბარა მივატოვე. მაგრამ ისინი მაინც შინ არიან და მამაჩემი, ხვთისავარი, არაფერს მოაკლებს.

მთელი ღამე იარეს. სხვადასხვა ადგილას ჩაასაფრეს მეომრები. დილით თავდასხმა უნდა ყოფილიყო მოულოდნელი. შემდეგ კი მცირე ხნით შეისვენეს, თვალი მოატყუეს.

გათენდა. როგორც კი ცისკრის ვარსკვლავის ნათება მინელდა, ქართველებს ცხენთა ფლოქვთა თქარუნის ხმა შემოესმათ. ჟინვანისკენ ყიჟინითა და ღრიალით მოდიოდნენ ჩაღათაელები და სართები და თან საქონელს მოერეკებოდნენ. ურმები და

აქლემები ნაძარცვით ჰქონდათ დატვირთული და ახალი სოფლების გასანადგურებლად ამხედრებულიყვნენ. კახელებსა და გუდამაყრელებს ბოღმის მშრალი ბურთები გასჩროდათ ყელში და მოუთმენლად ელოდნენ მეთაურების ბრძანებას, რათა დაძგერებოდნენ მომხდურებს და ერთიანად გაეჟლიტათ. მოისართა გუნდები ტყის პირებთან იყვნენ ჩასაფრებულნი. წინასწარი ვარაუდით აქ უნდა გაევლო მტერს და შესაბამისად მათ უნდა დაეწყოთ ბრძოლა. ასეც მოხდა. როგორც კი ბრბოდ მომავალი მტერი მათ გაუსწორდა, ქართველებმა ერთიანად სტყორცნეს ისრები და ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ომში მხედრობა ჩაბმულიყო. მომხდურნი, ელვისებური თავდასხმის გამო, აირ-დაირივნენ. სხვადასხვა მხრიდან შემოსეულმა მხედრობამ ხომ სულ თავზარი დასცა მათ. გასაქცევიც აღარ ჰქონდათ და ამიტომ აირივნენ. ვეღარ გაეგოთ რა უნდა გაეკეთებინათ. მტრის ერთმა ნაწილმა თითქოს გაარღვია ალყა. აქ უკვე ქრისტესიამ და დიდებამ იშიშვლეს ხმლები და თავიანთი რჩეული მხედრობით კაფეს და კაფეს თათრ-მონღოლები.

მტერი მაინც არ ნებდებოდა. თუმცა უმისამართოდ იქნევდნენ ხმალ-ხანჯალს და ისრებსაც ქართველთა მხარეს დამიზნების გარეშე ისროდნენ.

— ჰაი დედასა! — უცებ მოისმა განწირული ხმა.

ქრისტესიას გულმა ცუდი უგრძნო. ეს ხმა ძალიან ნაცნობი იყო მისთვის. მისკენ წამოსულ თათარს, ხმლის ერთი მოქნევით გააგდებინა თავი და გაიხედა თავისი ლაშქრის მარჯვენა ფრთისკენ. მეომრებს ბრძოლის ველიდან, ქრისტესიას ქორწილის ხელისმომკიდე და მეგობარი, ბაქარი გაჰყავდათ, რომელსაც ისარი ყელში მოხვედროდა და სისხლისგან იცლებოდა. ქრისტესიამ მიატოვა ბრძოლა და ბაქარისკენ გაჰქუსლა. მკვირცხლად ჩამოხდა ცხენიდან, მიწაზე დაწოლილ მეგობარს მივარდა, ხელი მოჰკიდა, თვალებში ჩახედა და მხოლოდ გაციებულ მზერას წააწყდა. ბაქარის თვალები აღარ მოძრაობდა. ის ზეცაში უკიდეგანო სივრცის ერთ წერტილს მიშტერებოდა. მხოლოდ შუ-

ბის ტარზე მდგარი მზის სხივები ირეკლებოდა მის აღარაფრის მთქმელ თვალებში. ქრისტესიამ ხელის ერთი მოძრაობით ისე დაუხუჭა თვალები ბაქარს, რომ არც შეუხედავს. მხოლოდ მისი თვალებიდან წამოსული ორი დიდი წვეთი ცრემლისა დაეცა ბაქარის გაციებულ მკერდს.

— ჰკა მაგ წუნკლებს! — არაადამიანური ხმით იღრიალა ქრისტესიამ, მოახტა ცხენს და მუდამ ქარქაშის უნახავი ხმლით დაერია ურჯულოებს.

ბრძოლამ შუადღემდე გასტანა და დამთავრდა ქართველთა სრული გამარჯვებით, ისე, რომ ამბის წამღებიც კი არ დაუტოვებიათ.

ბაქარი სხვა მეომრებთან ერთად საძმო საფლავში დაკრძალეს. ცოცხლებმა ცრემლიც დაადევნეს მიცვალებულებს. დიდხანს იდგნენ ასე გარინდებულნი. მერე პური გატეხეს და გუდამაყრელების მიერ ჩამოტანილი ხილის არყით ომში დაღუპული ვაჟკაცების შესანდობარი წარმოთქვეს.

ქრისტესიამ და დიდებამ, ლაშქართან ერთად, ჟინვანში დაიბანაკეს. მტრისგან აოხრებული სოფლებიდან გადარჩენილი ხალხი მოდიოდა მათთან და ისეთ საშინელებებს ჰყვებოდნენ, ადამიანის ყური ვერ მოისმენდა. საშინლად გადაებუგათ თათრებს არაგვის ხეობის სოფლები. რომ არა გიორგი მეფის გამოწვევა, თემურ-ლენგი ალბათ გააგრძელებდა ხეობის აოხრებას და ქვას ქვაზე არ დატოვებდა. ვინაიდან გიორგი მეფე ლაშქრის შეკრებას და ბრძოლის დაწყებას გორის ციხესთან ახდენდა, თემურ-ლენგმა ყველაფერს თავი მიანება და მთელი თავის ძალები გორისკენ დაძრა. ქართველთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ლენგმა მაინც აიღო ციხე. გიორგი მეფე ბრძოლით იხევდა უკან. თემური გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდა... შვიდი დღის განმავლობაში იცავდნენ ქართველები კარგად გამაგრებულ ძამის ციხეს. მერე მეფე გიორგი იძულებული იქნა დაეტოვებინა ციხე, ალყა გაარღვია და კვლავ დასავლეთისკენ დაიხია. თემურის ჯარებმა იქაურობა ააოხრეს და მოსახლეობა დახოცეს. ბოლო

ბრძოლა გიორგი მეფემ ლიხის მიდამოებში გაუმართა მტერს და შემდეგ იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. თემურ-ლენგი მას აღარ გამოედევნა და სამცხეს შეესია, გაძარცვა და ააოხრა. ტყვეებიც მრავლად მოაგროვეს. სამცხის გზაზე მცირე ამალით მიმავალ ლენგს, შემთხვევით, რამდენიმე აზნაურთან ერთად, ქუცნა ამირეჯიბი გადაჰყრია და ბრძოლაც გაუმართავს. ქუცნას იერიში თემურზე მიუტანია, ხმლის ერთი მოქნევით თაჯიც მოსწყვიტა თურმე თავიდან, მაგრამ მტრის სიმრავლის გამო, მალევე გასცლია იქაურობას, თაჯიც თან წამოუღია და რაჭაში მრავალძალის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრისთვის შეუწირავს. სამცხის მოთარეშების შემდეგ ურჯულოები, თრიალეთზე გადმოვლით, თეძმის ხეობაში ჩავიდნენ და იქაურობაც გაძარცვეს და ააოხრეს, მათ შორის რკონის მონასტერიც. შემდეგ ქვათახევის მიდამოები დაარბიეს, მონასტერს კი ცეცხლი წაუკიდეს და იქ თავშეფარებული ხალხი, მათ შორის ბერ-მონაზონნიც გამოწვეს. მერე თათარ-მონღოლნი მცხეთას შეესივნენ და სვეტიცხოველი გაძარცვეს და დაანგრიეს. იქიდან მტარვალი კოლის მინდვრისაკენ გაემართა, გზად ფანასკერტის ციხე აიღო და მისი მიდამოები გაანადგურა.

თემურ-ლენგმა საქართველოში თარეშს მთელი გაზაფხული და ზაფხული მოანდომა. ქართველთათვის ისტორია რომ მოესპო, საერო და საეკლესიო წიგნები და სიგელ-გურჯებიც გაანადგურა... ქართული ლაშქრის მიმოფანტული ნაწილები ელოდებოდნენ გიორგი მეფის ბრძანებას, რომელიც აგვიანებდა. ქრისტესია და დიდება თავისი მეომრებით ისევ ჟინვანში იდგნენ. ბოლოს, როგორც იქნა მოვიდა მეფის ბრძანება, რომ ქართველ მეომრებს მიეხედათ თავისი სოფლებისთვის, ოჯახებისთვის, აღედგინათ მეურნეობა, სახლ-კარი და როდესაც საჭირო იქნებოდა მეფე დაუძახებდა მათ.

— აღარ ვიცი, გამარჯვება ვიზეიმო თუ დამარცხება ვიგლოვო, — ეუბნებოდა ქრისტესია დიდებას, — მე კი ამ სართების ჯავრი ამოვიყარე და შური ვიძიე, მაგრამ ჩემი სამშობლო რომ მთლიანად აოხრებული და განადგურებულია!?

— რას იზამ, ქრისტესიავ, — უთხრა დიდებამ და ხელი მხარზე გადახვია, — ძმაო, ჩვენ რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ. ახლა წამოდი ჩემთან, გუდამაყარში გავიაროთ, ჩემებს გაგაცნობ. ცოტა შევისვენოთ და მერე გზას დაგილოცავ სახლისკენ.

— მადლობა, დიდებავ, — თქვა ქრისტესიამ, — ჩვენ საიდანაც მოვედით, იქით წავალთ, ასე აჯობებს.

— რას ამბობ, ქრისტესიავ, — იწყინა დიდებამ, — ამ განადგურებულ ადგილებზე რომ გაივლი, რა იცი, რა უბედურებას გადაეყრები. ეშმაკს არ სძინავს. უაზრო ომს კიდევ რა შედეგის მოტანა შეუძლია, ეს ჩემზე კარგად შენ იცი. გუდამაყრიდან ჟალეთს გადახვალ, შენებსაც მოინახულებ და ერთად წახვალთ შინ.

— მოვინახულებ, მოვინახულებ, — გააგრძელა სიტყვა ქრისტესიამ და თან სევდა მოაწვა გულზე, — თუ არიან კიდევ ცოცხლები....

— ყველაფერი კარგად იქნება, პირიმზე ფუძის ანგელოზი არ გაწირავს მათ, — წამოიძახა დიდებამ და გაჰქუსლა, — წავედით, წავედით გუდამაყარში.

* * *

შავი არაგვის პირას ცხენოსანთა ლაშქარი მიაქროლებდა ცხენებს. გუდამაყრის ხეობაში გვიანი ზაფხულის გრილი სიო ქროდა. მხედრებს სახეზე ესალბუნებოდა და თითქოს შინ მშვიდობით დაბრუნებას ულოცავდა.

ლაშქარს წინ ქრისტესია და მასპინძელი დიდება მიუძღოდნენ.

— ჩვენში, — ალაპარაკდა დიდება, — პირიმზის ხატობა ღვთისმშობლის დღესასწაულზე ვიცით. უკვე ჩავლილია ხატობა. მაგრამ ახლა ფუძის ანგელოზობას ზეიმობს გუდამაყარი. ხალხი დაგვხვდება სალოცავებში.

— ბედნიერი კაცი ხარ, დიდებავ, — ღიმილით უთხრა ქრისტესიამ, — ოჯახს უბრუნდები. ნეტავ ჩემებიც მომაძებნინოს ამ ანგელოზმა.

— ყველაფერი კარგად იქნება, ქრისტესიავ, — დააწყნარა ძმადნაფიცი დიდებამ, — პირიმზე ფუძის ანგელოზი ძალიან ძლიერია. მაგას ღვთის შვილები კოპალა და იახსარი უდგანან გვერდში. მისი დალოცვილი ხალხი მუდამ კეთილად ივლის. ამ ანგელოზმა გაამრავლა ეს ამდენი ხალხი — წიკლაურ-ბექაურები და უყმო ყმანი ჩოხელები, აფციაურები, ანთაურები და კიდევ ბევრნი, ღმერთმა ამრავლოს.

— შენ პირს შაქარი, დიდებავ! — გასძახა ქრისტესიამ, — მე მჯერა ღმერთის და მისი ანგელოზების. ჩვენშიც ბევრი სალოცავი გვაქვს. შენს სოფელში, ნათიანშიც გაქვთ ხომ ანგელოზის სალოცავი!?

— მაშ, ქრისტესიავ, გვაქვს და თან ძალიან ძლიერი. ბავშვი როგორც დაიბადება, მაშინვე ანგელოზის სალოცავთან მიგვყავს და ხევისბერი სთხოვს ანგელოზს, რომ მფარველობა გაუწიოს. ახლად დაბადებულს ანგელოზი აუცილებლად უნდა ჰყავდეს, რომ ჟამიანობამ არ წაახდინოს.

ამასობაში დიდებას სოფელი, მთაზე შეფენილი ნათიანიც გამოჩნდა.

— აჰა! მოვედით! — ბავშვური აღტკინებით იყვირა დიდებამ, მათრახი გადაჰკრა ცხენს და წინ გაიჭრა.

ფუძის ანგელოზთან ხალხი შეკრებილიყო. დიდებას და მხედრების დანახვაზე ყიჟინა ატეხეს. სიხარულისგან ადგილზე ხტოდნენ. ერთმანეთს გადაეხვივნენ მოსული და დამხდური გუდამაყრელები. ქრისტესია თავისი მეომრებით მოშორებით გაჩერებულიყო და ბედნიერი წუთების ხილვით ტკბებოდა. დიდებამ კახელები გააცნო გუდამაყრელებს და მერე იკითხა:

— რა ხდება!? ფუძის ანგელოზობას აღვნიშნავთ!?

— გუშინ მამაშენმა ხვთისავარმა აღნიშნა ანგელოზობა და ილოცა კიდეც ღმერთისთვის, სამშობლოსთვის, თქვენთვის და ჩვენთვის.

— აბა, დღეს რაობაა, ხალხო!?

— თქვენ სახლჩი, დიდებავ, ხიზნები არიან შეფარებული და გუშინ, როგორც ხვთისავარმა ლოცვა დაამთავრა, სტუმრების

ახალგაზრდა ქალმა ბიჭი გააჩინა. ხო იცი, მამაშენის ამბავი, მაშინვე ნათლავს ახალშობილს. მაგრამ გუშინ უკვე საღამო იყო და ნათლობა დღეისთვის დათქვა.

— ვინ არიან ხიზნები!? საიდან არიან!? — იკითხა დიდებამ, რომელსაც ისე აინტერესებდა აქაური ამბები, რომ პასუხს სულმოუთქმელად ელოდა..

— აგერა ჩამოდიან მთიდან და შენ თვითონ ნახე.

მთიდან, რომელზეც სოფელი იყო გაშენებული, საცალფეხო ბილიკით ხალხი მოდიოდა. წინ ხვთისავარი მოუძღოდა, რომელსაც ხელთ მოუცილებელი ხევისბერის კვერთხი ეპყრა. უკან თეთრწვერიანი მოხუცი მოსდევდა, მერე ახალგაზრდა კაცი ბავშვით ხელში და კიდევ რამდენიმე ქალი, მათგან ერთი, ახალგაზრდა ქალი ბავშვიან კაცს უკან მოსდევდა და თან ბავშვს თვალს არ აცილებდა.

შუადღე კარგა ხნის გადასული იყო.

სალოცავთან შეკრებილი ხალხის მზერა მთიდან ჩამომავალი ადამიანებისკენ იყო მიპყრობილი.

ქრისტესია დაჩოქილიყო ფუძის ანგელოზის ნიშთან და შესთხოვდა უფალს სამშობლოსა და ოჯახის გადარჩენას. უცებ, რაღაც ძალამ ფეხზე წამოაყენა და მთისკენ გაახედა. თითქოს მუხლი მოეკვეთა, თვალებზე ლიბრი გადაეკრა. ვერ გაეგო, სიზმარში იყო თუ ცხადში. ის ნუნნას ხედავდა, თან ვერ ხედავდა. თითქოს ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა. ვერ იგებდა, რა ხდებოდა მის გარშემო. უცებ, დიდებას ხმამ გამოაფხიზლა:

— ქრისტესიავ! აგე ნათლობასაც დავესწრებით. კიდევ ერთი ბიჭი დაბადებულა გუშინ!

— ჰო!... კარგია!... — ძლივს ამოთქვა ქრისტესიამ, — ნათქვამია, ომის დროს სულ ბიჭები იბადებიანო. ნეტავ, ვინ არის ეგ ბედნიერი?

— კაცო! ქრისტესიავ! — იყვირა დიდებამ, — ის ვაჟი, ბავშვი რომ უჭირავს, ზაქრო არ არის!? თუ თვალი მატყუებს!?

— რაო! — წამოიძახა ქრისტესიამ, — ზაქრო!? აბა, სადა, კაცო!?

— აგე, რო მოდიან! მივეგებოთ!

ქრისტესია სწრაფად მიმავალ დიდებას გაჰყვა, მაგრამ ფეხი დაუცდა და მიწაზე დაენარცხა. წამოდგა, ისევ დაეცა. ასეთი რამ ფიცხელ ბრძოლაში არასდროს მოსვლია ომებში გამობრძმედილ ვაჟკაცს. ბოლოს, როგორც იქნა, გასწორდა და ისე მარდად გაიქცა, რომ დიდებას ცხენის ორ ნახტომზე გაასწრო. თავი ასწია და მომავალ ადამიანებს თვალი შეავლო. მისი მზერა მხოლოდ ერთ მათგანზე გაჩერდა. ეს ნუნნა იყო. ქრისტესია სხვას ვერავის ხედავდა. შორიდანვე მთელი სიძლიერით დაიყვირა:

— ნუნუუ! ნუნუუ! ნუნუუ!..

გუდამაყრის მთებმა რამდენჯერმე გაიმეორეს ეს სახელი.

ნუნნა ადგილზე გაშეშდა. მშობლებმა, ზაქრომ და ახლობლებმა იცნეს ქრისტესია და ატყდა სიხარულისაგან გამოწვეული როკვა. შემოეხვივნენ ქრისტესიას და დიდხანს იყვნენ ერთმანეთთან ჩახუტებულნი. ბოლოს, ქრისტესია მოეგო გონს და ნუნნას გადაეხვია.

— ცოცხალი ხარ, გოგოვ!? როგორ მომენატრე!

ნუნნა იმდენად იყო დაცლილი სიხარულისგან, რომ ხმას ვერ იღებდა. ბოლოს, მოიკრიბა ძალღონე და თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— ის, ჩვენი შვილია.

ქრისტესია მუხლებზე დავარდა, ზეცისკენ აიხედა, ორივე ხელი მაღლა აღაპყრო და შესძახა:

— დიდება შენდა, ღმერთო ჩემო, დიდება შენდა!

მერე პირჯვარი სამჯერ გადაიწერა. ჯვრის ძალამ მყისიერად იმოქმედა ქრისტესიაზე და ეს აბობოქრებული ვაჟკაციც დაწყნარდა. მშობლებს მოესიყვარულა. ზაქროს მარჯვენა მხარზე ეამბორა და მადლობა გადაუხადა. ამ დროს ზანზალაკების ხმა გაისმა. ხვთისავარი აჟღარუნებდა სათემო დროშაზე ზანზალაკებს. მერე კი თქვა:

— ვაჟავ! შენა ხარ ქრისტესია!? ბევრი მსმენია შენზე. გამარჯვება და მშვიდობა.

ქრისტესიამ ხელი ჩამოართვა ხევისბერს და უთხრა:

— დიდი მადლობა, ძია ხვთისავარ, ოჯახი რომ გადამირჩინე.

ხვთისავარს გაეღიმა და უპასუხა:

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა კი წავიდეთ, შენი ვაჟი უნდა მოვნათლოთ.

ყველანი სალოცავის წინ დადგნენ.

ხვთისავარი მიეახლა სალოცავს, სანთელი აანთო, პირჯვარი გადაიწერა და ხმამაღლა დაიწყო ლოცვა:

— დიდება ღმერთს, დიდება ღმერთს, დიდება იესუ ქრისტეს, ძეს მამისას მარჯვნივ მჯდომს, ქვეყნიერების დამაარსებელს, ცა-ვარსკვლავების გამჩენს, ყოვლისმპყრობელ ღმერთს. ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა დიდ ლომისის წმიდა გიორგის, ხორეშანით მობრძანებულს, შვიდი ათასი ტყვის მხსნელს, ქსნისა და არაგვის თავდამყურებელს. ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა ადგილის დედას, მთავარანგელოზს, წმიდა გიორგის, ყველაწმიდა ხვთიშობელს. ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა გუდამაყრის სალოცავებსა პირიმზიან ფუძის ანგელოზსა, უყმო ყმის მშველელსა, ყრმათა გამრავლებელსა, ჩოხით წმიდა გიორგისა სირასით მობრძანებულსა, ჩოხში დაბრძანებულსა, ოქროს შაბიანსა, ენათა გამყოლსა, ფუძის ანგელოზსა, აქა დაბრძანებულსა, ერობის მფარველსა. ღმერთო, გაუმარჯვე გამარჯვებულსა გმირ კოპალესა, თამარ ექიმ-დედოფალსა თავის მადლის მეკარვე კვირიაითი, დამსტებ-დასტურებითა, ლაღ იახსარსა მათრახიანსა, დევებთან მეომარსა. გაუმარჯოს ამიერ და იმიერ ოთხივე კუთხის სალოცავებსა, ზედაშის წმიდა ანგელოზსა, სახლის კეთილ ანგელოზსა, ადგილის დედასა და ყოველთა ადგილთა წმიდათა და მაღალთა. დიდო სალოცავებო! თქვენო ძალო-სამართალო, ხელი მოუმართე საქართველოს, ქართველ ერს, ჩვენს ოჯახებს, შენი მფარველი კალთა გადააფარე, ჩვენზე და საქართველოზე მომიზნებული მახვილი ჩვენს მტერზე გადაატარე, ბარაქა დაგვიდე ნახნავ-ნათესსა, ცხვარ-მეცხვარესა, ნაწველ-ნადღვებსა, ხარის ქედსა, ალალი კაცის მარჯვენასა. გადმოგვხედე წყალობით. უშველე ჩვენს საქართველოს, საქარ-

თველოსთან მთა-მთიულეთს, მთა-გუდამაყარს, მასთან ერთად ჩვენს სოფელ ნათიანს, თქვენი დიდებითა და წყალობითა, ჩვენო მამა-პაპის სალოცავებო, გვიშუამდგომლე თქვენს გამჩენ მამა-ზეციერთან, სამებით ერთარსებასთან, რათა ბედნიერად ამყოფო აქ მოსული სტუმარი, ყველა მლოცველი ღვთის მოშიშე მავედრებელი ხალხი. ამინ!

ხვთისავარმა დაამთავრა ლოცვა და სათემო დროშაზე დამაგრებული ზანზალაკები ააჟღარუნა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ნათლობისათვის შეწირული ჭედილა უნდა დაეკლათ. ხოლო თვითონ ზაქროს ანიშნა, რომ ბავშვი სალოცავთან ახლოს მიეყვანა. შემდეგ მიმოიხედა და ხმამაღლა დაიძახა:

— ქრისტესია სად არის!? ვაჟის მამა!

ქრისტესია და ნუნნა ხელიხელჩაკიდებულნი სალოცავისგან მოშორებით იდგნენ, რადგან ნუნნას, როგორც ახლადნამშობიარებს სალოცავთან მისვლის უფლება არ ჰქონდა. ქრისტესიამ მეუღლე იქვე მდგარ დედაკაცებთან დატოვა და თვითონ ხვთისავარისკენ გაემართა.

— გისმენ, ხევისბერო! — შესძახა ქრისტესიამ და თავი დახარა.

— ქრისტესიავ! — წარმოთქვა ხვთისავარმა, — დღეს შენი ვაჟი უნდა მოვნათლოთ. ნათლიაც შენ უნდა შეარჩიო და ვაჟის სახელიც. აბა, გვითხარ, რას აპირებ?

ქრისტესიამ პირჯვარი გადაიწერა, ხალხს თვალი მოავლო და ყველას გასაგონად წარმოთქვა:

— ხალხო! ჩემი პირველი შვილის ნათლიად თავიდანვე ჩაფიქრებული მქონდა, რომ ყოფილიყო ჩემი მეგობარი და ქორწილის ხელისმომკიდე ბაქარი, მაგრამ ის გმირულად დაეცა თათრებთან ომში. არც ცოლი ჰყავდა და არც შვილი. მშობლებიც ადრე გარდაეცვალა, დედისერთა იყო. ამიტომ ასე გადავწყვიტე, ჩემს ვაჟს სახელად ბაქარი დავარქვა. ვინაიდან ბაქარი და დედამისი, ჩემი მეუღლე ნუნნა, ჩემმა ბავშვობის კიდევ ერთმა მეგობარმა, ზაქრომ სამშვიდობოს გადმოიყვანა, ერთი ნათლია ის იყოს, ხოლო მეორე ნათლია კი, ჩემი ძმადნაფიცი და თანამებრძოლი —

დიდება, რადგან მის ოჯახში დაიბადა ბაქარი და ის გუდამაყრელიც არის.

ხვთისავარმა ნათლიები სალოცავთან იხმო, ბაქარი ხელში დააჭერინა, კიდევ ერთხელ ააჟღარუნა ზანზალაკები, ზეცისკენ აღაპყრო ხელები, მერე ახლადდაკლული ჭედილას სისხლით სავსე ხის ჯამში ჩაყო მარჯვენა ხელის თითები, ბაქარს შუბლზე სისხლით ჯვარი გამოუსახა და ხმამაღლა შესძახა ზეცას:

— ანგელოზებო! თქვენი მფარველი კალთა გადააფარეთ ბაქარს და დაიცავით ის ავი სულებისაგან!

მერე, იქვე, სახელდახელო სუფრა გაიშალა. კაცებმა გუდამაყრული ხილის არაყი და ნათლობის დღისთვის საგანგებოდ მოხარშული ლუდი მიირთვეს. ადიდეს ღმერთი, ადღეგრძელეს სამშობლო და ახლადმონათლული ბაქარი.

* * *

მეორე დღეს კახელები გუდამაყრელებს დაემშვიდობნენ და შინისკენ მიმავალ გზას დადგნენ. ახლა უკვე საშიში არაფერი იყო, რადგან თავიანთი ადგილ-მამულიდან გადაკარგულ, ხიზნებად ქცეულ კახელებს, სამშობლოში ომებში გამობრძმედილი ლაშქარი მიაცილებდა. ქრისტესიას მაინც ფრთხილად მიჰყავდა ხალხი. მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილების მიზნით, სავალ გზებზე წინდაწინ მზვერავებს აგზავნიდა. მას გონება და გული ერთიანად აგრძნობინებდა, რომ თემურ-ლენგის მიერ გადაბუგულ-გადამწვარი სოფლები მათი აღსადგენი იყო.

რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ, ქველდაბას მიადგნენ. ერთ დროს აყვავებული და სიცოცხლით სავსე ქალაქი დაქცეული და მიწასთან გასწორებული იყო. ადამიანთა, ნადირთა მიერ დაგლეჯილი და უკვე მიწად ქცეული გვამების ნაწილების შემხედვარენი მიხვდნენ, რომ დამმარხავიც კი არ დაუტოვებიათ ურჯულოებს.

ლაშქარმა ნუნნას სოფლისკენ, ძველპატარძეულისკენ გააგრძელა გზა. ირგვლივ ყველაფერი განადგურებული იყო, თვითონ სოფელი კი მიწასთან გასწორებული. ყორან მთისკენ წა-

ვიდნენ. შორიდანვე დაინახეს, რომ წმიდა გიორგის ტაძარს მხოლოდ საკურთხევლის კედელი შემორჩენოდა. მხედრები ცხენიდან ჩამოხდნენ და ისე მიეახლნენ ძველთაძველ სიწმიდეს. უცებ, ქრისტესიამ ხელი მაღლა ასწია და ყველას ანიშნა შეჩერებულიყვნენ. დანგრეული ტაძრიდან მამა ევსტათის ხმას მოჰკრეს ყური. ყველა გაირინდა. მღვდელი ლოცულობდა:

— ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყვეთა მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა, ქრისტიანობის დამტკიცებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ. დიდება შენდა, უფალო! დიდება შენდაა!..

ქრისტესია და როსტომი ფრთხილად მიეახლნენ დანგრეული ტაძრის კედლებს. საკურთხევლის ტრაპეზთან მლოცველმა მღვდელმა იგრძნო, რომ მის ზურგს უკან ვიღაც იდგა. ნელა შემოტრიალდა და სახტად დარჩა, როდესაც ქართველი მეომრები დაინახა.

— შვილებო! — წამოიძახა მამა ევსტათიმ. ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა ვაჟკაცებს და გადაეხვია. მერე შეხედა ორივეს, ქრისტესიასკენ თითი გაიშვირა და განაგრძო, — შენ გიცნობ, აქ დაგწერე ჯვარი.

— დიახ, მამაო, ქრისტესია ვარ, ბერთუბნელი.

— საიდან მოხვედით აქ, შვილებო? — არ ცხრებოდა მღვდელი.

— ომიდან, მამაო, ომიდან. — უპასუხა როსტომმა.

— ღმერთო! ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს, — თქვა მამა ევსტათიმ და საკურთხევლისკენ გაიხედა, მერე პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო, — ვინ იფიქრებდა, რომ ის არსახსენებელი იქედნე ზამთარში შემოვიდოდა ივრისპირეთში. აქ შემოჭრამდე, მე კაწარეთელმა ეპისკოპოსმა მიახლა მცხეთაში და როდესაც ეს უბედურება დატრიალდა აქ არ ვიყავი. ნეტავ მეც ამათთან ერთად მოვმკვდარიყავი და არ მენახა ეს საშინელება.

— ყველა დახოცეს, მამაო? — მორიდებით იკითხა ქრისტესიამ. თან ფიქრობდა იქნებ ზოგმა გაასწრო, მათ შორის ნუნნას ოჯახმაო.

— ყველა, შვილო, ყველა, — მღვდელი თითქოს მიუხვდა ქრისტესიას გულისთქმას, — ლაფერიაანთ გიორგის ოჯახის ყველა წევრიც ზვარაკად შეიწირეს ურჯულოებმა.

— შენ, მამაო? აქ მარტო როგორ ხარ? — ჰკითხა როსტომმა, — ან სად ცხოვრობ? ჩვენთან წამოდი. აქ გაგიჭირდება ცხოვრება.

— არა, შვილო. მე აქედან არსად არ წავალ. ნეტავ მაშინაც არ წავსულიყავი, მაგრამ ეპისკოპოსის კურთხევის დარღვევა არაფრით არ შეიძლებოდა. აქ მე მარტო არა ვარ.

— როგორ, მამაო? — გაიკვირვა როსტომმა, — სულ შემოვიარეთ აქაურობა და ძე ხორციელი ვერ ვნახეთ.

მამა ევსტათის გაეღიმა, გაიხედა ტაძრის საკურთხევლისკენ და უთხრა როსტომს:

— უფალი არის ჩემთან! ცხოვრებით კი, აქვე ახლოს გამოქვაბულია ერთი, იქა ვარ. მე ბერი ვარ და ჩემი ცხოვრების წესი ასეთია. თან ამ ტაძარს ხომ ვერ მივატოვებ, კათალიკოსმა დამადგინა აქ მღვდლად. როგორმე აღვადგენ, ხალხიც შემოგვემატება და ვილოცებთ უფლისა მიმართ.

— მამაო, რომ არ გითხრა არ შემიძლია, — დაიწყო საუბარი ქრისტესიამ, — როგორც თქვენ თვითონ გაიხსენეთ, მე და ნუნნას ჯვარი თქვენ დაგვწერეთ და უკვე ვაჟიც შეგვეძინა.

— უნდა მოვნათლოთ, შვილო! – არ აცალა სიტყვის დამთავრება მამაომ ქრისტესიას, — მით უმეტეს ამ დროში, რაიმე უბედურებას რომ არ გადაეყაროს!

— მეც მანდა ვარ, მამაო, მაგის თქმას ვაპირებდი. გუდამაყარში პატივი გვცეს, ხევისბერმა მონათლა, დიდი მადლობა მათ, მაგრამ რამდენად სწორია ეს ქრისტიანულად?

მამა ევსტათიმ თავი გადაიქნია და უპასუხა:

— ის სისხლით მონათლავდა. ეგ წარმართული წესია, არ არის ქრისტიანული. ცხოველის სისხლით ჯვრის გამოსახვა როგორ შეიძლება, მაშინ, როდესაც უფალმა იესუ ქრისტემ ჯვარი თავისი სისხლით შეღება. სად ღმერთის სისხლი და სად ცხოველისა? უნდა გადავნათლოთ!

— როგორ, მამაო? — შეცბა ქრისტესია.

— წყალში სამჯერ უნდა შთავფლათ და მერე მირონი ვცხოთ, მირონი! — წარმოთქვა მამა ევსტათიმ და საკურთხევლისკენ წავიდა. იქვე სათუთად შენახული, პატარა თავმოკრული თიხის ჭურჭელი ამოიღო, დაანახა ქრისტესიას და განაგრძო, — მცხეთიდან წამოვიღე ეს მირონი.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ, მამაო? — დაიბნა ქრისტესია.

— აქვე ჩავალთ იორზე, სადაც ჭალაა, სართების ჭალა რომ დაარქვეს იმ ადგილს და იქ სამჯერ შთავფლათ შენი ვაჟკაცი წყალში. ხომ იცი, იორი ჩვენი ემბაზია? მერე მირონს ვცხებ, ლოცვებს წავუკითხავ და ბერთუბანში რომ მიხვალთ, იქ განბანეთ.

ნუნნამ გამოიგლოვა თავისი ოჯახის წევრები, რომელთა არც საფლავი იყო და არც კვალი ჩანდა. მერე მამა ევსტათიმ ტაძართან განწმენდის ლოცვა წაუკითხა და ყველანი სართების ჭალისკენ წავიდნენ. მღვდელმა ივრის პირას, წესისამებრ ჩაატარა ნათლობა, მირონი სცხო ბაქარს და გაისტუმრა ბერთუბნისკენ. თვითონ კი პატარძეულელ მეომრებთან ერთად შეუდგა ძველპატარძეულისკენ მიმავალ გზას.

ბერთუბანი სართების ჭალიდან ორი-სამი ჟამის სავალზე იყო. საღამო ხანს კახელთა ლაშქარი და ხიზანყოფილნი ბერთუბანში შევიდნენ. იქაც იგივე მდგომარეობა დახვდათ, რაც ქველდაბასა და მის მიმდებარე სოფლებში იყო. ჩაღათაელებსა და სართებს ერთნაირი ხელწერა ჰქონდათ ყველგან. ნაცარტუტად უნდა ექციათ ყველა და ყველაფერი.

ის ღამე ქრისტესიას ნასახლარზე გაათენეს. მეორე დღეს თვალელნი და გიორგიწმინდელი მეომრები დაემშვიდობნენ ბერთუბნელებს და წავიდნენ თავიანთ სოფლებში, სადაც ისეთივე უბედურების მოწმენი გახდებოდნენ. მხოლოდ როსტომ ქუმელაშვილი დარჩა მცირე ხნით ქრისტესიასთან. როსტომი თვალელების და გიორგიწმინდელების ლაშქრის მეთაური იყო და ქრისტესიასთან ერთად მომავალი მოქმედების განწესებაზე უნდა ესაუბრა.

სახელდახელოდ გაკეთებული ჩარდახის ქვეშ ისხდნენ ქრისტესია და როსტომი.

— ეს რჯულძაღლი კიდევ შემობრუნდება, ქრისტესიავ! — უთხრა როსტომმა ბერთუბნელს.

— ჰოო! მეც ეგრე ვფიქრობ. სანამ გიორგი მეფეს არ დაატყვევებს, არ მოგვეშვება.

— ხომ გეუბნებოდი, მეფე გიორგი ახალგაზრდული გულფიცხელობით წყვეტს საქმეებს.

— ვიცი, ჩემო როსტომ, — ამოიოხრა ქრისტესიამ, — განა მე ვერ ვხვდებოდი მაგას, მაგრამ არ მინდა, რომ ღვთისგან მირონცხებულ მეფეზე ასე ვიფიქრო. ის ხომ მეფეა და ღმერთის მიერ ჩვენს წინამძღოლად არის დადგენილი. ჯერ ერთი, ძალიან ენდობოდა თავის ხელქვეითებს, რომელთაგან რამდენიმემ უღალატა. მერე მიუვალი ციხესიმაგრეების დიდი იმედი ჰქონდა, რაც ასევე არ გამართლდა. ამ ურჯულომ კიდევ, ოქროს ურდო და სისხლისმსმელი თოხთამიში დაამარცხა, დაიპყრო მთელი ირანი, ოსმალეთი, ხვარაზმი, ხორასანი, მავერანნაჰრი, მესოპოტამია და ინდოეთიც კი, ამასთანავე შარვანის ძლიერი მმართველი იბრაჰიმიც თემურ-ლენგის მხარეს იყო. ამ დროს ჩვენებმა, მეფის ბრძანებით, ნახიჩევანი დაარბიეს, ალინჯაკის ციხის ალყა გაარღვიეს და ციხიდან ტაჰერ ჯელაირი გამოიყვანეს. რისთვის და ვისი გულისთვის? ეს არ იკმარა და ლენგის მოთხოვნაზე, მისთვის ტაჰერი გადაცა, უარი თქვა და უხეში პასუხიც გასცა. ის ურჯულო კი ავადმყოფია და პატივმოყვარე. მეფის ასეთმა ქმედებამ გადარია და ჯავრი ჩვენზე იყარა და მერე როგორ, შეხედე! ყველაფერი მიწასთან არის გასწორებული, ხალხი დახოცილი და თუ მცირედნი მთებს შეეფარნენ, ისინიც შიშით უკან ვეღარ ბრუნდებიან. რად გინდა ისეთი სამეფო, თუ იქ მოსახლეობა არ გეყოლება!? რა უნდა ქნას კაცმა!?

— ისე გუდამაყრელებს თავიანთი განთქმული მუზარადები და შვილდ-ისრები რომ არ მოეწოდებინათ, აღარც ჩვენ ვიქნებოდით. — მწარედ გაეცინა როსტომს, — ისე ეს ხელობა მართლა მაგრად სცოდნიათ.



— ღმერთმა დალოცოს! მამაცი ჩაუქები არიან! — სიამაყით წარმოთქვა ქრისტესიამ.

კიდევ ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრეს ქრისტესიამ და როსტომმა. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ სოფლების აღმშენებლობა და ხალხის დაბრუნება დაეწყოთ. მეომრებს უნდა ეთავათ ეს საქმე. თვითონაც უნდა ემუშავათ და სოფლებიც დაეცვათ თავდასხმებისაგან.

გარეკახეთში ამ დროს რთვლობა და მოსავლის აღება იწყებოდა ხოლმე, მაგრამ წყეული თემურ-ლენგის მეომრებმა აღარც ვაზი დატოვეს და აღარც ხეხილი.

აყვავებული ქვეყანა განადგურებული იყო.

ქრისტესია და ნუნნა თავის ნასახლარზე იდგნენ და აღმოსავლეთისკენ ცას გაჰყურებდნენ. ნუნნას ხელში ბაქარი ეჭირა, ხოლო ქრისტესიას ორივე მხარზე მიეხუტებინა. ასე მდუმარედ იდგნენ ფუძედანგრეული ახალგაზრდები. ბოლოს, ქრისტესია წელში გასწორდა, პირჯვარი გადაიწერა და წარმოთქვა:

— უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი! იხსენ ჩვენი სამშობლო განსაცდელისაგან. მოგვეცი ძალი, რაითა ვემსახუროთ ღმერთს, სამშობლოს და ადამიანს!

— ამას მხოლოდ სიყვარული და ერთად დგომა შეგვაძლებინებს, შვილებო, — მოესმა ქრისტესიას ზურგს უკან მამის ხმა, — სიყვარულს ვერავინ დაამარცხებს, რადგან ის ღმერთია.

* * *

თემურ-ლენგი კიდევ ორჯერ შემოესია საქართველოს, ვითომ დადებული ზავის შეუსრულებლობის გამო. გიორგი მეფე იძულებული გახდა ტაჰერი რუმში გაეგზავნა მამამისთან, ხოლო თემურ-ლენგთან ახალი საზავო მოლაპარაკება დაეწყო. ლენგმა კი მანამდე ბირთვისის ციხე აიღო და დასავლეთ საქართველოში შვიდასამდე სოფელი გაანადგურა და გადაწვა, ,,ლაშქარი მათი ქუთათისამდე იყო მიწევნული“. მერე მობრუნდა აღმოსავლეთისკენ. გზად ტფილისი და მისი მიდამოები დაარბია. ეტყობა არ

სწამდა, რომ მეფე გიორგი ზავის პირობებს აასრულებდა. ყარაბაღის გავლით, სამარყანდში ჩავიდა და ჩინეთის დასაპყრობად გაემართა. სწორედ ამ გზაზე განუტევა სული.

ჩვიდმეტი წლის განმავლობაში თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა ჩვენს სამშობლოს. ქართველობამ გმირული და თავდადებული ბრძოლების შედეგად შეძლო ფიზიკური არსებობის, სახელმწიფოებრიობის და სარწმუნოების შენარჩუნება, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ან ბრძოლაში დაიღუპა, ან ტყვედ იქნა წაყვანილი. დანგრეული და გადამწვარი იყო მრავალი ქალაქი და დაბა, ციხესიმაგრე და ეკლესია-მონასტრები. გაიჩეხა და განადგურდა ბაღები და ვენახები. ამ ზარალის აღდგენა საქართველომ საუკუნეების განმავლობაში ვერ შეძლო.

შ ე ფ ი ც უ ლ ნ ი

„მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.
წარწერა ერეკლე მეორის ხმალზე.

თოფის გავარდნის ხმამ უდაბნოს ყველა სულიერი და უსულო შეძრა. მონასტრის ტერიტორიაზე ცეცხლის სროლა იკრძალებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ზაზა გვარიძიშვილს სხვა გზა არ ჰქონდა. დოდორქის მონასტერს შემოსეული ლეკები უკვე ზედა სენაკებს არბევდნენ და ბერების კლდიდან გადაგდებას აპირებდნენ. ზაზას ნასროლმა ტყვიამ ლეკი ჯერ წელში გაზნიქა, ხოლო შემდეგ ფრიალო კლდიდან ხევში გადაჩეხა.

— ჰკა ამ წუნკლებს! – იყვირა ზაზა გვარიძიშვილმა, ცხენიდან მკვირცხლად გადმოხტა, ხმალი იშიშვლა და ვიწრო ბილიკებით აუყვა კლდეს. მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ პატარძეულელი და ბერთუბნელი ვაჟკაცები: უნაფქოშვილები, ჯიღაურები, ლაფერიშვილები, სიბოშვილები, სულიკაშვილები...

მონასტრის ძარცვით გართული ლეკები უცაბედი თავდასხმისაგან დაიბნენ. მათ კარგად იცოდნენ ქართველების ხასიათი, ცოცხალს არავის გაუშვებდნენ, ამიტომ ყველაფერს თავი მიანებეს და მონასტრის ზედა მხრიდან დააპირეს გაქცევა, მაგრამ იქ მათ ზაქარია ყუშიტაშვილი და იასე სიბოშვილი ელოდნენ თავისი რაზმით. კახელებს ლეკთა მეთვალყურენი უკვე გაეკოჭათ და ცხენებზე ჰყავდათ გამობმული. მომხვდურებს ფერი ეცვალათ. ხმლები იშიშვლეს, თუმცა თვითონვე ხვდებოდნენ, რომ ბრძოლა წაგებული ჰქონდათ.

— მჭადიჯვრიდან იმიტომ დაგიფრინეთ, რომ აქ წამოთრეულიყავით, თქვე ძაღლის გაგდებულებო!? – იყვირა იასემ და მისკენ წამოსულ ლეკს, ხმლის ერთი მოქნევით, თავი გააგდებინა.

შეშინებულმა ლეკებმა პირი ისევ მონასტრისკენ იბრუნეს, მაგრამ აქ ზაზა გვარიძიშვილის და ოლაგირ ელერდაშვილის მეომრებს გადაეყარნენ, რომელთაც ამოერბინათ მონასტრის ბი-

ლიკები. ოლაგირმა მეწინავე ლეკს დამბაჩა დასცა და ამით ადგილზე გაყინა მომხდურთა არც თუ მცირე რაზმი. ზაზამ ხმალი ქარქაშში ჩააგო და ბიჭებს გასძახა:

— იარაღი აჰყარეთ ამ წუნკლებს და ხევში გადაყარეთ! მხოლოდ მონასტრის ტერიტორიის გარეთ, იქ ნადირი მიხედავს. ჩვენ კი მონასტრის წინამძღვარს ვეახლოთ, მომხდარი გამოვიკითხოთ და კურთხევა ავიღოთ.

ჯერ კიდევ მჭადიჯვრის ომის ჭრილობა მოუშუშებელი ვაჟკაცები ზაზას, ზაქარიას, ოლაგირის და იასეს მეთაურობით მორჩილად დაეშვნენ დოდორქის მონასტრისკენ მიმავალი ბილიკებისკენ. ამ დროს მონასტრის მთიდან ველის ორი არწივი აფრინდა ცაში. ვაჟკაცებმა თვალები ზეცას მიაპყრეს. არწივებმა რაღაც განსაკუთრებული ირაოთი გაიფრინეს მათ წინ, თითქოს ამით მადლობას უხდიდნენ მეომრებს მონასტრის გადარჩენის საქმეში გაწეული დახმარებისათვის.

— ეს არწივები არ სცილდებიან მონასტერს, — თქვა ამირან ლაფერიშვილმა, — სულ თავს დასტრიალებენ.

— შენ საიდან იცი, ამირან? — ჰკითხა დავით კერატიშვილმა.

— ჩვენი გვარის ხალხი დოდორქის მონასტერზე შეწირული ყმები ვართ. ხშირად გვიხდება აქ რიგითობა. მე და ჩემი გვარის რამდენიმე ბიჭი მეფე ერეკლეს ბრძანებით, ომებში გაწვევის გამო, დროებით გამოგვათავისუფლეს ამ რიგითობისგან. ნეტავ აქ ვყოფილიყავით, თავდასხმას მაშველის მოსვლამდე მოვიგერიებდით.

— რას იზამ, ამირან, წარსულს ვეღარ დააბრუნებ.

— ისე ძალიან გახშირდა ლეკთა თავდასხმები, — ნაღვლიანად წარმოთქვა ამირანმა, — ძაღლთოდენნი არიან ეს მწვირეში გაჩენილი ეშმები. გახედვას ვერ მოასწრებ და მიწიდან ამოდიან.

გარეჯის დოდორქის მონასტრის წინამძღვარი მამა სვიმონ ინაურიძე მეომრებს ღირსი დოდო გარეჯელის ტაძართან შეხვდა. ბერებთან ერთად ამოდიოდა მთაზე და თან ერთი გაკოჭილი ლეკი მოჰყავდათ. თოკი ათპირად გადაეჭირათ ურჯულოსთვის, თან ისე მაგრად ჰყავდათ ჩაბღუჯული, რომ ისედაც დამანჭულსა და ცხვირწამახულს, სახე ელდანაკრავ ეშმაკს მიუგავდა.

მეომრებმა წინამძღვართან მიახლოებისთანავე დაიჩოქეს და ერთხმად წარმოსთქვეს:

— დაგვლოცე, მამაო! თუ ღირსნი ვართ!

— ღმერთმა დაგლოცოთ, შვილებო. ღირსი დოდო გარეჯელის მადლი ყოფილიყოს თქვენთანა.

მამა სვიმონმა თითოეულ ვაჟკაცს ჩამოუარა, ჯვარი გარდასახა და თავზე ხელი დაადო. თან იმეორებდა ერთი და იგივეს:

— თქვენ რომ არა, ერთიანად ამოგვწყვეტდნენ ეს ურჯულოები.

მერე მცირე ხნით შეჩერდა და გაკოჭილ ლეკს გახედა. გასაწყლებული და შეშინებული თვალებით იყურებოდა ბედშავი.

— მოხსენით თოკები მაგ უბედურს და გაუშვით. — უთხრა ბერებს მამა სვიმონმა.

— რატომ ათავისუფლებთ, მამაო? — მოკრძალებით მიმართა ზაზამ მოძღვარს, — ჩვენ გადმოგვეცით და ისეთ სახლში გავუშვებთ, რომ იქიდან ვერსად წავიდეს.

— არა, შვილო, — ხმადაბლა წარმოთქვა მამა სვიმონმა, — ვიყოთ შემწყნარებლები, ესეც ღმერთის გაჩენილია. შეაცდინა ეშმაკმა, მეორედ აღარ გაიმეორებს.

— ეეჰ! მამაო, შენდობას ვითხოვ, მაგრამ როგორც აი, ამ მორიელის კუდი არ გასწორდება, — თითი გაიშვირა ზაზამ იქვე მცოცავი მორიელისკენ, — ისე ამათ ჯიშსა და მოდგმას არ ეშველება არაფერი. კავკასიონში ქისტებსა და ჩერქეზებს თუ ენდობა კაცი, თორემ დანარჩენი ჩვენი მტრები არიან, თუმცა ბევრნი ძმობას გვეფიცებიან.

ზაზამ ისევ გახედა ლეკს და ხმამაღლა უთხრა:

— ქართული იცი!?

ლეკმა მხრები აიჩეჩა.

— უჰ, შენი! — ბოღმიანად ამოთქვა გვარიძიშვილმა და მერე ელერდაშვილს გასძახა:

— ბჯო! ოლაგირ! შენ ხო იცი დიდოური!? იქნება რამე გააგებინო ამ ოხერსა ამასა!

ოლაგირი დიდოურ ენაზე დაელაპარაკა ლეკს. თითქოს გამოცოცხლდა ურჯულო და ენაც ამოიდგა.

— რაო, აბა!? – იკითხა ზაზამ.

— ამ რაზმის მეთაურის ქალიშვილის ცოლად მოყვანა სდომებია. იმას კიდევ უთქვამს ,,წამოდი საქმეზე, თუ გაამართლებ, გაგატან ქალსაო“.

— მაგათი მე არაფერი მჯერა. ლეკის ნდობა არ შეიძლება. წაათრიეთ და ეგეც იქ გადააგდეთ, სადაც მაგის საცოლის მამა აგდია.

— არა, შვილო, — მორიდებით წარმოთქვა მამა სვიმონმა, — ცოდვას ცოდვას ნუ მივუმატებთ. უფალი დაგვსჯის.

ზაქარიამ მოძღვარს ბოდიში მოუხადა და ზაზა სასაუბროდ გვერდზე გაიხმო. ოლაგირსა და იასეს უხმო. მერე ოთხივენი წარსდგნენ მამა სვიმონის წინაშე. ზაქარიამ მორიდებით მოახსენა მოძღვარს:

— მამაო, ჯერ ერთი წელიც არ გასულა ნურსალ ბეგის შემოსევიდან. ხუნძახის ბატონი მრავალრიცხოვანი ჯარით კახეთს მოადგა. გაძარცვა. დაგვიხოცა ქალ-კაცი და ბავშვები. ააოხრა არაგვის საერისთავო, ცეცხლს მისცა მონასტრები, სასახლეები და მჭადიჯვრის გალავანს ლაშქარი დაუყენა. რომ არა მამა- შვილის, ჩვენი მეფეების — თეიმურაზის და ერეკლეს ჩაუქობა და მხედრული ნიჭი, დღეს ჩვენი სამშობლო განადგურებული იქნებოდა. ამის შემდეგ კიდევ არ ისვენებენ. ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და საეკლესიო ყმები. ამ მონასტრის დაცვა ჩვენი ვალია. შენ სიტყვას არ გადავალთ, მამაო, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ამ ურჯულომ თუ კიდევ გაბედა ჩვენს მიწაზე სამტროდ მოსვლა, ცოცხალს არ დავტოვებთ.

ზაქარიამ ღრმად ჩაისუნთქა და ოლაგირს გასძახა:

— ეს ყველაფერი უთხარი, მერე სახელი ჰკითხე და გააგდე აქედან!

ოლაგირმა როგორც იქნა გააგებინა ლეკს ზაქარიას ნათქვამი. მერე თოკი შემოხსნა და ხელი კავკასიის მთებისკენ გაიშვირა. გათავისუფლებულმა ლეკმა ჯერ თვალი მოავლო მის გარშემო მდგომთ, მერე კი მოჰკურცხლა ისე, რომ უკან არ გამოუხედავს.

ოლაგირმა კი გაიღიმა და ზაქარიას უთხრა:

— მაგომედი რქმევია. თუ არ გვატყუებს.

— სახეს კარგად ვიმახსოვრებ. არსად გადამეყაროს.

— გმადლობთ, შვილებო, რომ ამ წმიდა ადგილზე, უკვე მშვიდობიან ვითარებაში, ცოდვა არ დაატრიალეთ, — თქვა მამა სვიმონმა, — ახლა კი შევიდეთ ღირსი დოდოს ტაძარში, ვილოცოთ და მის საფლავზე პარაკლისი წავიკითხოთ. ომში დაღუპულ ბიჭებს კი პანაშვიდი ღვთისმშობლის ტაძარში გადავუხადოთ. იქ კიდევ ორი მიცვალებულია დასვენებული. დღეს შეეწირნენ ლეკთა თავდასხმას. ტყუპები არიან ლაფერიშვილები. მესამემ, მარტიაშვილმა გაასწრო და კოშკზე მანიშნობელი ცეცხლი აანთო. ის რომ არა, არც თქვენ მოხვიდოდით დასახმარებლად და აღარც ჩვენ ვიქნებოდით ცოცხლები. დიდება უფალს!

დოდორქის მონასტრის თავზე ველის არწივების ირაოს დასასრული არ უჩანდა. ქართლ-კახეთს კი სამშობლოს დასაცავად მუდმივად მზადყოფნაში მყოფი ვაჟკაცები სჭირდებოდა. სამწუხაროდ ასეთები ძალიან მცირედნი იყვნენ.

აგვისტოს ხვატი ირგვლივ ყველაფერს წვავდა. იდგა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი წელი.

* * *

სოფელ ბერთუბნის სამეფო ციხესიმაგრეში დიდი გამოცოცხლება და ფუსფუსი იყო. უკვე ყველამ იცოდა, რომ დღეს აქ ქართლისა და კახეთის მეფეების, მამა-შვილის, თეიმურაზისა და ერეკლეს შეხვედრა უნდა შემდგარიყო. მამამ ამოასწრო ტფილისიდან შვილს, ციხესიმაგრის ეზოში ცხენიდან ჩამოხდა და მსწრაფლ შეიჭრა სასახლეში. ერეკლესაც დიდხანს არ დაუგვიანია. მას და მისი ამალის წევრებსაც ეტყობოდათ, რომ ჩქარობდნენ, რადგან ცხენები და მხედრებიც გაოფლილნი იყვნენ. თუმცა არც ზაფხულის სიცხე აკლებდა თავისას. ხალხი გარინდული იდგა. ყველა ხვდებოდა, რომ რაღაც ცუდი ამბები უნდა დაწყებულიყო ქვეყანაში.

მამა-შვილი ერთმანეთს მარჯვენაზე ემთხვივნენ. მოიკითხეს და მათთვის განკუთვნილ ტახტებზე დასხდნენ.

— თმაში ჭაღარა მოგმრავლებია მამავ-ბატონო. — ღიმილით უთხრა თეიმურაზს ერეკლემ.

— მტრის მომრავლებამ იცისო, ნათქვამია. — შეაგება პასუხი თეიმურაზმა.

— მაინც ვერაფერს შეგვამთხვევენ. მიწასთან გავასწორებთ! — თქვა ერეკლემ და მარჯვენა მუშტი ტახტის სახელურს დაჰკრა.

— შენ რომ არ მყავდე, ალბათ, აქამდე ჩემი ძვლებიც აღარ იქნებოდა. შენს ხელში კი მუდამ იმედიანად ვარ, — თქვა თეიმურაზმა, მერე ადგა, დარბაზონში გაიარ-გამოიარა, შეტრიალდა ერეკლესკენ, მიაპყრო არწივისებური მზერა და განაგრძო, — რაო, რა მინდაო ნურსალ-ბეგმა!?

— მოვდივარ და დამხვდითო, როგორც ჩანს პატარ-პატარა თავდასხმებით იმდენს ველარ ძარცვავს და დიდი ლუკმა მოუნდა. თან, ხუნძახის ბატონს მჭადიჯვრის დამარცხების სირცხვილი ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია და ქართლ-კახეთის ერთის დაკვრით წახდენის სურვილი მას მოსვენებას არ აძლევს. მისი კაცები მოედვნენ მთელს დაღესტანს და ყველას ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებენ. ყველას დაჰპირდა თურმე, რომ მე გამომყევით, ქართლსა და კახეთს დავიჭერ და იმდენ ტყვესა და საქონელს გაშოვნინებთ, რომ შვილით-შვილამდე გეყოთო. როგორც მაცნობეს ნურსალ-ბეგმა დიდძალი ჯარი შეჰყარა. შამხალიცა და სურხაი-ხანიც გამოჰყვნენო. შექის ხანი და კაკის სულთანიც თავ-თავიანთი ლაშქრით ეახლნენო. ჭარელებიც შემოეყარნენო. განჯის ხანს ყარაბაღელი ფანა ხანის ეფიქრებოდა თურმე, ამიტომ მცირე მაშველი ჯარი გამოუგზავნა დაღესტნელ სარდალს.

— სულ რამდენი კაცი შეკრიბა მაგ ძაღლის გაგდებულმა? — იკითხა თეიმურაზმა.

— ოცდაათი ათასამდე მოაგროვებს, თუ ყველას გაურიგდა. აქ წამოსვლის წინ, თელავს შათირი მოვიდა რამაზ ანდრონიკაშვილისგან. ყალმუხეთიდან და ოსეთიდან მეტად მცირე გუნდები გამოჰყოლიან, ხოლო იასე მაჩაბელი ჩერქეზეთიდან ხელცარი-

ელი დაბრუნდა. არავინ გამოჰყვა თურმე. იქაც გაუგიათ, რომ ქართლ-კახეთზე მთელი დაღესტანი წამოვიდაო. ერთმანეთში ამბობდნენ თურმე, ქართველები აუცილებლად დამარცხდებიან და ამ საქმეში მოხალისეობა არ გვარგებსო.

— მდგომარეობა რთულია, — თქვა დაფიქრებულმა თეიმურაზმა, — მაგრამ გამოსავალი ყოველთვის არსებობს. რუსი გაჩერებულია. ან ვერ მოთოკა კავკასია, ან კიდევ ხელს უწყობს ომებს, რადგან რაც მეტად დასუსტდებიან მეომარი მხარეები, მით უფრო ადვილად დაიმორჩილებს. მხოლოდ თუმანიშვილი გამომიგზავნა და აღწერას ახდენს ლეკიანობისას.

— რასა წერს ამისთანას. — გაეცინა ერეკლეს.

— აქა მყავს წამოყვანილი თავისი დავთრებით და თუ გაინტერესებს, მოგიყვან და მოუსმინე.

თეიმურაზმა კარის მცველს ანიშნა შემოეყვანათ თუმანიშვილი.

დარბაზონში გამხდარი, ოდნავ წელში მოხრილი, ნაადრევად დაბერებული ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, რომელსაც ხელში დავთარი ეჭირა. მიესალმა მეფეებს და ბრძანების მოლოდინში გაირინდა.

— შენი სახელი!? — ჰკითხა ერეკლემ.

— ოთარი, მეფევ ბატონო.

— რა დავთარსა სწერ, ოთარ?

— ერთი წელიწადია ლეკების ჩადენილ ცუდკაცობას ვიწერ. აი, აქა მაქვს ყველაფერი.

— აბა, წაგვიკითხე.

ოთარმა გადაშალა დავთარი და დაიწყო კითხვა: წალკასა და სომხით-საბარათიანოში დაბუდებული ლეკები მოედვნენ ქართლს, ჭარელები — კახეთსა. აგვისტოს ოცდაერთს ლეკები დაეცნენ წავკისს, მოკლეს ხუთი კაცი, წაიყვანეს ხუთი ტყვე. აგვისტოს ოცდაათს დაეცნენ სხალტბას, თოთხმეტი ტყვე მოიტაცეს. სექტემბრის სამს დაეცნენ ტაბახმელას, ოთხი კაცი მოკლეს, ორი ტყვე იშოვეს. იმავე დღეს მტკვარზე ოთხი ტივი წაახდინეს. სექტემბრის ექვსს წყნეთს მიუხდნენ, სამი ტყვე მო-

იტაცეს. სექტემბრის თოთხმეტს დილომს მიუხდნენ, ერთი ტყვე იშოვეს, ამავე დღეს ვერეს მიუხდნენ, ორი ტყვე მოიტაცეს. იმავე დღეს ხოვლეს მიუხდნენ, თოთხმეტი ტყვე იშოვეს. სექტემბრის თექვსმეტს მოხისს მიუხდნენ, ორი გუთნეული და ორი ტყვე მოიტაცეს. სექტემბრის ოცს საავალიშვილოს დაეცნენ. ბრძოლაში სამი ქართველი დაიჭრა, ხუთი ლეკი მოიკლა, ვერაფერი წაიღეს. სექტემბრის ოცდახუთს ხაშმზე ქარავანს დაეცნენ, სულ აიკლეს. ამავე დღეს ყოშა-ქილისას დაეცნენ. ბრძოლაში ერთი ლეკი მოკვდა, ხუთი ტყვე მოიტაცეს. სექტემბრის ოცდაექვსს მცხეთას დაეცნენ, პირუტყვი წაასხეს. იმავე დღეს ავჭალას დაეცნენ, პირუტყვი წაასხეს. ოქტომბრის პირველს ნუნისს დაეცნენ და სააბაშოს სხვა სოფლებსაც შეესივნენ. ნუნისში ოცი ტყვე იშოვეს, დანარჩენი სოფლებიდან ორმოცი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს სოღანლუღს მიუხდნენ, შვიდი ტყვე იშოვეს, ოქტომბრის სამს ბოლნისის გზაზე ორი შებმული ურემი და ორი ტყვე იშოვეს. ოქტომბრის ხუთს გორის მიდამოებიდან ერთი შებმული გუთნეული, ერთი ტყვე და ოცი ცხენი მოიტაცეს. ოქტომბრის ათს ალგეთზე წისქვილებს დაეცნენ. ბრძოლაში ერთი ლეკი მოკვდა, ოთხი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს საფალავანდიშვილოს შეესივნენ. აქედან ორმოცი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს საგარეჯოს დაეცნენ, სამოცი ტყვე იშოვეს, მაგრამ მტაცებლებს მარტყოფელები დაუხვდნენ და ომით ტყვეები დააყრევინეს.

— შეწყვიტე! — იყვირა ერეკლემ, — ეს დავთარი კი შეგიდგენია, მაგრამ შენს გამომგზავნებს რა აცნობე!?

— ასე ვაცნობე, მეფეო, რომ აქ ქურდის ლეკისგან დიდი ძალა ჭირს. თუ დიდი ჯარი გამოვა, პირდაპირ შეებმიან და ქართველები აჯობებენ, თუ არა ქურდობით ძალას შვრებიან ლეკები.

— სწორად განგისჯია! დაგვტოვე! – მოკლედ მოჭრა ერეკლემ.

როგორც კი თუმანიშვილი დარბაზონიდან გავიდა, ერეკლემ თეიმურაზს შეხედა და ჰკითხა:

— რას იტყვი, მამავ ბატონო?

— პირველ რიგში იმას, რომ რუსი ჩვენს დასახმარებლად თითსაც არ გაანძრევს. ეჭვი მაქვს, რომ დაბრკოლების მიზე-

ზი ისევ ჩვენივე სისხლი და ხორცია. ვახტანგის შთამომავლებს ქართლის ტახტის დაბრუნება უნდათ და ამიტომაც იმპერატორის კარზე ყველაფერს აკეთებენ, რომ რუსი ჩვენ არ მოგვიდგეს, რადგან გავძლიერდებით და ტახტს ვერასდროს დაიბრუნებენ. ისე, წესით და რიგით ქართლის ტახტი ჩვენ არ გვეკუთვნის.

— ტახტი და მეფობა თუ უნდოდათ, რუსეთში არ გაიქცეოდნენ და არც ამდენ საგანძურს წაიღებდნენ! — გაცხარდა ერეკლე.

— ეჰ! არავის დახმარება არ დაგვჭირდებოდა, ხაზინა ძლიერი რომ გვქონდეს. მარტო როქის სპის ერთი მეომარი ომში მონაწილეობისთვის სამ თუმანზე ნაკლებს არ ითხოვს. ოსმა თაგაურებმა კიდევ შემოთვალეს: დარიალ-ძაუგის გზაზედ ჩერქეზი, ყალმუხი, ჯიქი, ქიშტი, ღლიღვი, ნოღა და სხვა როქის სპა რომ გავატაროთ, რაც უწინ ჩვენს ნათესავს ქართველ მეფეებისგან ჯამაგირი ჰქონდა, ის გაგვიჩინეთო. ამიტომ ასე მოვიქცეთ, მე ანანურს დავდგები ჩემი მხედრობით, შენ კიდევ თელავს. ნურსალ-ბეგი ახალს ვერაფერს მოიფიქრებს და ისევ მცირე-მცირე რაზმებით შემოგვესევა, რადგან იფიქრებს, რომ მათ დავედევნებით და ამით მთლიან ლაშქარს დავანაწევრებთ. მერე კი, მისი მოკლე ჭკუით, ადვილი იქნება ჩვენი შესუსტებული ჯარის დამარცხება. ჩვენ ადგილებიდან არ დავიძრათ, ხოლო ხალხი გავხიზნოთ და მივუმარაგოთ სანოვაგე.

ერეკლეს ნათელი მოეფინა სახეზე და თქვა:

— ჩემს გულში ჩაიხედე, მამავ ბატონო. მეც ასე ვფიქრობდი.

— გამოდის, რომ, რადგან ერთნაირად ვიფიქრეთ, ამ ომსაც მოვიგებთ, — გაეღიმა თეიმურაზს, მერე შვილს მხარზე ხელი მოჰკიდა და განაგრძო, — წამოდი, ეზოში ხალხი გველოდება, დაველაპარაკოთ.

მეფეებმა ხალხს მიმართეს. სამართალიც დააყენეს. ხალხთან ერთად პურიც გატეხეს, დაილოცეს და გზას გაუდგნენ.

დიდიან-პატარიანად მთელი ერი ფეხზე იდგა. ბრძოლა სამშობლოს გადარჩენისათვის უფრო და უფრო მწვავდებოდა.

* * *

ბერთუბნელები და პატარძეულელები მუხლმოდრეკილნი იდგნენ ღირსი დოდო გარეჯელის საფლავთან, ხოლო მამა სვიმონი პარაკლისს იხდიდა. ხელში ყველას ანთებული სანთელი ეპყრა და სულგანაბულნი უსმენდნენ მოძღვარს.

პარაკლისი დასასრულს უახლოვდებოდა. დიმიტრი უნაფქოშვილმა, პირჯვარი გადაიწერა და ღირსი დოდო გარეჯელის ხატს შეხედა. დიმიტრის აშკარად შეეტყო, რომ ხატზე რაღაც შენიშნა. მამა სვიმონმაც დაამთავრა პარაკლისი და უნაფქოშვილის უხერხული მდგომარეობაც შენიშნა.

— რა მოხდა, დიმიტრი? — იკითხა მოძღვარმა და უნაფქოშვილისკენ გაემართა.

— მამაო, — აღმოხდა დიმიტრის, — შენ პარაკლისს რომ ამთავრებდი, დოდო გარეჯელის მარჯვენა თვალიდან ორი ცრემლი გადმოგორდა, ჩემი თვალებით დავინახე, აი, ჯერ კიდევ ნელა-ნელა ჩამოდის დაბლა. შეხედე.

მამა სვიმონი კარგად დააკვირდა ხატს. მერე პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

— მირონია, შვილო, მირონი. დიდება უფალს!

— რას უნდა ნიშნავდეს, მამაო, ეს? — იკითხეს ღირსი დოდოს ხატთან შეკრებილმა მეომრებმა.

— რა გითხრათ, შვილებო, — თქვა მამა სვიმონმა და საცეცხლური იქვე მდგომ მორჩილს მიაწოდა, — ხშირ შემთხვევაში მირონდენა კარგის მომასწავებელი არ არის. რაც მე აქ ვმსახურობ, წმიდა დოდოს ხატს მირონი არასდროს წამოსვლია. რაიმე ახალი ამბების მომსწრე შევიქმნებით. ღმერთო, შენ გვიშველე და გადაგვარჩინე. ახლა კი ჩავიდეთ ღვთისმშობლის ტაძარში, ბიჭებს პანაშვიდი გადავუხადოთ და დედა ღვთისას შევავედროთ მისი წილხვედრი ივერია.

დოდორქის მონასტრის მთავარი, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, ასევე კლდეში იყო გამოკვეთილი, საკმაოდ დიდი საკურთხევლით და სამკვეთლოთი. ანალოღიასთან ახლოს, ტახტზე, ორი ცხედარი იყო დასვენებული. პატარძეულელი ტყუპი ძმე-

ბი ლაფერიშვილები ჯერ კიდევ არ გაციებულიყვნენ. ბერებს უკვე გაეპატიოსნებინათ გვამები. ყველამ მუხლზე დაიჩოქა და თაყვანი სცა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირებს. მამა სვიმონმა პანაშვიდი გადაუხადა მიცვალებულებს, ბერებმა კი მათი გადასვენებისათვის სამზადისი დაიწყეს. გადაწყდა, რომ მშობლიურ სოფელში დაესაფლავებინათ გმირები.

ყველანი ტაძრის წინა ეზოში გამოვიდნენ. მამა სვიმონმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მეომრებს მადლობა გაწეული დახმარებისთვის:

— ჩვენს მოკრძალებულ, ბერულ ტრაპეზზე დაგპატიჟებთ. მცირე პურ-ღვინო, თაფლი და მწვანილი მოგვეპოვება. შესანდობარი ვუთხრათ ბიჭებს.

— დიდი მადლობა, მამაო. დიდი ხნით სოფლიდან ჩვენი გამოსვლა არ ეგების. ეს ძაღლიშვილები ყველგან დაძრწიან. — თქვა ზაქარიამ და ბიჭებს ანიშნა წასასვლელად მომზადებულიყვნენ.

— მოიცადეთ, — თქვა მამა სვიმონმა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და დავით გარეჯის ლავრისკენ გაიხედა, — ბერები მოიჩქარიან აქეთ.

— იქაც ხომ არ დაესხნენ თავს? — იკითხა იასემ.

— არა მგონია, — თქვა მოძღვარმა ისე, რომ მონასტრისკენ მომავალი ბერებისთვის თვალი არ მოუცილებია, — ეგ ამბავი რომ იყოს, ჩიჩხიტურის კოშკზე ცეცხლს აანთებდნენ. რაღაც სხვა ხდება. დაველოდოთ, ხალხო, იქნებ დახმარება სჭირდებათ.

ამასობაში ბერებიც ამოვიდნენ მონასტერში. მისალმების და მოკითხვის შემდეგ მამა სვიმონმა სტუმრობის მიზეზი იკითხა. ბერმა იოსებმა მოახსენა:

— ახალი კათოლიკოსი გვყავს.

— მე არაფერი ვიცი, — გაუკვირდა მამა სვიმონს, — მაშ... ანტონ კათოლიკოსი?

— დიდი ამბები ყოფილა მცხეთაში, — განაგრძო საუბარი იოსებმა, — თეიმურაზ მეფის კარის მოძღვარს, ხუცეს ზაქარია გაბაშვილს, კათოლიკურ მწვალებლობაში დაუდანაშაულებია

ანტონ კათოლიკოსი. ქართლ-კახეთის საგანგებო საეკლესიო კრებას თეიმურაზ და ერეკლე მეფეებიც ესწრებოდნენო. ანტონს კათოლიკობის მიღება დაუმტკიცეს და მწვალებლობის გამო განკვეთეს ეკლესიიდანო. იქვე განაჩინეს თურმე, ვინც მას დააბრუნებს, რა მიზეზითაც არ უნდა მოხდეს ესო, მასზე და მთელს ერზე მოიწიოს შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების წყევლა და ღვთის რისხვაო.

მამა სვიმონი ყურადღებით უსმენდა იოსებს, მერე ზევით, ღირსი დოდო გარეჯელის ტაძრისკენ გაიხედა, პირჯვარი გადაიწერა და დაღონებულმა წარმოთქვა:

— წმიდა დოდოს ორი ცრემლიდან ერთი, ამ ამბის მანიშნებელია. არ არის ეს კარგი.

— რატომ, მამაო? — იკითხა გაკვირვებულმა ზაზა გვარიძიშვილმა, — კათოლიკეს რა უნდა ჩვენს ეკლესიაში?

— ეგ კი სწორია, მაგრამ შეიძლებოდა ამ საქმის სხვანაირად მოგვარება. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს მეფე თეიმურაზი, თორემ ერეკლე მეფე ანტონს დააბრუნებს უკან და შვიდი საეკლესიო კრების წყევლა და ღვთის რისხვა მთელს ერზედ გადმოვა.

— მერე და თეიმურაზ მეფე რა შუაშია, მამაო? — არ ცხრებოდა ზაზა.

— იმ შუაშია, რომ ქართლის ტახტზე ანტონის ანუ ერისკაცობაში თეიმურაზ ბატონიშვილის მაგივრად ზის.

— ეგ როგორ? ვერ გავიგე ამ ჩემი უტვინო თავითა?

— ანტონი ანუ თეიმურაზი, ვახტანგ მეექვსის ძმის, იესეს შვილია და ერეკლე პირველის შვილიშვილი. ქართლის ტახტის ერთადერთი მემკვიდრეა, რომელიც საქართველოში იმყოფება, დანარჩენები რუსეთში არიან გადახვეწილნი. ახალგაზრდობაში მაგას შაჰ-თამაზმა რომ ცოლი წაჰგვარა, შავ დღეში ჩავარდნილი ბერად აღიკვეცა. ამით ისარგებლეს თეიმურაზმა და ერეკლემ და დიდი რჯულის კანონის დარღვევით, ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ეკლესიურ ცხოვრებაში ჩაუხედავი კაცი, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსად აკურთხეს. ამიტომაც ჩავარდა მწვალებლობაში. ხოლო იმავე წელს,

თეიმურაზმა ქართლის ტახტი დაიკავა, ერეკლემ კი — კახეთის. ანტონის ეკლესიიდან განკვეთის შემდეგ, არ არის გამორიცხული, რომ მან ქართლის ტახტზე პრეტენზია განაცხადოს. ამიტომ ერეკლე ყველანაირად ეცდება, რომ ანტონი მოაბრუნოს კათოლიკოსად. წინააღმდეგ შემთხვევაში ერეკლეს ოცნება ქართლ-კახეთის გაერთიანებისა, ოცნებად დარჩება. მისი მობრუნებით კი ჩვენ, სამშობლო და ერი დავიწყევლებით.

— ახლა კი მთავარი, — დაიწყო ისევ საუბარი იოსებმა, — კათოლიკოსად დაადგინეს, წარსულში აქ მოღვაწე, შემდეგ რუსთავის კათედრაზე მღვდელმთავრად დადგენილი, იოსებ ჯანდიერიშვილი.

— რას ამბობ, იოსებ!? — სიხარულით გაიკვირვა მამა სვიმონმა, — მეუფე იოსები დიდი და ღვაწლმოსილი მამაა, თან ღვთისგან სასწაულმოქმედების ნიჭი აქვს მომადლებული. აქ მოღვაწეობის დროს, მკვდარი მერცხალი ლოცვით გააცოცხლა. მაგრამ ასეთ საქმეებს დაფარულად იქმოდა. ერთხელ მისი დიაკონი მუცლის უკურნებელი სენით დასნეულდა. ავადმყოფობა ისე გართულდა, რომ სიკვდილი დადგებოდა მალე. როდესაც მღვდელმთავარი სნეულთან შევიდა, დიაკონი ვეღარც სუნთქავდა და აღარც ლაპარაკი შეეძლო. იოსებმა დაუტევა სნეული და სამლოცველოში განმარტოვდა ლოცვად. მხურვალე ლოცვის შემდეგ, ის ისევ სნეულთან დაბრუნდა და რადგან კაცთაგან განდიდებას ერიდებოდა, ჩვეულებრივად თქვა, რომ ასეთი სნეულების დროს წამლად თხილის ჯოხის ნახშირის მიღება იყო საჭირო. ცეცხლში შეაგდო თხილის ჯოხიდან გამოთლილი თავისი კვერთხი, დანახშირებული წყალში გალესა, ჯვარი გადასახა და სნეულს დაალევინა. მესამე დღეს დიაკონი გამოჯანმრთელდა.

— ღმერთმა დალოცოს! — ერთხმად წამოიძახა ყველამ და პირჯვარი გადაიწერეს.

პატარძეულელებმა და ბერთუბნელებმა მამა სვიმონისგან კურთხევა აიღეს და თავიანთი სოფლებისკენ მიმავალ გზას გაუდგნენ.

ველის ორმა არწივმა კვლავ შემოავლეს ირაო მათ თავზე და ისევ მონასტრისკენ გაფრინდნენ. მონასტრიდან კი ზარის ხმა გაისმა. მწუხრის ლოცვა იწყებოდა.

სოფლებში დაბრუნებულებმა ლეკებთან ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცები მხედრული წესით მიაბარეს მიწას. ის იყო აღაპის გამართვას აპირებდნენ, რომ თელავიდან მეფის შათირი მოვიდა და განაცხადა:

— ხალხო! ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი შემოესია კახეთს. მეფე ერეკლემ ბრძანა: „ვისაც კი მკლავში ძალა შერჩენია ომში მეახლოსო!...“

ვაჟკაცები, რომელთაც ჯერ იარაღიც კი არ ჰქონდათ მოხსნილი და არც ოჯახებში მისულიყვნენ, აღარ დაელოდნენ შათირის სიტყვების დამთავრებას, ხმის ამოუღებლად შეასხდნენ ცხენებს და თელავისკენ გაჰქუსლეს.

ღირსი დოდო გარეჯელის ხატზე მისი თვალიდან გადმოსული მეორე ცრემლი ალბათ ამ უბედურების მანიშნებელი იყო.

* * *

ნურსალ-ბეგს ხუნძახში, თავის მამულში, საქართველოს დაპყრობით აღტკინებული მხედართმთავრები შეეგროვებინა, წარბშეკრული და თავჩაქინდრული დადიოდა მათ შორის. სიარულისას ზოგჯერ მოულოდნელად შეჩერდებოდა, ხელებს მაღლა აღაპყრობდა, მიაშტერდებოდა ზეცას და ამოიხრიალებდა ხოლმე:

— ალაჰ აქბარ!

— როდემდის უნდა იარო წინ და უკან, ნურსალ-ბეგ!? — შესძახა სურხაი-ხანმა, — ჩვენ აქ მხოლოდ ალაჰის სადიდებლად თუ გვიხმე, ამას ჩვენს მამულშიც კარგად ვაკეთებთ. გვითხარი, რა უნდა გავაკეთოთ!?

ნურსალ-ბეგი შეჩერდა, თვალი მოავლო მხედართმთავრებს და დაიწყო ხმამაღალი საუბარი:

— ახლახანს მაცნობეს, რომ ალაჰის მონა, გურჯისტანის და ერეკლეს დაუძინებელი მტერი, შაქ-შირვანის ხანი, აჯი-ჩალაბი გარდაცვლილა. მართალია ის ბოლოს, ყაზახისა და შამშადი-

ლის საზღვართან დამარცხდა გურჯებთან, მაგრამ მანამდე ორი ომი ჰქონდა მოგებული მათთან. მისი სიკვდილი ალაჰის ნიშანი იყო ზეციდან, რომ მე, თქვენთან ერთად, ბოლომდე მივიყვანო ამ შაითან-გიაურების საბოლოოდ განადგურების საქმე. მთელი კავკასია უნდა გამუსლიმანდეს! არც ერთი ქრისტიანი არ უნდა ცხოვრობდეს აქ! ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ! ასეთია ალაჰის ნება!

— ალაჰ აქბარ! — შესძახა ყველამ ერთად და ხელები ზეცისაკენ აღაპყრეს.

ახდა თეიმურაზ მეფის წინასწარმეტყველება, ნურსალ-ბეგმა ლეკთა ერთი რაზმი ქართლს გაუსია, ჭარელებს კიდევ ქიზიყის დარბევა უბრძანა. დაღესტნელი სარდალი ფიქრობდა, რომ მეფეები ლაშქარს გამოყოფდნენ ამ მოთარეშე რაზმების წინააღმდეგ, რითაც თავიანთ მთავარ ძალას შეასუსტებდნენ. ხუთასი კაცისგან შემდგარმა ლეკთა რაზმმა ამოიარა ავჭალა, კავთისხევი, ხანდაკი და მათი შემოგარენი. რაც რომ ციხეებს გარეთ დაახელეს, წაახდინეს, წაიღეს ნაშოვნი და ავიდნენ ატენის მთაში. იქიდან კი გორის დარბევა დაიწყეს. თეიმურაზი და ერეკლე მტრის განზრახვას კარგად მიუხვდნენ, ჯარი არ მოიკლეს და მოთარეშეებს არ დაედევნენ. თეიმურაზ მეფემ ანანურიდან დაძრა ლაშქარი, გადავიდა თელავს და ერეკლესთან ერთად ლეკთა მთავარ ძალასთან ბრძოლის თადარიგს შეუდგა.

ჭარელ მომხდურებს ქიზიყელებმა მართლა ქისი ჰკრეს და დაამარცხეს. მთავარი ბრძოლის ადგილი ნელ-ნელა ყვარლის ციხისკენ ინაცვლებდა. ყვარლის ციხე ერთ-ერთი ციხე-გალავანი იყო გაღმა მხარეში, რომელსაც შეფარებოდა გაღმამხარელი მოსახლეობის დიდი ნაწილი. ნურსალ-ბეგმაც მიზანში ყვარლის ციხე ამოიღო და ოცი ათასიანი ლაშქრით ალყაში მოაქცია. მტერმა ციხის გარშემო რამდენიმე სიბა ისე ახლოს შეკრა, რომ იქიდან შიგ ციხეში თოფის ჩასროლაც კი შეიძლებოდა.

თელავის სასახლეში მეფეებმა თათბირი ბრძანეს. დარბაზონში ქართლ-კახეთის ყველა სადროშოს წინამძღოლი შეკრებილიყო. მათ შემოუერთდათ, საქართველოში გადმოხვეწილი, ფანა-ხან ყარაბაღელის მიერ შევიწროვებული სომეხი მელიქი

უსუფ-ბეგი. მისალმების შემდეგ ერეკლე მეფე პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ყველამ კარგად იცით, თუ ყვარლის ციხე დაეცა, ალაზნის გაღმა კახეთი მტერს დარჩება. მერე მთელი კახეთის დაპყრობაც არ არის ძნელი საქმე. ქართლიც დასუსტებულია. გამოდის, რომ კახეთის აღება ქვეყნისთვის კარის ჩამოხსნას ნიშნავს. მტერი დიდად სჭარბობს ჩვენს ძალებს. პირდაპირ შებმას აზრი არა აქვს, ბანაკი ძნელად მისადგომ ადგილას აქვთ.. ასეთ პირობებში ომს წავაგებთ, საჭიროა ხერხი. აბა, ვინ რას შემოგვთავაზებს!?

რამაზ ანდრონიკაშვილი წამოდგა და ფრიად თავდაჯერებულმა განაცხადა:

— ჩაუქი ბიჭები ჩამოვიყვანე ყალმუხეთიდან და ჩერქეზეთიდან. რამდენიმე ქისტიც მყავს. თუ ჯამაგირს გავუორმაგებთ, ალყას აუცილებლად გაარღვევენ და ჩვენი დანაკარგიც მცირე იქნება.

— რამაზ ბატონო, — შეაწყვეტინა სიტყვა თეიმურაზ მეფემ, — ამ მძიმე ჟამს, როდესაც ქართველთა ბედი ბეწვზე ჰკიდია, მაგათზე დაყრდნობა არ ეგების, მაინც ერთი რჯულის ხალხია და შეიძლება ალაფს დახარბდნენ, გვიღალატონ და საქმე შუა გზაზე მიატოვონ. ალყის გარღვევა აუცილებელია და ეს ქრისტიანებმა უნდა გააკეთონ.

— გეთანხმები, მეფეო, — სიტყვა ჩამოართვა ერეკლემ მამას, — ასეთი ვაჟკაცები ჩვენშიც მოიძებნება, — პაპავ, შენ რას იტყვი!? — განაგრძო ერეკლემ და თავის ერთგულ თანამებრძოლ პაპა ბებურიშვილ-ვაჩნაძეს შეხედა.

პაპა ბებურიშვილი-ვაჩნაძე განთქმული რაინდი იყო, შეუპოვარი, უშიშარი და რაც მთავარია — ერთგული. აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ აგარის წყალთან ბრძოლაში პაპამ გადაარჩინა ერეკლე სიკვდილს. მაშინ მოწინავე ჯარს სარდლობდა ერეკლე. ამ ჯარში იყვნენ არაგვისა და ქსნის საერისთავოების რაზმები. თეიმურაზ მეორე ზურგში დადგა. არაგველებმა და ქსნელებმა ადვილად შემუსრეს აჯი-ჩალაბის დაცვის ხაზი და წინ გაიჭრნენ, მაგრამ ქართველები ხაფანგში მოექცნენ. მთის ორივე საე-

რისთავოს ლაშქარს ზურგში გამოუხდნენ ჩასაფრებული ქვეითი დაღესტნელები. ქართველთა მეორე ხაზი ეკვეთა ბორჩალოელ ცხენოსნებს, მაგრამ უკუიქცა. პანიკა მოედო არაგველებს და ქსნელებს. მოწინავე ჯარის უწესრიგო უკან დახევამ მთლიანად მოშალა ყველა ფლანგი. მაშინ ქართველებმა მძიმე მარცხი განიცადეს. დიდ განსაცდელში ჩავარდა ერეკლე მეფე. ალაზანზე გადმოსვლა ძალზედ გაჭირდა. ერეკლეს ცხენს მტრის შვიდი თუ რვა კაცი მოეჭიდა. მაშინ იმარჯვა თავადმა პაპამ და ხმლით ჩამოაშორა ისინი მეფეს. ერეკლემ და პაპამ მიაღწიეს ალაზნის მარჯვენა ნაპირს, მაგრამ ფლატიანი, ციცაბო კლდეების გამო ვერ ავიდნენ ზევით. მოუარეს ქვევიდან. ცხენს ახლა ქართველები მოეჭიდნენ. მათ ცურვა არ იცოდნენ და მეფის ცხენის მეშვეობით აპირებდნენ გადარჩენას. ერეკლე ისევ განსაცდელში ჩავარდა. მტერი ისევ მიწვდა მეფეს. პაპამ კვლავ დაატრიალა ხმალი. მეფემაც და თავადმაც ცხენები დაკარგეს, თუმცა აქეთ ნაპირზე უვნებელნი ამოვიდნენ. ამ დროს გლეხმა დათუნა ბოსტაშვილმა თავისი ცხენი მიართვა ერეკლეს და მეფემ მტრის რისხვას გაასწრო, თორემ უცილობელი სიკვდილი ელოდა.

— მეფევ ბატონო, — მოკრძალებით დაიწყო საუბარი პაპამ, — ამას წინ ციხეში, ოთხ თანამებრძოლთან ერთად, დემეტრე ანდრონიკაშვილი შეიპარა. ასე თქვა, ვაჟკაცურად დგანანო ციხეში გამაგრებული თავადები დავით ვაჩნაძე, მელქისედეკ და ბესპაზ ჭავჭავაძეები, მაგრამ ტყვია-წამალი და სანოვაგე უთავდებათ და თუ დროზე არ მივაშველეთ, ვეღარ გაუძლებენო. ალყის გარღვევა კი ჩვენ შეგვიძლია. მე თვითონ სამასამდე რჩეული ვაჟკაცი მყავს, რომლებიც შეეცდებიან თოფის გასროლის გარეშე გაარღვიონ ალყა. მობრძანდით, მეფეო, და თვითონ გამოსცადეთ. ისინი მზად არიან სამშობლოსთვის და მეფისთვის თავი გასწირონ.

— მაშინ გეგმა ასეთი იქნება, — ბრძანა ერეკლემ, — ჩვენგან შერჩეული ვაჟკაცები გაარღვევენ ალყას და ციხეში ტყვია-წამალსა და სანოვაგეს შეიტანენ, ნაწილი მოლაშქრეებისა ოც-ოც კაციან რაზმებად დაიყოფიან და შეესევიან ჭარ-ბელაქნის სოფლებს დასარბევად, რათა ჭარელი მეომრები ყვარელს მოშორდნენ

და შინ მისაშველებლად გაიქცნენ. ხოლო ძირითადი ჯარი პირდაპირ იერიშზე გადავა და ბრძოლას გამარჯვებამდე მიიყვანს.

— დასტური! — ბრძანა თეიმურაზ მეფემ და სიამაყით გადახედა შვილს, რომელიც მეომრად და მთავარსარდლად იყო დაბადებული.

ერეკლე კი, ჯერ მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის გახლდათ.

ბოლოს სიტყვა ისევ ერეკლემ წარმოთქვა:

— სარდლები და ნაცვლები საუკეთესო მეომრებით ხვალ დილით ბოდბეში დამელოდეთ! დანარჩენს იქ განვაწესებთ!

* * *

ბოდბეში მეფე ერეკლემ თვითონ შეამოწმა ყვარლის ციხის ალყის მოიერიშე ვაჟკაცების მეომრული ცოდნა და ნიჭი. სულ შეირჩა ორას შვიდი მეომარი, მათ შორის ექვსი თავადიშვილი, ორი აზნაური, ერთი მღვდელი და დანარჩენი გლეხები. ამ უკანასკნელთა რიგებში ასსამ ქიზიყელთან ერთად იბრძოლებდნენ პატარძეულელები ზაზა გვარიძიშვილი, ზაქარია ყუშიტაშვილი, ოლაგირ ელერდაშვილი და ბერთუბნელი იასე სიბოშვილი. ეს მეომრები იყვნენ განსაკუთრებული მხედრული ნიჭით დაჯილდოვებულნი, ფლობდნენ ძირძველ ქართულ საბრძოლო ხელოვნებას. საკვირველი კი ის იყო, რომ თითქმის ყველა ბრძოლიდან უვნებელნი გამოდიოდნენ. მათზე იყო ნათქვამი: „უფლის ხელი იყო მათ ზედა“.

წმიდა ნინოს სახელობის მონასტერში შეიკრიბა ორასშვიდი ქართველი, რომელთაც მეფე ერეკლემ სიტყვით მიმართა:

— ყველამ კარგად იცით, რა საქმეზეც მიდიხართ. ან სიკვდილი, ან გამარჯვება სამშობლოსთვის! ჩემი და მეფე თეიმურაზის სახელით გპირდებით: თავადიშვილს თავის შესაფერის სახელოს და რომელსაც თავის მუნასიბსა, სამსახურსა და მამულს შემოგვიკვეთს, წყალობას უზამთ და აგრეთვე აზნაურიშვილს და გლეხკაცს კაცზე ოთხ თუმანს, ორს საკომლო მამულსა და სათარხნეს მივსცემთ!

ბოდბის მონასტრის მოძღვარმა, იოანე ჯორჯაძემ პარაკლისი გადაიხადა, მოსალოდნელი ხიფათით სავსე გზა დაულოცა ქვეყ-

ნისა და რჯულის გადასარჩენად თავდადებულ მებრძოლებს.

მეფის კარის მოძღვარი, იასე მაჭავარიანი წინ გამოვიდა და რაზმს შესძახა:

— მომყევით! წინ მე გაგიძღვებით ჯვრითა და ხმლით ხელში!

მეფის დავალების შესასრულებლად გამზადებულმა, კბილებამდე შეიარაღებულმა ქართველებმა ფიცი დადეს, რომ თავს არ დაზოგავდნენ თავიანთი ქვეყნისა და რწმენის გადასარჩენად. პირჯვარი გადაიწერეს და საბრძოლო სიმღერა შემოსძახეს.

საკვებითა და ტყვია-წამლით დატვირთული ორასშვიდი ვაჟკაცი, პაპა ბებურიშვილი-ვაჩნაძის სარდლობით, ბოდბედან ყვარლისაკენ დაიძრნენ, ველისციხე გაიარეს, ალაზანი გადალახეს, გავაზში შეჩერდნენ და ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ. კიდევ ერთხელ გაიარეს რაზმის წყობა. ნაწილს სურსათ-სანოვაგით და ტყვია-წამლით დატვირთული ხურჯინები უნდა გადაეკიდა მხარზე, ზოგიერთს კი უფრო მსუბუქი ტვირთის ტარება და მტერთან პირველივე ხელჩართული შებმა ევალებოდა. ზაზა, ზაქარია, ოლაგირი და იასე პირველ დამრტყმელ ოცეულში განაწესეს. ოთხივე ვაჟკაცი უბადლოდ ფლობდა უიარაღოდ ბრძოლის ხელოვნებას.

ქართველებს ალყა მანამდე უნდა გაერღვიათ, სანამ მძინარე ჯარი გამოფხიზლდებოდა. ეს ძალიან რთული გასაკეთებელი იყო. ამიტომ მეომრებმა შეტევამდე მცირე ხნით შეისვენეს.

თავადმა პაპამ კიდევ ერთხელ შეახსენა მეომრებს:

— სანამ მოალყეთა დიდი ნაწილი გონს მოეგება, გუშაგები გამოფხიზლდებიან და დანარჩენებსაც გააღვიძებენ, მანამდე ალყა უნდა გავარღვიოთ და ციხეში შევიდეთ., თორემ მერე მდგომარეობა გართულდება, მტრის ჯარი საომრად დაირაზმება და ჩვენი მცირერიცხოვანი რაზმი უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდება.

მეომრებმა კარგად იცოდნენ, რომ ერთი პატარა შეცდომაც კი საკმარისი იქნებოდა, რომ ყველანი დაღუპულიყვნენ და სამშობლო დიდი განსაცდელის წინაშე დაეყენებინათ.

ქართველ შეფიცულთა რაზმი, შუაღამისას, ყვარლის ციხის გალავნის ჭიშკრისკენ ფრთხილად დაიძრა. მეწინავე ოცეულეების მეომრები, რომლებიც განწესებულნი იყვნენ ალყის გასარღვევად, ციხის მისადგომებთან გაიშალნენ და ფრთხილად, ღამის სიბნელეში, დაიწყეს მტრის გუშაგების მოხსნა. ბრძოლაში დახელოვნებულ ვაჟკაცებს ეს არ გასჭირვებიათ, ისე სუფთად და უჩუმრად მოიშორეს ყველა გუშაგი, რომ ამოკვნესაც კი არ აცალეს. ახლა იწყებოდა მთავარი სამოქმედო გეგმა. ციხის გარშემო დანთებული იყო ათამდე კოცონი, რომლის გარშემო შეიარაღებული ლეკები მორიგეობდნენ. იმ შემთხვევაში თუ გუშაგები მათ მტრის შემოსევას აუწყებდნენ, ისინი უმალ უნდა ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში, რათა ძირითადი ლაშქრის მეომრების გაღვიძებამდე და საბრძოლოდ მოწესრიგებამდე შეეჩერებინათ შემოტევა.

აქ უკვე ქართველებს დიდი სიფრთხილე და ამასთან სწრაფი მოქმედება მართებდათ.

პაპამ თავიდანვე ხუთ-ხუთი მეომარი განაწესა თითო კოცონზე. ისინი მეთაურის ნიშანსღა ელოდნენ. ყველა თავდამსხმელს ჰქონდა ხმალი, ფარი, ხანჯალი და დამბაჩა. მხოლოდ ეს იარაღი მანამდე არ უნდა გამოეყენებინათ, სანამ ამას აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვდა. ზედმეტი ხმაური მხოლოდ მტრის წისქვილს დაასხამდა წყალს. თუმცა, საბრძოლველად ყველას ჰქონდა კბილებალესილი რკინის სათითეები, კომბლები და საბრძოლო ნაჯახები.

მეწინავე რაზმის უკან იდგა ასევე ხუთი ათეული მეომარი, რომლებიც დამატებით შეიარაღებულნი იყვნენ მშვილდ-ისრებით და თოფებით. ისინი ბრძოლაში ჩაერთვებოდნენ მაშინ, როდესაც მტრის რაოდენობა გაიზრდებოდა. დანარჩენ მეომრებს კი, ალყის გარღვევის შემდეგ, ტყვია-წამლის და სურსათის ციხეში შეტანაზე უნდა ეზრუნათ. ამასთან, მუდმივ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ, რომ მტრისთვის ჯეროვანი დარტყმა მიეყენებინათ.

პაპამ ნიშანი მისცა.

ზუსტად გათვლილმა და ერთდროულმა თავდასხმამ ლეკები დააბნია. იარაღის აღებაც ვერ მოასწრეს და იძულებულნი გახდ-

ნენ უიარაღო ბრძოლებში ჩართულიყვნენ, რაშიც მომზადებულმა ქართველებმა იმარჯვეს. მაჯის სახსარძლიერი ქართველები რკინების დიდოსტატები იყვნენ. თავების, იდაყვების ამოხვევით და სათითეების მარდი გამოყენებით, ოთხ-ხუთ კაცს უსულოდ აგდებდნენ მიწაზე. ღორულის მოყინწვა-დაიღლიავებით, მოტეხილი თავებით და სამი თითით ყრონტის ამოგლეჯით, ლეკები ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდნენ მიწაზე. კომბლისა და ნაჯახის ოსტატურმა გამოყენებამ საქმე უფრო გაამარტივა. კახელები და ქიზიყელები მორკინალთა ხრიკის, მაკარტოსა და მოგუდულის უბადლო შემსრულებლები იყვნენ და ისე ამტვრევდნენ ლეკებს კისერსა და ხერხემალს, რომ ყვირილსაც ვერ ასწრებდნენ.

ქართველებმა ბრძოლაში ხანჯლების გამოყენებაც დაიწყეს. ტრადიციულ, თვალახვეულ ხანჯლაობაში ნავარჯიშებმა ვაჟკაცებმა ლეკების გამოწალვა დაიწყეს. სისხლის შხეფები წვიმასავით ესხმოდა ზაფხულის ხვატით გამხმარ ბალახს.

მამლის პირველ ყივილამდე არც თუ დიდი დრო იყო დარჩენილი.

ახლად გაღვიძებული ლეკები ნელ-ნელა გონზე მოდიოდნენ და შესაბამისად მათ რიცხვმაც იმატა. ქართველები, მტრის სიმრავლის გამო, იძულებულნი გახდნენ ხმლები ეშიშვლათ და ისე გაეთავისუფლებინათ გზა. ისინი შეუპოვრად კაფავდნენ წინ გადაღობილ მტერს. თოფების და დამბაჩების ხმარებას თავდაპირველად ერიდებოდნენ, რათა დანარჩენი მოალყენი არ გაეღვიძებინათ. მაგრამ, როდესაც მოალყეთა გუშაგებმა იყვირეს: „გურჯები მოდიანო!“ მოიერიშეებმა ბრძოლაში ცეცხლსასროლი იარაღი ჩართეს, გარს შემოსეულ ლეკებს ტყვიები დაახალეს, გზა გაიკაფეს და შეუპოვრად ისწრაფოდნენ ციხისკენ. უკან ჩასაფრებული ქართველების მშვილდ-ისრებმა და თოფებმაც დაიწყეს მოქმედება, რამაც უფრო დააბნია მტერი. ქართველები ღამის სიბნელეში იოლად იკვლევდნენ გზას, რადგან ამისთვის წინასწარ იყვნენ მომზადებულნი, ხოლო ახლად გაღვიძებული ლეკები დაბნეულები დარბოდნენ აქეთ-იქით, რამაც მათ რიგებში არეულობა გამოიწვია და ვერ მოახერხეს გაერთიანება.

— იასე! ბიჯო! – დაუყვირა ბრძოლაში გართულ იასეს ზაქარიამ, რომელიც ორი ხმლით მუსრს ავლებდა მტერს, - რას ეკეჭნავები მაგ რჯულძაღლებს! თუშურად შეუტიე ჩემსავით!

იასემ მისკენ წამოსულ ლეკს ხმალი მარჯვენა ხელზე გადაჰკრა. მოჭრილი მარჯვენიდან ხმალი აართვა და ორი ხმლით გაშმაგებული შეუდგა ლეკების ასხეპვას.

ქართველებმა ორ-ორი ხმალი ყველა მიმართულებით აამუშავეს და საგრძნობლად წაიწიეს წინ. გაამართლა ორი ხმლით, თუშური წესით ბრძოლის უძველესმა შემტევმა მეთოდმა.

როდესაც ქართველები გალავანს მიუახლოვდნენ, ციხის ჭიშკარი გაიღო, იქიდან ალყაში მოქცეული მეომრები გამოიჭრნენ და დამხმარე ძალის მოსვლით დაიმედებულნი, ლომებივით ეძგერნენ მტერს. გამოიყენეს დარჩენილი მცირე რაოდენობის ტყვია-წამალი და მოიერიშე ქართველები ციხეში შეიყვანეს. ზაზას ერთი ლეკი მიემწყვდია ჭიშკართან და ებრძოდა ურჯულოს. არც ლეკი იყო ჯაბანი, დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ბოლოს, გვარიძიშვილმა ხერხი იხმარა და მარჯვე მოძრაობით ლეკს ხელიდან გააგდებინა ხმალი, მერე წიხლი ჰკრა და ციხის ეზოში შეაგდო. ამასობაში მეციხოვნეებმა ჭიშკარი დაკეტეს და ნურსალბეგის ნაქები მხედრობა პირში ჩალაგამოვლებულები დატოვეს. სანამ ნაომარი ვაჟკაცები ერთმანეთის მოკითხვით იყვნენ გართულნი, ზაზამ გასძახა იასეს:

— ბიჯო, იასევ! ერთი ეგ წუნკალი მოათრიე აქა! – ხელი მის მიერ დამარცხებული ლეკისკენ გაიშვირა და სისხლით შეღებილი მარჯვენა ქარქაშში ახლად ჩაგებული ხმლის ვადისკენ წაიღო.

იასემ მიწაზე ტკივილებისაგან დაკლაკნილი ლეკი გადმოატრიალა, კისერში ხელი წაავლო და ზაზას წინ მუხლებზე დააგდო.

— ჩემს მიწაზე რას დაეთრევი, შე რჯულძაღლო!? — იყვირა ზაზამ და ხმალი იშიშვლა.

— ზაზავ! — დაიძახა იქვე ახლოს მდგომმა ოლაგირმა, — მაიცა! ბიჯო! ეგა ის მაგომედაა, დოდორქიდან ცოცხალი რო გავუშვით მამა სვიმონის კურთხევითა.

— რაო! — იღრიალა გვარიძიშვილმა, — აკი პირობა დადო აღარ გამოვიხედავ აქეთაო!?

— ლეკი და პირობა!? — მწარედ გაეცინა ყუშიტაშვილს.

— ეტყობა ახლა ნურსალ-ბეგი შეჰპირდა საცოლეს ამ წუნკალს! — იყვირა ზაზამ.

გვარიძიშვილმა ხმალი ქარქაშში ჩააგო და ბიჭებს გასძახა:

— წაიყვანეთ და გალავნიდან გადაუგდეთ თავის სასიმამროს!

დიდად გაიხარეს ქართველებმა ერთმანეთთან შეხვედრით და საბრძოლო გეგმის ბრწყინვალედ დასრულებით.

,,გულოვანობის ძალითა და სიმხნისა და ვაჟკაცობისა მინდობნი მივიდნენ ქართველნი ციხესა ყვარლისასა, მიენდვნენ ხმალსა და მამაცობასა თვისსა.“

ქართველთა მიერ თელავს მიღებული სამხედრო მოქმედების გეგმამ წარმატებით დაიწყო განხორციელება. თეიმურაზ მეფე კვლავ თელავს იდგა, ხოლო ერეკლე ქიზიყის მხრიდან მოქმედებდა. ყვარლის ციხეში მაშველი რაზმის შეგზავნის შემდეგ, ერეკლემ აარჩია „კაცნი გულოვანნი და კარგ ცხენოსანნი ქიზიყელნი“ და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ რაზმმა დიდძალი საქონელი და ტყვე მორეკა დაუცველად დაგდებული ჭარიდან. შეიტყვეს რა მომხდარი, ყვარლის ციხის ალყად მდგომი ჭარელები შეშფოთდნენ. ხუნძახის ბატონმა ძლივს შეიმაგრა ისინი. მაშინ ერეკლემ მარბიელი რაზმი კი არა, ჭარისკენ ქართლელთა და კახთა მოზრდილი ჯარი გაგზავნა. ყვარელს მდგომი ჭარელები სასწრაფოდ წავიდნენ ქართველებთან შესაბმელად. ქართველები, ბრძანებისაებრ, ბრძოლას მოერიდნენ, უკან გამობრუნდნენ და ქიზიყს დადგნენ. ჭარელებს საქმე გაურთულდათ. ქიზიყს მდგომი ქართველთა ლაშქარი ჭარს ასაოხრებლად ემუქრებოდა. ქართველ მეფეთა სამხედრო ხერხმა გაამართლა. ჭარელებმა გადაწყვიტეს ყვარლის ციხეს მოშლოდნენ და თავიანთი სახლებისთვის მიეხედათ. ამის გამო ჭარელებსა და ნურსალ-ბეგის ლეკებს შორის მტრობა ჩამოვარდა. ბოლოს, ერთმანეთს დაერივნენ და ურთიერთი მრავლად ამოხოცეს. ჭარელები სახლში წავიდნენ. მათ გაჰყვა კაკის სულთანიც. ამის დანახვაზე აჯი-ჩალაბის შვილმაც შექი-შირვანს მიაშურა. ასე რომ, მოალყეთა ერთი მხარი მოიშალა და დაღესტნელებს ციხის აღების იმედი გა-

დაეწურათ. ახლა მათ თავდაცვაზე უნდა ეზრუნათ, რადგან გამ-ხნევებული ქართველები, სადაც იყო დაესხმოდნენ და ყალთამს დამართებდნენ დასუსტებულ მტერს. ამასობაში სურხაი-ხანიც გაუდგა საერთო საქმეს და დაღესტნის გზას გაუდგა. აღარც ნურსალ-ბეგს და შამხალს დაედგომებოდათ იქ და მოეცალნენ ყვარლის ციხეს.

თეიმურაზ და ერეკლე მეფეები დიდი სიხარულით შეეგებნენ ყვარლის ციხიდან გამოსულ მეომრებსა და მოსახლეობას. ერეკ-ლე წარსდგა მათ წინაშე და მიმართა:

— ხალხო! დღეს უფალმა და ღვთისმშობელმა კიდევ ერთხელ გაიღეს მოწყალება და თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფა-რეს ჩვენს სამშობლოს, ხოლო თქვენმა გმირულმა შემართებამ გადაარჩინა საქართველო. მე არ ვიყო მეფე ერეკლე, თუ თითო-ეულ თქვენგანს სათანადო პატივი არ მივაგო. სამშობლოს დაც-ვისათვის ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცები ღირსეული მხედ-რული პატივით იქნებიან დაკრძალულნი, ხოლო მათი ოჯახები მიიღებენ შესაბამის შემწეობას. დაჭრილებს ჩვენი დასტაქრები მიხედავენ. განსაკუთრებული ჯილდოს ღირსნი არიან ყვარლის ციხის ალყის გამრღვევნი. მე, რაც შევპირდი მათ, ყველაფერს უკლებლივ მივუძღვნი. დიდი მადლობა ყველას! ახლა კი მშვი-დობით დაუბრუნდით თქვენს სახლ-კარს და ჩვენი მოხელენი იზრუნებენ თქვენთვის! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი! ამინ!

— ამინ! — შესძახა ერთხმად ხალხმა, — დღეგრძელნი იყვნენ მეფე თეიმურაზი და მეფე ერეკლე!

* * *

პატარძეულელი და ბერთუბნელი ვაჟკაცები ცხენებზე ამ-ხედრებულნი მიიჩქაროდნენ თავიანთი სოფლებისკენ. ბრძოლის ველზე არც ერთი არ დაცემულა, მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა მიღებული მსუბუქი ჭრილობა. ვალმოხდილნი მიიჩქაროდნენ სახლისკენ. წინ შესანიშნავი ოთხეული მიუძღვოდათ ზაზას, ზა-ქარიას, ოლაგირის და იასეს სახით. მათ უკვე ახალი სახელი — შეფიცულნი დაარქვეს, რადგან სხვა დანარჩენ ორასსამ შეფი-

ცულ ვაჟკაცთან ერთად შესანიშნავად გაართვეს თავი ყვარლის ციხის ალყის გარღვევას.

— იასე! — დაიძახა უკან რიგებიდან ალექსა სულიკაშვილმა.

— ჰოო! რა არი, ალექსავ! — გამოეპასუხა იასე ისე, რომ ცხენი არ შეუჩერებია.

— ბიჯოო! რასა მღეროდა ის შილდელი ციხეში!? ვერ დავიმახსოვრე.

— ჰოო! მაგარი მელექსე და მეჩონგურე იყო ის ვერანა. – გაეცინა იასეს.

— ლექსსაც თვითონ იგონებდა და სიმღერასაცა? – არ ეშვებოდა სულიკაშვილი.

— მაშა, კაცო. ოხერა იყო, ოხერა!

— აბა, ერთი კიდე გვითხარ, ჩვენ ძმობასა! — ახმაურდნენ მხედრები.

იასემ ცხენს აღვირი ამოსდო და შეაჩერა. სხვებიც გაჩერდნენ. დაელოდნენ მტვერი როდის გაიფანტებოდა და ყველამ იასეს მიაპყრო მომღიმარი სახეები.

— კაცოო! — დაიწყო საუბარი იასემ, — ამდენი უბედურება და ომები მაქ გადატანილი და ეგეთი რამე არსად მინახავს. ჩვენ რომ შევედით ციხეშია, აბა, იმედი მიეცათ. ერთი მოვიდა ჩემთანა, ჩონგურით ხელშია და მეუბნება: „მოდი, შენ ხმლით იომე და მე კიდენა ჩონგურითაო“. მე უთხარ, კაცოო, ჩონგურით ომი არ გამიგია, ამდენი ხანია ხმალს ვიქნევ-მეთქი. „შენ რა იციო. ამათა ახლა ერთს წავუმღერებ, პირდაპირ გულში ვარჭობ და ეგრევე თოფის სროლას იწყებენო. იმ დღესა, ერთმა გამწარებულმა სიბადან ხანჯალი მესროლა. ენდე, ნახე რა მაგარიაო“. მე უთხარ, ქართულს როგო იგებენ-მეთქი? ეგრე მითხრა: „როცა სჭირდებათ, ყველაფერი კარგად ესმითო“. ჰოოდა, მოიმარჯვა ჩონგური, ჩამოჰკრა და დაამღერა:

პამპულაი შეეკაზმა
თოფითა და ჯინჯილითა,
უნდა ქალაქსა მივადგე,
ამოვხოცო შიმშილითა,
ეს რომ ერეკლემ შეიტყო,



გადაბრუნდა სიცილითა...

— ჰოოდა, უცბათ დაიწყეს თოფის სროლა იმ გამჩენძაღლებმა. ძლივს შევასწარით ციხეშია.

ატყდა სიცილი და ხარხარი მეომრებს შორის.

— რა გინდა, მებრძოლი ეგა ყოფილა! — დაიძახა ზაქარია ყუშიტაშვილმა და ცხენს მათრახი გადაუჭირა. — წავედით, კაცო! არ გეჩქარებათ სახლშია!?

— გეჩქარება, თორემა, მიხვალ და დაისვენებ. ამბავი დაგხვდება ახალი ომისა და იქით მოგვიწევს წასვლა.

— არა მგონია, — თქვა ზაზა გვარიძიშვილმა, — ერეკლე მეფის მეაბჯრემ მითხრა, ამ დღეებში მეფე აპირებს დედაქალაქში წამოსვლას და ბერთუბნის სამეფო სახლში აუცილებლად გამოივლისო.

— გაუმარჯოს მეფე ერეკლეს! — შესძახეს მეომრებმა და შინისკენ გაჰქუსლეს.

მართლაც რამდენიმე დღეში მეფის მსახურნი გამოჩნდნენ ბერთუბანში და სამეფო სახლის მოწესრიგება დაიწყეს. ორ დღეში მეფის შათირიც გამოჩნდა, სოფლის ნაცვალი გააფრთხილა, მეფის დასახვედრად ხალხი შეეკრიბა.

გიორგობის თვე ახალი დაწყებული იყო. ბერთუბნელებს და პატარძეულელებს ჭირნახული დაებინავებინათ, შეკრებილიყვნენ სამეფო სახლთან და მეფის მოლოდინში გარინდებულიყვნენ. მეფის ამალაც გამოჩნდა. თეთრ ცხენზე ამხედრებული ერეკლე ამალის შუაში მოაგელვებდა მრავალ ომებში გამოვლილ თავის ჭაკს.

— მეფე ერეკლეს გაუმარჯოს! ჩვენს კახთ ბატონს! — ახმაურდა ხალხი.

მეფე ჩამოხდა ცხენიდან და მიესალმა ხალხს. ბევრი პირადად მოიკითხა, შემდეგ დიდი მუხის ქვეშ, საგანგებოდ მორთულ სამეფო ტახტზე დაჯდა და ხალხს მოუწოდა ახლოს მისულიყვნენ. მოისმინა სოფლელების საჩივრები, სამართალი დააყენა, სოფლის ნაცვლებს დავალებები მისცა, მერე ფეხზე წამოდგა და ბრძანა:

— ჩვენ, მეფემან ქართლისა თეიმურაზ და მეფემან კახეთისა ერეკლემ, გამოვარკვიეთ, რომ ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ

ყვარლის ციხის ალყის გარღვევაში გვეხმარებოდნენ თქვენი სოფლის გლეხები. ვინ არიან ისინი, ამას ამ რაზმის სარდალი, თავადი პაპა ბებურიშვილი-ვაჩნაძე მოგვახსენებს.

თავადი პაპა წარდგა ხალხის წინაშე და განაცხადა:

— მეფეს ეახლნენ ზაზა გვარიძიშვილი, ზაქარია ყუშიტაშვილი, ოლაგირ ელერდაშვილი და იასე სიბოშვილი!

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. მათი რიგებიდან გამოვიდნენ დასახელებული ვაჟკაცები და თაყვანი სცეს მეფეს.

კახთ ბატონმა არწივისებური მზერა მიაპყრო ვაჟკაცებს, მერე სახეზე ნათელი მოეფინა და ბრძანა:

— ღვთის სიყვარულისათვის და მერე ჩვენისა და ჩვენი ქვეყნის ერთგულებისათვის და სარწმუნოებისათვის, თქვენი თავი სასიკვდილოდ გადადევით იმ დღეს! წახვედით ღვთით და ჩვენის ბრძანებით გაარღვიეთ ყვარლის ციხის ალყა! ხმალდახმალ შეხვედით, მრავალი კაცი მოკალით და ლომსავით გაისარჯენით! ჩვენ, მეფემან თეიმურაზმან და ერეკლემ, შეპირებული პატივი და ღირსება არ დაგივიწყეთ და ვინაიდგან თქვენ თქვენი თავი მამულის დასაცავად გაქვთ გადადებული, ოთხივეს გებოძათ აზატობა, ასევე კაცზე ოთხი თუმანი. შეპირებულნი ვიყავით ასევე, კაცზე ორს საკომლო მამულსა. ვინაითგან სამეფო კარმა გადავწყვიტეთ მუღანიდან ელების გადმოსახლება ივრის ჭალებში, ამიტომ მუნ მამულების შეჭირვების გამო, გებოძათ თითო-თითო საკომლო მამული და სართად კიდევ, ოთხივეს, ელთა მუღანლოსა და სათის ჭალას შორის მდებარე ჭალა. ღმერთმა დაგლოცოთ და მშვიდობაში მოგახმაროთ ბოძებული!

ზაზამ, ზაქარიამ, ოლაგირმა და იასემ პირჯვარი გადაიწერეს და ერთხმად შესძახეს:

— გაუმარჯოს მეფე ერეკლეს და მეფე თეიმურაზს!

მერე ოთხივემ მუხლი მოიდრიკა და თაყვანი სცა მეფეს.

იდგა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი წლის გიორგობისთვე. მუსლიმანთა გარემოცვაში მოქცეული საქართველო დიდი ბრძოლებისათვის ემზადებოდა.



დუნაიდან ივრისპირეთში

სისხლიანი მოვლენებით დამძიმებული მეთვრამეტე საუკუნე ისტორიას ჩაბარდა. დაიწყო ქრისტეს აქეთ მეცხრამეტე — იმედის მომცემი საუკუნე. გამუდმებული ომებით გაწამებული მოსახლეობა მშვიდობას მოელოდა. გასული ასწლეულის უკანასკნელი წლის ოქტომბერში ალექსანდრე სუვოროვი გენერალი სიმუსი გახდა. გამოიცა იმპერატორ პავლეს ბრძანება, სიცოცხლეშივე დაედგათ მისთვის ძეგლი. გენერლებმა და ოფიცრებმა ჯილდოები მიიღეს და მალევე, იმპერატორ პავლეს ბრძანებით, ვენის სურვილის საწინააღმდეგოდ, რუსული არმია ბავარიისა და შვაბიისაკენ დაიძრა, თითქოს გამოსაზამთრებლად. რუსი ჯარისკაცების სისხლი ჯერ კიდევ არ შემშრალიყო ჩრდილო იტალიის ველებსა, შვეიცარიის კლდეთა ბილიკებსა და მთის ფერდობებზე გაშლილ თოვლზე...

იტალიის და შვეიცარიის ლაშქრობის გმირთა შორის ერთ-ერთი უპირველესი გახლდათ ქართველი მხედართმთავარი, პეტრე ბაგრატიონი. სუვოროვი თავის მოხსენებაში მას განსაკუთრებული სითბოთი ახასიათებდა: „თავად ბაგრატიონს, რომელიც ავანგარდთან ერთად ყველა ბრძოლაში მონაწილეობდა, როგორც მთა სენ-გოტარდის, ისევე ბოლოს, გლარისისკენ მიმავალი მთების აღებისას, მრავალგზის გამოცდილი მისი სიმამაცე ბევრისთვის სანაქებო მაგალითს წარმოადგენდა“. ეს ბრწყინვალე დახასიათება იყო, თავისებური გზის დალოცვა იმ მხედართმთავრისაგან, რომელსაც ბაგრატიონი თავის მასწავლებლად თვლიდა. ალპური ლაშქრობა მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ ფურცლად დაიწერა. მას მიენიჭა წმიდა იოანე იერუსალიმელის ალმასის ნიშნები და ორი საზღვარგარეთული ჯილდო: მარია ტერეზას მეორე ხარისხის ავსტრიული ორდენი და ჯარში არც ისე პატივსაცემი, სარდინიული წმიდა მავრიკიის და წმიდა ლაზარეს ორდენები.

ცხენზე ამხედრებული პეტრე ჩვეული, კავკასიური სიამაყით მისდევდა მხარდამხარ გენერალ-სიმუსს. ვაჟკაცურ და მომღიმარ სახეზე ქართული წარმომავლობა აშკარად ეტყობოდა. იყო გამხდარი, თავმდაბალი, წარმოუდგენლად აქტიური, სრულიად გულგრილად ეკიდებოდა გაჭირვებას, ეზიზღებოდა კეთილდღეობა და მატერიალური სიკეთე. წინდახედული იყო, ფრთხილი, შეეძლო მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილებების მიღების დროს ბედს მინდობოდა. იცნობდა ადამიანებს და კარგად სწვდებოდა მათ ხასიათს, რაც უზარმაზარ დახმარებას უწევდა ომში. იყო კეთილი, სამართლიანი, შეეძლო გულწრფელად გამოეხატა გრძნობები და მტრისადმი კეთილშობილება გამოევლინა.

შვაბიაში შესვლისთანავე ბაგრატიონის წინაშე ულამაზესი ბუნება გადაიშალა. პეტრეს თავისი ბავშვობა გაახსენდა, ყიზლარის მინდვრები და კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები. თითქოს ჰაერიც მშობლიური სითბოთი იყო შეზავებული. მთის ძირას, ვარსკვლავებივით ანათებდნენ გვიანი შემოდგომის სურნელითა და ხვავით ავსებული სოფლები.

- ალექსანდრ ვასილევიჩ! ომისთვის ნამდვილად ცოდოა ეს ხალხი. - აღმოხდა პეტრეს.

- ჰმ! - გაეცინა სუვოროვს, - ჩვენ მაგას არ გვეკითხებიან, გენერალო! ჩვენ ჯარისკაცები ვართ, ვასრულებთ ბრძანებას და სხვათა შორის იმპერატორის, რომელიც თვით ღვთისგან არის ნაკურთხი.

ბაგრატიონს ხმა არ ამოუღია. კიდევ ერთხელ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, მხედრული პატივი მიაგო მხედართმთავარს და ავანგარდისკენ გაჰქუსლა.

ამასობაში ერთ-ერთი მთის ძირას გაშენებულ სოფელს მიუახლოვდნენ. წინასწარ გაგზავნილ მზვერავთა რაზმის უფროსმა მოახსენა სუვოროვს, რომ სოფელში სიწყნარეა და მხედართმთავრებისთვის უკვე შერჩეულია მოსასვენებელი სახლები.

პეტრე ბაგრატიონისთვის საცხოვრებლად ადგილობრივი შვაბის დიდი და ლამაზი სახლი შეერჩიათ. ოჯახის პატრონი

გაეცნო გენერალს. იგი აღმოჩნდა ვინმე იაკობ ბეკი. გენერალმა ბაგრატიონმა თავის ადიუტანტთან ერთად მიიპატიჟა სახლში. პეტრემ საცხოვრებლად დიდი ოთახი აირჩია, სადაც მხოლოდ საწოლი, მაგიდა და სკამები დაატოვებინა. ის ამას ყველგან ასე აკეთებდა. საწოლზე და იატაკზე დააყრევინებდა ხოლმე თივას. ამაში თავის მასწავლებელს - სუვოროვს ჰბაძავდა, რომელსაც, როგორც ცნობილია, თივაზე ეძინა იმის მიუხედავად, ამის აუცილებლობა იყო თუ არა. ამასთან, იატაკზე მიმობნეული თივა ოთახს ჭუჭყის შემოტანისაგან იცავდა.

საბრძოლო მოქმედებების დროს მას დღედაღამ გაუხდელად ეცვა ტანსაცმელი. ძალიან ცოტა ხანს ეძინა - სამი ან ოთხი საათი ღამეში, ისიც გაღვიძებებით, რადგან ავანპოსტიდან მობრუნებულებს აუცილებლად უნდა გაეღვიძებინათ, თუკი მოტანილი შეტყობინება მნიშვნელოვანი იქნებოდა. მდიდრული ცხოვრება უყვარდა, ყველაფერი საკმარისი ჰქონდა, მაგრამ სხვებისთვის და არა საკუთარი თავისთვის. თვითონ მცირეოდენითაც კმაყოფილდებოდა. საერთოდ არ სვამდა. არავის უნახავს, არაყი ან ღვინო დაელიოს, მხოლოდ სადილად დალევდა ხოლმე ორ ჭიქა მადერას. საველე პირობებში ეცვა ხოლმე მუნდირის სერთუკი, მხრებზე ჰქონდა მოსხმული ნაბადი, თავზე ეხურა ნაცრისფერი კრაველის ქუდი და ხელთ ეპყრა კაზაკური მათრახი. თავადი მუდმივად ატარებდა სუვოროვის მიერ ნაჩუქარ დაშნას.

ძნელი საქმეა უხელმძღვანელო ჯარის არიერგარდს, როცა უკან მტერი მოგყვება. ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო რამ წარმოადგენს არიერგარდის მეთაურის ძირითად მოვალეობას - უკან დახევის დროს მტრის თავდასხმისაგან ჯარის დაცვა და ამასთან ერთად, ახლო მანძილზე დარჩენა, კავშირებისა და ურთიერთობების შესანარჩუნებლად. როგორ უნდა შეუხამდეს ერთმანეთს ეს ორი, ალბათ, შეუხამებელი აუცილებლობა? შეიძლება თუ არა ბრძოლაში ჩაბმა? მაგრამ ყოველი ბრძოლა მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივ შეჩერებას მოითხოვს, რომლის დროსაც არიერგარდი არმიას შორდება, მეტად თუ ნაკლებად

წინ რომ მიიწევს. ან იქნებ, მხოლოდ ჯარისაგან გარკვეული დაშორებით სვლაა საჭირო და მაშასადამე, ბრძოლისათვის თავის არიდება? მაგრამ ასეთი ქმედებით სულ ადვილი შესაძლებელია არიერგარდი არმიას დაუახლოვდეს და თან მტერიც მიიყოლოს. ბაგრატიონი არმიაში ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდა და ამ ამოცანებს წყვეტდა. ის ღრმად ჩახედული იყო არიერგარდის იმ წესში, რომელიც ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, წმიდა ელენეს კუნძულზე აღწერა სამხედრო საქმის უბადლო მცოდნემ, როცა თქვა: „ავანგარდი შეუჩერებლად უნდა ეწეოდეს, არიერგარდი კი მანევრებს უნდა ახორციელებდეს“. სწორედ ამ აქსიომაზე ეფუძნებოდა ბაგრატიონი არიერგარდების უკანდახევითი მოქმედებებისას, რომლებსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა. მისი მეთაურობით არიერგარდი არასდროს დიდხანს არ ჩერდებოდა ერთ ადგილას და არც მუდმივად მიჰყვებოდა ჯარს. მისი მოქმედების არსი, ერთი თავდაცვითი პოზიციიდან მეორეზე სწრაფად გადაადგილებაში მდგომარეობდა. საერთო ბრძოლაში არ ებმებოდა, მაგრამ ამასთან ერთად საშიშ პოზიციას ინარჩუნებდა, მოწინააღმდეგის ხშირ თავდასხმას იგერიებდა საპასუხო ელვისებური დარტყმებითა და არტილერიის სრული ამოქმედებით. ეს იყო ოპერაცია, რომელიც გარემოებათა მთელი მოცულობის გენიალურ ფლობას მოითხოვდა: სიმშვიდეს, თვალის ზომას, გასაოცარ გონიერებასა და ჩვევებს, რომლითაც ბაგრატიონი ასე უხვად იყო ღმერთის მიერ დაჯილდოვებული.

* * *

მეორე დღეს, დილით, პეტრე ბაგრატიონმა დაავალა ადიუტანტს, ოჯახის უფროსი მოეყვანა. რამდენიმე წუთში იაკობ ბეკი, თავის მეუღლესთან ერთად, გენერლის წინაშე იდგა. მის მეუღლეს ხელში ახლადმოწველილი რძით სავსე ქოთანი ეჭირა. მისალმების შემდეგ მან ქოთანი მაგიდაზე დადგა, მორიდებით თავი დახარა პეტრეს წინაშე და აკანკალებული ხმით წარმოთქვა:

- მიირთვით. ჩვენი ოჯახის ძროხის რძეა. შეგერგებათ.

- გმადლობთ! - მიუგო გენერალმა ჩვეული სამხედრო ხმით და მანდილოსანს ღიმილი შეაგება.

- ეს ჩემი მეუღლე, ელზა ბაუერი-ბეკია, - მოახსენა იაკობმა მხედართმთავარს, - თუ რაიმე დაგჭირდებათ, რაც შეგვიძლია ყველაფერს მოგართმევთ.

- კეთილი, - წარმოთქვა პეტრემ, - მე შენთან საუბარი მინდა, იაკობ. თუ გცალია დღეს, თავისუფალი დრო მაქვს და ჩემთან იყავი.

- როგორც მიბრძანებთ, გენერალო. - თქვა იაკობმა და მორიდებით დახარა თავი.

პეტრე მივიდა იაკობთან. მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

- დღეს მე და შენ თანასწორნი ვართ. წამოდი, გარეთ გავიდეთ და გავისეირნოთ.

იაკობს სახლის წინ მტილი ჰქონდა გაშენებული, როგორც ჩანდა, აქ ვარდების და ყვავილების ნაირსახეობა იზრდებოდა. ზამთრის პირზე ამას ნამდვილად ვერ შეამჩნევდა ადამიანი, მაგრამ როგორც ოჯახის პატრონი ამბობდა: „ყველა შვაბისთვის ყვავილების მოშენება ძირძველი ტრადიცია იყო“. მტილის შემდეგ ხეხილის ბაღი იწყებოდა და აქაც შესაშური წესრიგი სუფევდა. სხვადასხვა ჯიშის ხილის ხეები ჯარისკაცებივით მწკრივში იყო ჩარგული და გარშემო იდეალური სისუფთავე დასადგურებულიყო.

- როგორც ჩანს, წესრიგი და სისუფთავე გერმანელებს სულში და ხორცში გაქვთ გამჯდარი. - თქვა პეტრემ და იაკობს შეხედა. აინტერესებდა, როგორი რეაქცია ექნებოდა წარმოთქმულ სიტყვებზე.

- დიახ, თქვენო უმაღლესობავ, გენერალო, - მორიდებით მიუგო ბეკმა, - ჩვენთან წესრიგი და სისუფთავე უპირველესია.

- ყველგან? - ნიშნისმოგებით იკითხა პეტრემ.

- დიახ, თქვენო უმაღლესობავ, - ღიმილით უპასუხა იაკობმა, - და ეს ყველაფერი არც თუ ისე იოლად იქნა მიღწეული. ადრე ნაგვის გადაყრა სად არ ხდებოდა. პირდაპირ ეზოდან ისროდნენ და ვისთან ვარდებოდა, კაცმა არ იცოდა. ამიტომ ხელისუ-

ფლებამ ძალიან მკაცრი კანონი შემოიღო. ნაგვის არასწორად გადამყრელი უნდა დაესმინა მის მეზობელს. ამის გამო დამნაშავეს მიწის ნაკვეთს აჭრიდნენ და აძლევდნენ დამსმენელს. თუ არ დაასმენდა მეზობელი და ორივეს სხვა დაასმენდა, მეზობელსაც აჭრიდნენ ნაკვეთს და ორივეს დამსმენელს აძლევდნენ. ასეთმა სიმკაცრემ შედეგი გამოიღო და დღეს ყველა შვაბის შიდა თუ გარე ეზო სუფთაა და ნაგავს ვერსად ნახავთ, გარდა მის დასაყრელად გამოყოფილი ადგილისა.

- საოცარი კანონია, - გაეცინა ბაგრატიონს, - ისე, რუსებსაც არ აწყენდა ასეთი წესრიგი. მართლა! რა ჰქვია ამ სოფელს?

- როზენფელდი, თქვენო უმაღლესობავ! თქვენს ენაზე ვარდის მდელოს ნიშნავს.

ამასობაში პეტრე და იაკობი ბაღის ბოლომდე გავიდნენ, საიდანაც ქვედა მხარეს გამოჩნდა ტერასაზე ჩაყრილი ვენახი. ბაგრატიონს ვაზის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა და აღმოხდა:

- ვაზიც გაქვთ!?

- დიახ, ბატონო! ბოდიში... გენერალო!... გვაქვს... და თან უხსოვარი დროიდან.

- საინტერესოა. აბა, განაგრძეთ, გისმენთ მთელი ყურადღებით.

პეტრე ბაგრატიონის თავმდაბლობით აღფრთოვანებულმა იაკობმა ხალისიანად განაგრძო საუბარი:

- დაახლოებით ოცდახუთი საუკუნის წინ ჩვენს წინაპრებს უცხოვრიათ კავკასიის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ბავარეთში და დვალეთში, საიდანაც აყრილან და წამოსულან დაუსახლებელ ევროპაში. აქ კი რამდენიმე ხალხებად დაიყვნენ: ბავარიელებად, სვებებად და ალემანებად. ყოფილან ძირითადად მევენახეები და მჭედლები. ისეთი ხმლის გამოჭედვა სცოდნიათ, რომელიც თვით რკინას ჰკვეთდა. ხოლო ზურგზე ვაზის ლერწების მიკვრა სცოდნიათ. უთანასწორო ბრძოლაში შესულებს თუ სიკვდილი დაეწეოდა და ბრძოლის ველიდანაც არავინ გამოიყვანდა, მის სხეულზე ვაზი იზრდებოდა და ეს კი შთამომავლობას წაადგე-

ბოდა. ასე, ზურგზე ლერწებაკრულნი ჩამოსულან აქ და გაუშენებიათ შესანიშნავი ზვრები. ჩვენ კი ვაზის მოვლის ტრადიცია არ დავკარგეთ, პირიქით სხვადასხვა ყურძნის ჯიშები გამოგვყავს. მხოლოდ აქ, ღვინის დასაყენებლად თიხის მაგივრად, ნაძვის ხისგან გაკეთებულ, თავღია კასრებს ვიყენებთ, ხოლო ღვინოს მუხის კასრებში ვინახავთ.

- საინტერესოა... - თქვა ბაგრატიონმა, ზეცისკენ აიხედა, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო თავისთვის საუბარი, - ...ბავარ - ბავარიელები, სვანები - სვაბები - შვაბები, დვალები - ალები - ალემანები...

- რა ბრძანეთ, თქვენო უმაღლესობავ? - იკითხა გენერლის უცნაური საუბრით გაკვირვებულმა იაკობმა.

- არაფერი... არაფერი... განაგრძე, იაკობ. - უპასუხა ბაგრატიონმა.

იაკობმა ბევრი რამ მოუთხრო ბაგრატიონს თავისი ხალხის შესახებ. ამასობაში სახლსაც მიუახლოვდნენ. ელზა ზღურბლზე შეეგება ქმარსა და სტუმარს და მიიპატიჟა სასადილო ოთახში. პეტრემ უარი ველარ თქვა თავაზიან მიპატიჟებაზე და შევიდა სატრაპეზოდ. სასადილო ოთახში იდგა ჩვეულებრივი ხის მაგიდა და სკამები. მაგიდაზე ხის თეფშებზე დაელაგებინათ მადის აღმძვრელად დაჭრილი ლორი, ახლად მოხარშულ კარტოფილთან ერთად, პური, ყველი, რძე, კვერცხი და დოქით ღვინო.

სტუმარ-მასპინძელი სუფრას მიუსხდნენ. იაკობმა ღვინით სავსე დოქი მოიმარჯვა, ხის ჭიქებში ჩამოასხა ღვინო, პეტრეს შეხედა და უთხრა:

- თქვენო უმაღლესობავ! ჩვენ სადილად წყალგარეულ ღვინოს - ვასერვაინს მივირთმევთ, ხოლო თქვენთვის სუფთა ღვინო გავხსენით. ვიცით, რომ რუსებს არ გიყვართ წყალგარეული სასმელი. არაყიც შეგვიძლია შემოგთავაზოთ.

- და ვინ გითხრათ, რომ მე რუსი ვარ? - გაეღიმა პეტრეს.

იაკობს უხერხული შეკითხვის გამო დოქი ხელში გაუშეშდა. თუმცა, ისევ პეტრემ გამოიყვანა მდგომარეობიდან:

- მე იქიდან ვარ, საიდანაც თქვენ ოცდახუთი საუკუნის წინ წამოხვედით. თუმცა, ჩემი წინაპრები იმ მიწაზე თორმეტი საუკუნის წინ დასახლდნენ. აქედან ათ საუკუნეზე მეტ ხანს მეფობდნენ და მხოლოდ წელს დაკარგეს სამეფო ტახტი.

აქ მცირე ხნით შეჩერდა ბაგრატიონი და მერე დამწუხრებულმა წარმოთქვა:

- ალბათ, აწ უკვე, სამუდამოდ.

დიდხანს ისაუბრეს პეტრემ და იაკობმა. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატიონი არც ღვინოს და არც არაყს არ სვამდა, მშობლიური ქვეყნის და ხალხის გახსენებამ შვაბური ღვინო მაინც დააგემოვნებინა და იაკობთან ერთად ერთი დოქიც გამოცალა. მასპინძელს მადლობა გადაუხადა სადილისთვის, თავისი ადიუტანტი გამოიძახა, მისცა დავალება, ხოლო თვითონ ოთახში განმარტოვდა და ფიქრებს მიეცა:

,, ... ვახტანგ მეექვსის მიერ ტახტის მიტოვებისა და რუსეთში გადახვეწის გამო, ქართლის ბაგრატიონთა გზები დაიქსაქსა. არც პეტრეს წინაპართა შტოს დაადგა კარგი დღე. რუსეთის იმპერიაში ხეტიალის შემდეგ, ყიზლარში იპოვეს თავშესაფარი და პეტრეს დაბადებაც და მოღვაწეობაც იქიდან დაიწყო. სამხედრო საქმის სიყვარულმა და წინაპართა ღირსეულმა ტრადიციებმა, რომელსაც მგონი მთლიანად პეტრეში მოეყარა თავი, ბაგრატიონი მალევე გააბრწყინა მაშინდელი რუსეთის იმპერიის მაღალ სამხედრო იერარქიაში. მაგრამ, როგორც ყველა სულით ქართველს, მასაც თან სდევდა სამშობლოს სიყვარული. განიცდიდა მის ყველა ტკივილს და როდესაც შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა იმპერატრიცა ეკატერინესადმი გენერალ ტოტლებენის მიერ წარდგენილ მოხსენებით ბარათს საქართველოს შესახებ, ამან საბოლოოდ შეძრა მისი მამულიშვილური და პატრიოტული გრძნობები. ერეკლე მეორე, რომელიც ქარქაშში ხმალს არ აგებდა და დღედაღამ იბრძოდა, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების წინააღმდეგ და ბრწყინვალე გამარჯვებებსაც აღწევდა, სამეფო კარზე არსებული ინტრიგების გამო, ქვეყნის

სრულყოფილ განვითარებას მაინც ვერ აღწევდა. გაუთავებელი ომების გამო, ქართველთა რიცხვი სახელმწიფოში ძალიან შემცირდა. ერეკლემ მოსახლეობის შესავსებად სომხები, გამონოფიზიტებული ალბანელები და ელი თათრები ჩამოასახლა. ამ ნაბიჯმა, თავდაპირველად, ეკონომიკური თვალსაზრისით გაამართლა, მაგრამ როდესაც მტერი შემოესია საქართველოს, მშვიდობიან პერიოდში წახალისებულმა უცხოტომელებმა ერთიანად უღალატეს მეფეს და ქვეყანა საჯიჯგნად ისევ სპარსელებსა და ლეკებს მიუგდეს... როგორც გვამცნობს მატიანე: „...არა მეომარნი (იგი სომეხი), მხდალნი და მაყურებელნი სასწორისა...“ ბაგრატიონმა კარგად იცოდა, რომ უკანასკნელ მეფეს ქართლ-კახეთისას, გიორგი მეცამეტეს, არ უყვარდა სომეხნი და ამბობდა კიდეც: „დავით აღმაშენებელი, რომელმაც შემოიხიზნა იგინი და დაასახლა გორსა, თვით ინანიდა, ოდეს იხილა გარყვნილი თესლი, მეფობისა დამკარგველნი, კრებისა კანონთა შინა, რომელიცა იქმნა ქალაქსა მცხეთას მის დროს, იტყვის სხვათა შორის: რათა ერი მისი ქრისტიანე იყოს მოძულე ცოდვისა მის სოდომელთა, რომელმანცა წარწყმიდა ბაბილონი და რომელმანცა დაუკარგა მეფობა სომეხთა. თამარის დროსაცა სძაგდნენ იგი ქართველთა... ქრისტიანობისა შემრცხვენელნი, რომელნიცა ამატებენ სამწმინდაობასა გალობასა ზედა „რომელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის“... ლიტურღია არცა ვასილისა, არცა ოქროპირისა, არცა გრიგორი ღვთისმეტყველისა; დიდსა შაბათსა განსხნილება თევზითა და ერბოთი...“ ეს უჯიშო და ყოვლის მკადრებელნი არსებანი დასახლებულნი იყვნენ არა მარტო დედაქალაქში, არამედ მის გარშემო მთლიანად. თავისი მფარველი მეფე გაწირეს და სხვას რას უზამდნენ. ამიტომ სასწრაფოდ საჭიროა ესენი ჩანაცვლებულ იყვნენ ისეთი შრომისმოყვარე და წესიერი ხალხით, რომლებიც საქართველოს და ქართველობას ამ ამყრალებულ წუმპედან ამოიყვანს. ღმერთმა მომიყვანა აქ, შვაბიაში. დიდება უფალს! ეს ხალხი რომ დამასახლებინა თბილისსა და მის შემოგარენში, ააყვავებენ იქაურობას. ჯერ ერთი, ჩვენი

ძველი ჯიშისანი არიან, ხოლო მეორე - ევროპულ კულტურას, შრომის წესრიგსა და ცოდნას შეიტანენ ქვეყანაში. რუსის ჯარი დაიცავს ქვეყანას გარეშე მტრებისაგან, ხოლო შვაბები მშვიდობიან პერიოდში ეკონომიკას განავითარებენ... "

ბაგრატიონი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. იატაკზე ახლად დაყრილ გამომშრალ თივას ხრაშა-ხრუში გაჰქონდა. დიდხანს იარა ასე პეტრემ. ბოლოს ოთახის შუაგულში გაჩერდა, პირჯვარი გადაიწერა და წარმოთქვა:

- ღმერთო, შენ გამინათე გზა რუსეთის იმპერიის წყვდიადით და ინტრიგებით მოცულ ლაბირინთებში, რათა აღვასრულო ჩემი სამშობლოსთვის ესოდენ აუცილებელი საქმე.

* * *

შვაბიის როზენფელდში დაბანაკებულ რუსეთის ჯარს სამ დღეში იმპერატორ პავლეს ახალი ბრძანებით ეცნობა, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. იგი სუვოროვს სწერდა: „... ძალიან არასანდო ჩანან ძველი მოკავშირეები... მივატოვე და გადავწყვიტე, საკუთარ თავს თავად მიხედონ!...“

იმპერატორ პავლეს, ნაპოლეონის გამოჩენასთან დაკავშირებით, მასთან ურთიერთობის იდეა გაუჩნდა და კოალიციიდან გამოსვლა გადაწყვიტა. ნაპოლეონი კი ამ დროს სულ სხვას ფიქრობდა. სუვოროვი, ავადმყოფობის გამო, გადადგა სამსახურიდან და მალევე გარდაიცვალა. არც იმპერატორ პავლეს დასცალდა სიცოცხლე. მის მკვლელობაში ქართველიც კი იყო გარეული. იმპერატორი ალექსანდრე გახდა, რომელიც თვითონვე არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ პავლეს შვილი იყო. მის ბიოლოგიურ მამას უფრო ინგლისის დიპლომატიურ წრეებში განიხილავდნენ. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ალექსანდრესთვის, რომ რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე გამხდარიყო.

ამასობაში კი რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთი, გააუქმა მეფობა და ძირითად მოკავშირედ სომხები დაადგინა.

მეცხრამეტე საუკუნე დაიწყო და მსოფლიო დიდი ქარტეხილებისთვის ემზადებოდა.

პეტრე ბაგრატიონის ქორწინება ფრეილინა კატენკა სკავრონსკაიასთან, რომელიც ათას რვაას წელს უშუალოდ იმპერატორ პავლეს ინიციატივით შედგა, ხუთი წლის შემდეგ განქორწინებით დამთავრდა. პეტრე ავსტრიაში ნაპოლეონის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემგზავრა, ხოლო მისი ყოფილი მეუღლე იმავე მიმართულებით - ნერვების დასაწყნარებლად. ვინ იცის, იქნებ ათას რვაას პირველი წლის მარტში იმპერატორი პავლე მკვლელის ხელს რომ არ განეგმირა, ამ ქორწინებასაც გამოეღო ბრწყინვალე „თავთავი“ სასახლის კარზე. ამ საქორწინო პროექტის უკან ხომ მრავალი ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანი იდგა. ირგვლივ მყოფებისთვის ცხადი იყო, რომ გენერალ-მაიორი ბაგრატიონი ხელმწიფის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა და შესაბამისად, მისი ახლობელი ადამიანების სიყვარულითაც. ეს კი კარიერისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. ბევრს ნიშნავდა იმ დიადი მიზნის განსახორციელებლად, რაც უკვე რუსეთის იმპერიაში და კერძოდ საქართველოში შვაბების ჩამოსახლებას შეეხებოდა.

მიუხედავად მოვლენების ასეთი ელვისებური ცვლილებისა, საიმპერატორო კარზე ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით გრძელდებოდა. შვიდი წლის დაქვრივებული დედა-დედოფალი მარია ფედოროვნა არაფერს იკლებდა. მას განსაკუთრებით იზიდავდა ქალაქგარეთ რეზიდენციებში, თავის ახლობელ ადამიანებთან ერთად გასეირნება და დროის გატარება. მაშინ ევროპაში ყველაფერი შვეიცარული ძალიან მოდაში იყო, რაც პასტორალურ ბუნებასთან დაახლოებულ საწყისთან ასოცირდებოდა. იმპერატრიცა მარია ფედოროვნას ძალიან უყვარდა ეს პასტორალური ქოხები, სადაც ყველაფერი იყო. გარეგნულად შეუხედავი და შეიძლება ითქვას, შელახული შენობა, შიგ შესულ სტუმარს არაჩვეულებრივი სიმდიდრითა და დახვეწილობით აოცებდა. იქ მიირთმევდა პეტრე ბაგრატიონი ყავას იმპერატრიცასა და დიდი თავადის ასულთან ერთად. მარია ფედოროვნა, თავის ახლობლებთან ერთად, ხშირად სტუმრობდა პავლოვსკის

პარკს. აი, სწორედ ამ პარკის ხეივნებში აფეთქებულმა სიყვარულმა გააერთიანა ეკატერინა პავლოვნას, იგივე კატიშის და პეტრე ბაგრატიონის გრძნობები. მაშინ, როდესაც დედა-დედოფალი თავის სტუმრებს ევროპაში გადამხდარ სახუმარო ისტორიებს უყვებოდა, მწვანე საფარით გადაბურული ხეივნის ქვეშ, ეკატერინა პავლოვნა და პეტრე ბაგრატიონი ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ:

- თქვენმა ლურჯმა და გაბრწყინებულმა თვალების სიკაშკაშემ ჩემი გული და გონება ერთიანად დაიპყრო, ეკატერინა პავლოვნა...

- თქვენთვის კატიში, ჩემო პიოტრ... - აღმოხდა ეროსის ვნებით შეპყრობილ ცხრამეტი წლის უმშვენიერეს კნიაგინიას.

- კატიშ! ამდენი დღეა ერთად ვართ და მე უკვე ვდნები თქვენგან გამომავალი შარავანდედის ბრწყინვალებით. ნუ დამწვავთ, ძალიან გთხოვთ...

- ოოჰ! ეს კავკასიელები! აი, ეს მომწონს შენში, პიოტრ, და ის უხეშობა, რომელიც ქალებთან ურთიერთობისას გაქვთ.

- რა ვქნა, კატიშ... მე ხომ ჯარისკაცი ვარ. ამ ხელებში მხოლოდ ხმალი და დამბაჩა მიჭირავს და ვერ წარმომიდგენია თქვენს ღვთიურ სხეულს როგორ უნდა შევეხო...

კატიშმა თავისი თეთრი ქათქათა თითები მოჰკიდა პეტრეს ჭრილობებით დასერილ და ნაიარევ ხელებს და თავისი არაამქვეყნიური სიკაშკაშით მოელვარე ძუძუ-მკერდზე მიიკრა.

- ოო! პიოტრ... - აღმოხდა ქალს და უცებ მოექცა მამაკაცის მკლავებში.

დიდი ვერხვის ქვეშ გაშლილი სუფრიდან მარია ფედოროვნას და მისი მხლებლების სიცილ-კისკისი ისმოდა. მალე კატიში და პეტრეც გამოჩნდნენ. დედა-დედოფალმა გახარებულმა შესძახა:

- აი, ჩემი კატიშიც. ის მალე ავსტრიის პრინცის მეუღლე გახდება და მთელი ევროპის დედოფალი იქნება. ოო! პიოტრ ივანოვიჩ! როგორ მიხარია, რომ თქვენი სახით, ასეთი ერთგული მეგობარი ჰყავს ჩემს ქალიშვილს.

პეტრე ბაგრატიონის გულში სიყვარულის ცეცხლი ტრიალებდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მიუხედავად კატიშის ანალოგიური სურვილისა, მათ დაქორწინებას თვით იმპერატორი ალექსანდრე აღუდგებოდა წინ. იმპერატორმა უარი უთხრა დის მითხოვებაზე, როგორც ავსტრიის პრინცს, ასევე ნაპოლეონს, რომელსაც გადაეწყვიტა გაშორებოდა უშვილო ჟოზეფინას და ცოლად ეკატერინა პავლოვნა მოეყვანა. კატიშის გული კი მხოლოდ პეტრე ბაგრატიონს ეკუთვნოდა - „უკანასკნელ რუს მეცეცხლურს გავყვები, ოღონდ არა ამ საზიზღარ კორსიკელსო“. - ასეთი იყო კატიშის პასუხი. იმპერატორმა-ძმამ კი მალევე შეიტყო პეტრე ბაგრატიონის და კატიშის სიყვარულის ამბავი. ეს მისთვის საშიშროებას წარმოადგენდა, რადგან პეტრეს დიდი გავლენა ჰქონდა ჯარზე და კატიშზე დაქორწინების შემთხვევაში, ადვილად შეეძლო რუსეთის ტახტი ჩაეგდო ხელში. ამიტომ, გენერალი მოლდავეთში გაამწესა, ხოლო თავისი და გაათხოვა პრინც პიტერ ფრიდრიხ გეორგ გოლშტეინ-ოლდენბურგელზე. ახლადდაქორწინებულთა თაფლობის თვემ პავლოვსკში ჩაიარა, ასე ტკბილად რომ ახსოვდა კატიშს ბაგრატიონთან რომანის დროიდან.

იმპერატორისგან მოძულებულმა ბაგრატიონმა, სანამ მოლდავეთში გაემგზავრებოდა, მოახერხა და უაღრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში შეხვდა ეკატერინა პავლოვნას ისევ იმ პავლოვსკში და ისევ იმ დაბურული ხეივნის ქვეშ. შეყვარებულები დიდხანს, მდუმარედ ისხდნენ. ბოლოს, გადაეხვივნენ და აღარ უნდოდათ მოსცილებოდნენ ერთმანეთს. დუმილი პეტრემ დაარღვია:

- კატიშ, სიყვარულო, მე, რა თქმა უნდა, მიჭირს შენთან განშორება, მაგრამ იმპერატორის ბრძანებას წინ ვერ აღვუდგები. მე ხომ ჯარისკაცი ვარ. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. შენს ძმას შეთქმულების ეშინია, რომ როგორც შენი დიდი ბებიის დროს მოხდა, ხელისუფლება ქალებმა არ ჩაიგდონ ხელში. ჩემი დევნა არ შეწყდება და შეიძლება ეს ჩემი სიკვდილითაც დამთავრდეს.

- არა, პიოტრ! - შეჰკივლა ეკატერინამ, - ეს გამორიცხულია! ალექსანდრე ამაზე არ წავა! უბრალოდ, მას შენი ეშინია და იმიტომ გიშვებს პროვინციაში.

- ამაზე ნუღარ ვიკამათებთ, ჩემო ძვირფასო, - დინჯად და აუღელვებლად განაგრძო პეტრემ, - მე სულ სხვა სათხოვარი მაქვს შენთან.

- გისმენ, ჩემო კარგო. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია.

- მე მჯერა, კატიშ, რომ შენ ერთ ადგილას არ გაჩერდები და ევროპის მაღალ წრეებში წარმატებული გახდები. ამიტომ მინდა, ერთი სათხოვარი გაგანდო. ჩემს სამშობლოს, საქართველოს, დღეს ძალიან უჭირს. იქ ამჟამად რუსები, სომხები და ებრაელები მოექცნენ ხელისუფლების სათავეში, რომლებიც მხოლოდ ქონების დაუფლებით არიან დაკავებულნი და ქვეყნის განვითარება არ აინტერესებთ. მე, სუვოროვის ლაშქრობის დროს, შვაბიის მხარეში გადავეყარე ჩემი ქვეყნიდან ოცდახუთი საუკუნის წინ წამოსულ ხალხს, რომლებიც არიან მშრომელები და შემოქმედი ადამიანები. მინდა, რომ მათი ოჯახები წავიდნენ საცხოვრებლად საქართველოში და დასახლდნენ თბილისსა და მის შემოგარენში.

- რას მოუტანს ეს ქართველ ხალხს? - იკითხა ეკატერინა პავლოვნამ, - რუსებს, სომხებსა და ებრაელებს კიდევ გერმანელები დაემატებიან.

- ისინი ცივილიზაციის ბასტიონებს ააგებენ საქართველოში. დამიჯერე, ეს ასე იქნება. საქართველოს განვითარება დედა-დედოფალსაც სურს - დიდ კნიაგინიას, ამიტომ ამ საქმის განხორციელების შემთხვევაში, მისი სახელიც უკვდავ უნდა იქნას.

- გასაგებია, ჩემო სიყვარულო, - გაეღიმა ეკატერინა პავლოვნას, - ძალიან გულით მინდა, რომ დაგეხმარო, მაგრამ მე შვაბიაში ნამყოფიც კი არ ვარ და...

- ღმერთი არ გაგწირავს, კატიშ! - თქვა პეტრემ და კატიშის ლურჯად მოკაშკაშე თვალებიდან წამოსულ ცრემლებს დაეწაფა.

ხეივანში უცებ ნიავმა დაუბერა და ააშრიალა მრავალ სასიყვარულო ამბებს მოსწრებული საუკუნოვანი ხეები.

* * *

ათას რვაას თორმეტი წლისთვის, რუსეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. ნაპოლეონმა ავსტრიასა და პრუსიასთან დადო ხელშეკრულება, რის მიხედვითაც მათი არმიები ბონაპარტეს განკარგულებაში გადადიოდნენ. თავის მხრივ, რუსეთს მხარს უჭერდა ინგლისი, შვედეთი და ესპანეთი. რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე პირველმა, პეტრე ბაგრატიონს ჩააბარა პოდოლსკის არმიის მთავარსარდლობა. ბაგრატიონმა ოპერატიულად შეადგინა სამოქმედო გეგმა, რომლის ძირითადი იდეა შეტევითი მოქმედების წარმოება იყო. გეგმის მიხედვით, რუსები შეტევაზე სწრაფად უნდა გადასულიყვნენ, მოეგოთ დრო, ესარგებლათ მოულოდნელობით და ფრანგებისთვის ჩამოეცილებინათ მოკავშირეები - ავსტრია, პრუსია და პოლონეთი. გენერალი სწერდა იმპერატორს: „ამრიგად, მიმაჩნია ომი არა მარტო გარდაუვალად, არამედ აუცილებლად. მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში უმთავრესია ერთის მხრივ, თავი დავიზღვიოთ მოულოდნელი თავდასხმისაგან, ხოლო მეორეს მხრივ - მოვიგოთ დრო, სულ ცოტა ექვსი კვირა მაინც, რათა მივაყენოთ პირველი დარტყმები მტერს და ვაწარმოოთ შეტევითი და არა თავდაცვითი ომი“.

იმპერატორმა, რა თქმა უნდა, ისევ ბაგრატიონისადმი პირადი დამოკიდებულების გამო, ეს გეგმა არ დაამტკიცა. მან აირჩია ფულეს გეგმა, რომლის მიხედვითაც არმია სამ ნაწილად იყოფოდა და ჭარბი ძალების შემოტევის შემთხვევაში უკან დახევას ითვალისწინებდა. რომ არა ბაგრატიონის გონიერება და სიმამაცე, ფრანგები რუსეთის არმიას გაანადგურებდნენ. მან თავი დააღწია ფრანგების ძალებს და მათ დიდი ზიანი მიაყენა. სამხედრო წრეებში კი ამ ბრძოლას ასეთი შეფასება მიეცა: „სწრაფი და მაღალი ხელოვნებით შესრულებული მარში, რომელსაც ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ რუსეთის არმიების შეერთებას სმოლენსკთან, აყენებს ბაგრატიონს ათას რვაას თორმეტ წელს რუსეთის მხსნელთა რიგებში“.

არც იყო გასაკვირი, პეტრე ბაგრატიონი ხომ არიერგარდის ხელოვნების უბადლო მცოდნე გახლდათ.

სმოლენსკის ოპერაციის წარუმატებლობის გამო, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ბარკლაი-დე-ტოლი მხედართმთავრობიდან გადააყენა და ისევ ცნობილ მიზეზთა გამო, ამ თანამდებობაზე ბაგრატიონის ნაცვლად, კუტუზოვი დანიშნა.

სწორედ მაშინ თქვა ნაპოლეონმა: „ბაგრატიონის გარდა რუსებს გენერლები არ უვარგათ!“

განრისხებულმა იმპერატორმა ალექსანდრემ დაიბარა თავისი ადიუტანტი და იყვირა:

- მაგ მახინჯი კორსიკელის გარდა, კიდევ რას ამბობენ მაგაზე უარეს მახინჯ ბაგრატიონზე!?

- თქვენო ბრწყინვალებავ, უმოკლეს დროში მოგახსენებთ!

- არა! - იყვირა ისევ იმპერატორმა, - ჯერ რაც იცი, ის მომახსენე! დანარჩენი მერე იყოს!

- დიახ! თქვენო ბრწყინვალებავ! - მოახსენა ადიუტანტმა და განაგრძო, - ალექსანდრ ვასილის ძე სუვოროვი ამბობდა, რომ: „ბაგრატიონმა საკუთარ ოჯახში უფრო მეტი ჭრილობა მიიღო, ვიდრე ომებში“.

ალექსანდრეს ეს სიტყვები ტყვიასავით პირდაპირ გულში მოხვდა. ეს მასზე იყო ნათქვამი.

- ბებერი სულელი! - იყვირა იმპერატორმა, - სუვოროვს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ტვინი გაუწყალდა და რას ამბობდა, თვითონაც არ იცოდა.

- დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ! - თითქოს დაადასტურა ადიუტანტმა, უფრო გაიჯგიმა და განაგრძო, - ნაპოლეონმა...

- ნაპოლეონის ვიცი! შე კრეტინო! - იყვირა ისევ ალექსანდრემ... - შემდეგიიი!...

- გენერალი ერმოლოვი... - დაბალ ხმაზე თქვა ადიუტანტმა და იმპერატორის რეაქციას დაელოდა.

- რაო!? რა თქვა!? - გამოსცრა კბილებში ალექსანდრემ.

- „ბაგრატიონი არის უშიშარი ბრძოლაში, ნირშეუცვლელი სახიფათო ვითარებაში... ლმობიერი, მრისხანების დამთ-

მენი, ყოველთვის მზადმყოფი შურისგებისათვის, გულუხვი - უთავბოლოდ მხარჯველობამდე. გულში ბოროტების არჩამდე-ბი, სიკეთის დამმახსოვრებელი...“

- რუსი გენერლების შეფასებები აღარ მაინტერესებს! - იყვი-რა ისევ იმპერატორმა, - უცხოელები რას ამბობენ!?

ადიუტანტი უხერხულად შეიშმუშნა, ხვდებოდა, რომ იმპერ-ატორს აინტერესებდა ბაგრატიონზე უარყოფითი შეფასებები, რაც მან არ იცოდა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - არ არ-სებობდა. ტყუილს ხომ არ ეტყოდა მეფეს. ამიტომ კვლავ თავ-აწეულმა გააგრძელა:

- თქვენო ბრწყინვალებავ! ინგლისის სამეფო წრეებში ასე-თი შეფასება მისცეს ბაგრატიონის მოღვაწეობას: „ერთადერთი რუსი გენერალი, რომელიც შეტევის დროს ყველაზე წინ მიდის, ხოლო უკან დახევისას - ყველაზე ბოლოს“.

იმპერატორი ნელ-ნელა კარგავდა მოთმინებას, მაგრამ მაინც თავს იკავებდა.

- ჯარისკაცები რას ამბობენ!?

- თქვენო ბრწყინვალებავ! თითქმის ყველა ჯარისკაცი ერთი და იგივეს ამბობს: „მაშინ, როცა ბევრი რუსი ოფიცერი ჯა-რისკაცს ხელფასს ჰპარავს, ბაგრატიონი თავის ჯამაგირს ჯა-რისკაცებს ახმარსო“.

- კარგი! თავისუფალი ხარ! - ბრძანა იმპერატორმა და ხელი აიქნია. მერე სკამს დაეყრდნო და როგორც სჩვეოდა კბილებიდან გამოსცრა:

- ეს ქართველები ვერ მოვიშორე სასახლიდან. მე შენ გიჩვენ-ებ, როგორ უნდა ჩემი დედის და დის გამოყენება საიმპერატორო გვირგვინის ხელში ჩასაგდებად!

იმპერატორ ალექსანდრეს ნერვიულობის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. ევროპა და რუსეთი აფორიაქებული იყო ნაპოლეონ ბონაპარტის ძლევამოსილი წინსვლით.

* * *

ბოროდინოსთან გამართულ გენერალურ ბრძოლაში რუსებმა არასწორი ტაქტიკა აირჩიეს. მტრის ძირითადი შეტევა არმიის იმ ფლანგისკენ იყო მიმართული, რომელსაც ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. ნაპოლეონიც ხომ მას თვლიდა ძირითადად მოწინააღმდეგედ. პეტრე, როდესაც მიხვდა, რომ ფრანგების ორმოცდახუთ ათასიან ქვეითს და ოთხასი ქვემეხის იერიშს ვერ გაუძლებდა, თვითონ გადავიდა შეტევაზე ოცი ათასი კაცით, რომელსაც სათავეში პირადად ჩაუდგა. ფრანგებმა ბაგრატიონის ძალები შეაჩერეს და დაიწყო ხიშტებით ხელჩართული ბრძოლა. რუსებმა უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ამ დროს, როგორც ამბობენ, გენერალი მტრის მიერ ნატყორცნი ყუმბარის ნატეხით თეძოში დაიჭრა და ბრძოლას გამოეთიშა. მხედართმთავრის დაჭრამ ჯარისკაცებზე, რა თქმა უნდა, ცუდად იმოქმედა. მათ უკან დახევა დაიწყეს.

რუსებმა ბოროდინოს ველზე ომი წააგეს.

დაჭრილი პეტრე ბაგრატიონი სოფელ სიმში მამიდასთან გადაიყვანეს. გზაში მან მოსკოვის აღების ამბავი გაიგო და დამწუხრებულმა წარმოთქვა:

- მე მოვკვდები არა ჭრილობით, არამედ მოსკოვით!...

- თქვენო უმაღლესობავ! - არ აცალა სიტყვის დამთავრება ადიუტანტმა, - გამოგზავნილი კურიერის ინფორმაციაში რაღაც შეცდომაა. ბოროდინოს ველზე რუსული არმია არ დამარცხებულა და შეიძლება, გაიმარჯვა კიდეც. მე თვითონ ვნახე ის პატაკი, რომელიც კუტუზოვმა მისწერა იმპერატორს, რომ გამარჯვება მიღწეული იყო. ალექსანდრე პირველმა მას ოცდათერთმეტი აგვისტოს რესკრიპტით უპასუხა, რომლის გამოც ჩვენ ყველანი აღფრთოვანებას ვერ ვმალავდით.

- რას ამცნობდა რესკრიპტი? - იკითხა ბაგრატიონმა.

- მიხაილ ილარიონოვიჩს იმპერატორი სწერდა: „თქვენი ღირსებისა და შრომის დასაფასებლად გიძღვნით თქვენ გენერალ-ფელდმარშალის წოდებას, გიბოძებთ ასი ათას მანეთს და

ვუბრძანებ თქვენს მეუღლეს, თავადის ქალს, გახდეს ჩვენი კარის სტატს-დამა“. კუტუზოვმა თავის მეუღლესაც სასწრაფოდ აცნობა: „მე, ღვთის მადლით, ჯანმრთელად ვარ, ჩემო მეგობარო, და არ დავმარცხებულვარ, პირიქით, ბრძოლა მოვუგე ბონაპარტს“.

- მეც მინდა, რომ ეს ასე იყოს, - ძლივს წარმოთქვა ტკივილით შეწუხებულმა ბაგრატიონმა, - მაგრამ მეეჭვება ასეთი განლაგებით და ხელმძღვანელობით ჩვენებს წარმატებისათვის მიეღწიათ. ფრანგები ყოჩაღები არიან, ტყუილად არაფერს დაგითმობენ და თუ დაამარცხებ, ეს გამარჯვება მართლა ღირს სიხარულად. ძალიან მიყვარს ფრანგებთან ბრძოლა.

როგორც შემდეგ გაირკვა, ფრანგებს ბრძოლის ველი არ მიუტოვებიათ. ისინი მხოლოდ თავის საწყის პოზიციებს დაუბრუნდნენ და მეორე დღისთვის სამზადისს შეუდგნენ. ბრძოლის ველზე მცირედი შესვენებაც კი შეუძლებელი იყო, რადგან გარშემო მკვდარი მეომრების გორები იდგა.

რუსების დამარცხებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ალექსანდრე პირველი უხეშად ერეოდა მხედართმთავრების გადაადგილების და დანიშვნის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქვეყნის მთავარსარდალი იყო, ომისა და სამხედრო საქმის არაფერი გაეგებოდა.

ალექსანდრე პირველმა, ყველას გასაგონად და დასანახად, ბაგრატიონის სამკურნალოდ საკუთარი ექიმი - გილდენბრანტი გაგზავნა. ეს ექიმი საკმაოდ გამოცდილი იყო და შეეძლო დაჭრილის გადარჩენა, მაგრამ იმპერატორისგან მიღებული ბრძანების თანახმად, სნეულს სათანადოდ არ უმკურნალა, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია.

ჭრილობის მიღებიდან ჩვიდმეტი დღის შემდეგ პეტრე ბაგრატიონი გარდაიცვალა და იგი დაკრძალულ იქნა იქვე, სოფელ სიმის ეკლესიაში.

გარდაცვლილ გენერალს, სათუთუნეში, ფაქიზად შენახული კატიშის სურათი აღმოაჩნდა.

* * *

პეტრე ბაგრატიონის წუთისოფლიდან გასვლის სამი თვის თავზე, ტიფით გარდაიცვალა ეკატერინა პავლოვნას მეუღლე გეორგი. მიუხედავად იმისა, რომ ოცდაოთხი წლის კატიში, უკვე ორჯერ დაქვრივდა, იგი ეკბატანას ვარდივით იფურჩქნებოდა და თავისი სამეფო მდგომარეობიდან გამომდინარე, სასურველი საცოლე გახლდათ ევროპელი და არა მარტო ევროპელი ელიტარული სასიძოებისათვის. ოთხი წლის შემდეგ კატიში ინგლისის ტახტის მემკვიდრის მეუღლე გახდა და ამავე წელს ვიურტენბერგის დედოფალიც და შტუდგარდის მეპატრონე.

ეკატერინა პავლოვნამ თავისი ქალიშვილობის სიყვარულის დავიწყება ვერ შეძლო, არც პეტრე ბაგრატიონის სული ანებებდა მას თავს და ამან ყოველივემ კატიში შვაბიაში მიიყვანა. აქ გაახსენდა მას თავისი უკანასკნელი შეხვედრა პეტრესთან პავლოვსკის დაბურული ხეივნის ქვეშ და თავისი ნათქვამი სიტყვები: „მე ძალიან მინდა, გულით დაგეხმარო, პიოტრ, მაგრამ მე შვაბიაში ნამყოფიც კი არ ვარ...“ „ღმერთი არ გაგწირავსო...“ უპასუხა პეტრემ. ახლა უკვე კატიში შვაბიის დედოფალია, მას ყველაფერი ხელეწიფება. ასე რომ, თავისი პირველი სიყვარულის ანდერძის აღსრულებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

ეკატერინა პავლოვნამ თავის ადიუტანტს დაავალა სოფელ როზენფელდში მოეძებნა იაკობ ბეკი და მეუღლესთან - ელზა ბაუერთან ერთად ჩამოეყვანა შტუდგარდის სასახლეში.

მანამდე კი, კატიშმა მაინც მიზანშეწონილად ჩათვალა მეუღლესთან შეეთანხმებინა შვაბების საქართველოში გადასახლების საკითხი.

- კატერინა, შენ ახლა ისე ნუ იზამ, რომ ჩემი საჰერცოგო ხალხისგან დაიცალოს, - ხუმრობანარევი ღიმილით უთხრა ჰერცოგმა მეუღლე-დედოფალს.

- ჩვენი საჰერცოგო! - შეუსწორა მეუღლეს სიტყვა კატიშმა, - ასი შვაბის გადასახლება არ დააქცევს შვაბიას. ჩვენს ქვეყანას შენს მიერ დანიშნული უთავო მოხელეები უფრო ანგრევენ. ხოლო რუსეთის იმპერიას სხვაგან უფრო სჭირდება ჩვენი ხელი.

ჰერცოგმა არაფერი უპასუხა მეუღლეს, რადგან იცოდა, ის თავის სიტყვას არ შეცვლიდა. ვერც თვითონ შეაცვლევინებდა, რადგან ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერატორი ერთპიროვნული მბრძანებელი იყო, როგორც რუსეთის, ასევე ევროპის. და თუ უნდოდა, რომ მხრებზე თავი შერჩენოდა, იმპერატორის დის ყველა სურვილი უნდა შეესრულებინა. მეუღლის მხრიდან რისხვა რომ არ გამოეწვია, ჰერცოგი წამოდგა სავარძლიდან, ხელზე ეამბორა დედოფალს და ღიმილით უთხრა:

- წარმატებებს გისურვებ, კატერინა. როდესაც ჩემი ხელმოწერა დაგჭირდება, მე მზად ვარ.

როდესაც ჰერცოგი დარბაზიდან გადიოდა, კატიშმა ზიზღნარევი მზერა მიაპყრო მის ზურგს და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- პიოტრის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს ეს უბედური. ის ახლა სიმის მიწაში უნდა ლპებოდეს და ეს კი აქ დახოხავდეს!? ჩემი ძმაც კარგი ბედოვლათია. არ აღირსა პიოტრს ბოროდინოს მიწა და ყაზანის ტაძრის წინ ქანდაკებები მხოლოდ კუტუზოვს და ბარკლაის დაუდგა. თითქოს პიოტრი არც არსებობდა! გველი!... მე მის ანდერძს მაინც შევასრულებ!...

მეორე დღეს, დანიშნულ დროს, იაკობი და ელზა დედოფლის წინაშე იდგნენ და მის ბრძანებას ელოდნენ. კატიშმა ისინი თავის სამუშაო კაბინეტში მიიწვია, შესთავაზა სავარძლები, თვითონაც დაბრძანდა მათ წინ და მიმართა ცოლ-ქმარს:

- იცით, რისთვის დაგიძახეთ?

- არა, თქვენო ბრწყინვალებავ. - მორიდებით წარმოთქვა იაკობმა.

- იაკობ! შენ იცნობდი გენერალ ბაგრატიონს?

ბაგრატიონის გვარის გაგონებაზე იაკობი სწრაფად წამოდგა ფეხზე და ჯარისკაცივით მოახსენა დედოფალს:

- დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ!

- დაჯექი, იაკობ, დაჯექი, - გაეღიმა კატიშს, - წარმოიდგინე, რომ ეს იქნება მეგობრული, მაგრამ საქმიანი საუბარი.

- გისმენთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

- პეტრე ბაგრატიონი ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანი გახლდათ. ის მიყვებოდა, რომ ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, თქვენს

სოფელში მოუწია რამდენიმე დღით გაჩერება, სადაც შეხვედრია დიდებული წარმოშობის უნიჭიერეს მევენახე ხალხს, რომელთაც მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, გაშენებული ჰქონიათ სხვადასხვა ჯიშის ვაზი და აწარმოებდნენ შესანიშნავ ღვინოს. მან მითხრა, რომ ხალხთან საუბარში შეუცვნია კავკასიური ფესვები, რაც გამოიხატებოდა მათ ენას, რწმენასა და კულტურაში. როგორც პიოტრი მეუბნებოდა, ისინი მეტყველებენ გერმანულისგან განსხვავებულ დიალექტზე და არიან არა ლუთერანები და კათოლიკები, არამედ განუყოფელი სარწმუნოების ხალხიო, რომელთა რელიგია მართლმადიდებლურისა და ხევისბერის ინსტიტუტის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენსო. ეს ყველაფერი, რასაც მე ვსაუბრობ, სწორია, იაკობ?

- დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ! ჩვენ გენერლის სამშობლოდან ვყოფილვართ და ოცდახუთი საუკუნის წინ ჩამოვსულვართ აქ. თუმცა, დღეს ჩვენს ცხოვრებაში იმ ფესვებიდან მხოლოდ ვაზიღა შემოგვრჩა...

- და სისხლი! - შეაწყვეტინა საუბარი კატიშმა, - სისხლი, იაკობ, რომელიც მუდმივად ყივის!

- დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ. - ჩაილაპარაკა იაკობმა და თავი დახარა.

- პეტრე ბაგრატიონს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ თქვენ მშობლიურ ფესვებს დაბრუნებოდით და თქვენი შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოგეყენებინათ. რას იტყვით საქართველოში წასვლაზე?

იაკობს გაკვირვებისგან სახე შეეცვალა, მერე მეუღლეს გადახედა, რომელიც იატაკს დასჩერებოდა და მხოლოდ კანკალზე ეტყობოდა, რომ ცოცხალი არსება იყო. ბეკი შეიშმუშნა და ძლივს ამოთქვა:

- ეგ როგორ, თქვენო ბრწყინვალებავ!... უცხო ქვეყანაში, ოჯახებით...

- ვიცი, რომ ძნელია, იაკობ! - თქვა დედოფალმა, მერე თავი მაღლა ასწია, მისი ყელისა და ძუძუ-მკერდის ელვარებამ გაანა-

თა ღრუბლიანი ამინდის გამო ოდნავ ჩაბნელებული ოთახი და საუბარი გააგრძელა, - მე ვთხოვ ჩემს ძმას, რუსეთის იმპერატორს - ალექსანდრეს, რომ თქვენი დასახლებისთვის გააკეთოს ყველაფერი, რათა იქ თავი არა ლტოლვილებად, არამედ მიწა-წყლის პატრონებად იგრძნოთ. ხოლო გამგზავრების და ყველა საჭირო ნივთის ყიდვის ხარჯებს ჩვენ გავიღებთ. ჩვენი სურვილია, თავდაპირველად საქართველოში გაემგზავროს საცხოვრებლად ასი ადამიანი, ეს ალბათ, ოცდაათი ოჯახია. რას იტყვი? თქვენს სოფელში ხომ არის ამდენი კომლი?

- ჩვენს სოფელში, როზენფელდში, ოცდათერთმეტი ოჯახია და ყველა მართლმადიდებელია.

- ჰოდა, ძალიან კარგი. ესე იგი, თანახმა ხართ!

იაკობი თუნდაც არ ყოფილიყო თანახმა, მას ვინ შეეკითხებოდა.

- კიდევ რაიმე ხომ არ გინდა მკითხო, იაკობ!? - ჩაესმა ბეკს დედოფლის ბრძანებანარევი ხმა.

- ჩვენს კარ-მიდამოს და ქონებას... - და აქ გაჩუმდა იაკობი.

- რის წაღებასაც შეძლებთ, წაიღეთ! ხოლო დანარჩენს ჩვენ შევისყიდით და ოქროთი გაგისტუმრებთ!

ეს უკვე ბეჭედი იყო. უარის თქმის შემთხვევაში შეიძლება, ეს მეგობრული საუბარი შუა საუკუნეების დასჯის მეთოდებით შეცვლილიყო. ამიტომ იაკობმა და ელზამ, ორივემ ერთხმად, მოახსენეს ეკატერინეს:

- ჩვენ მზად ვართ, დედოფალო!

* * *

ათას რვაას ჩვიდმეტი წლის მაისში ბავარიასა და შვაბიას შორის, ქალაქ ულში, მდინარე დუნაისთან, შეიკრიბა ას თექვსმეტი შვაბური ოჯახი. დედოფალ კატერინასაგან საშვი ას ოჯახზე იყო გაცემული. თექვსმეტი ოჯახი თავის ხარჯით მიემართებოდა საქართველოში. ას თექვსმეტ ოჯახში იყო ის ოცდათერთმეტი ოჯახიც, რომლებიც სოფელ როზენფელდიდან მიდიოდა თავის ისტორიულ სამშობლოში. სოფლის თავკაცად იაკობ ბეკი

იყო დანიშნული, ხოლო მთლიანი ქარავნისა - ძმები ალმედინ-გერები. შვაბები დასხდნენ ბარჟებზე, ტვირთი ტივებზე დაალ-აგეს, ჩავიდნენ რუმინეთის ქალაქ გალაციში და ჭაობიანი გზით გადავიდნენ ქალაქ იზმაილში. იქიდან ცხენებშებმული ექვს და ცხრამეტრიანი ვაგონებით ჩავიდნენ ოდესაში, სადაც ელოდნენ და იმპერატორის ბრძანებით დაურიგდათ სამგზავრო ტრანს-პორტის სათადარიგო ნაწილები და გამყოლებად დაუნიშნეს კა-ზაკები. მალე ისინი გეორგიევსკში ჩავიდნენ. ჩერქეზებმა გაიგეს რა, რომ მშრომელი ხალხი მიდიოდა საქართველოში, თავისთან დასახლება შესთავაზეს, რაზეც ცივი უარი მიიღეს. კავკასიელი მთიელები შეეცადნენ, მათ შესაჩერებლად ძალა გამოეყენე-ბინათ, მაგრამ პეტრე ბაგრატიონის თანამებრძოლი პირიქი-თა ხევსურების დახმარებით, გადმოლახეს დარიალის ხეობა, ჯვრის უღელტეხილი და ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე ტფილისში ჩამოვიდნენ.

ოცდათერთმეტი როზენფელდელი ოჯახი, იაკობ ბეკის ხე-ლმძღვანელობით, ივრისპირეთში მდებარე სათის ჭალაში წაიყ-ვანეს და დაასახლეს სოფლების - სართიჭალასა და ელთა მუ-ღანლოს შორის. სოფელს კი სახელად, როგორც ეს ანდერძისა და კატერინა დედოფლის დავალებით იყო დათქმული, კატიშის დედის - მარია ფედოროვნას სახელი უწოდეს - მარიენფელდი, ხოლო სოფლის ცენტრს - როზენფელდი.

მალე, იაკობ ბეკთან ტფილისიდან ალმედინგერების გამოგ-ზავნილი იმილ მიულერი და რობერტ პლინინგერი ჩამოვიდნენ, რომლებსაც თან ჩვიდმეტი ოჯახი ჩამოჰყვათ. მეფის ნაცვალს საქართველოში მათთვის მარიენფელდის გვერდით მიწა გაუცია სოფლის დასაფუძნებლად, თან უბრძანებია: „სახელი სოფელს თქვენ თვითონ დაარქვითო“. იაკობს ბევრი აღარ უფიქრია, მან კარგად იცოდა პეტრე ბაგრატიონის სიყვარული სამშობლოსად-მი, აგრეთვე მისი და ეკატერინა პავლოვნას სასიყვარულო ის-ტორია და სოფელს გენერლის საპატივცემულოდ პეტერს დორ-ფი ანუ პეტრეს სოფელი უწოდა.

ოცდახუთი საუკუნის შემდეგ კვლავ შვებით ამოისუნთქა ქართულმა სულმა საკუთარ მიწაზე, ამჟამად უკვე ივრისპირეთში.

კატიშს არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა პეტრე ბაგრატიონის ანდერძი. იგი ათას რვაას თვრამეტ წელს, ოცდაათი წლის ასაკში, გაურკვეველი მიზეზით გარდაიცვალა. თუმცა, მადლიერმა შვაბებმა არ დაუკარგეს მას ღვაწლი და დააარსეს მისი სახელობის დასახლება - ეკატერინენფელდი.

სარჩევი

სამგორის ველის წმიდა გიორგი 9
ივრისპირელები 44
შეფიცულნი 106
დუნაიდან ივრისპირეთში 138

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

www.mtsignobari.ge